

ოპარ ქაშელაშვილი

**აზრარული ეკონომიკის
ინსტიტუტი**

**რისკის მართვა
ფერმერულ
მეურნეობებში**

თბილისი–2009
გამომცემლობა „არეალი“

ISBN 978-9941-0-1892-3
UDC 338.41:631.115.1+330.131.7
ქ-433

ბეჭდება აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით
(8. 09. 2009 ოქმი № 6)

ოპარ ქაშელაშვილი

რისკის მართვა ფარმერულ მეურნეობებში



მონოგრაფია მომზადდა სახელმწიფო საგრანტო პროექტის „რისკის მართვა ფერმერულ მეურნეობებში“ ფარგლებში „აღიწული პროექტი განხორციელდა სსიპ-ქართველოლოგიის, პუბლიკისტიკის და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი №020-08; კოდი: 07-15-2-610). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ-ქართველოლოგიის, პუბლიკისტიკის და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს.

მონოგრაფიის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს და
თანავტორები არიან: მ.მეჭურჭლემილი, ე.ბაგანია,
ჯ.ბაქუნაიშვილი, ნ.დამენია, ნ.ქეშელაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ო.ქეშელაშვილი,
გ.დოლონაძე, ჯ.მასხარაძე, თ.თავადაშვილი, ე.ბაგანია.

თბილისი-2009

I ტაჰი

პროექტის აბჯალაოგა, სიასლა, მიზანი და ამოსანები

1.1 აბჯალაოგა, სიასლა, მმცნიერული და პრამტიკული მნიშვნელოგა

საქართველოს სოფლის მეურნეოგა საკმაოდ რთული სამართავი ობიექტია, რაც უწინარეს ყოვლისა გაპირობებუღია მის მცირეობიწინან სიერცეში არსებული უღარესად მრავალფეროვანი ნიღდაგურ-კლიმატური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც მკვეთრად და არცთუ იშვიათად, რადიკალურად განსხვავდება ზონალურ და მიკროზონალურ მასშტაბში.

ამას ემატება საბაზრო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოტივაციები და მოთხოვნები, რომლითაც განისაზრერება წარმოების პროფილი, მიმართულებები, მასშტაბები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად, სრულიად ახლებურად, ძალზე პრინციპულად და აქტუალურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობისა და მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული თითოეული დარგის განვითარება და ამა თუ იმ სასურსათო პროდუქტის წარმოების ტემპებისა და მასშტაბების განსაზღვრა უნდა ეყრდნობოდეს მკაცრად მიზნობრივ და მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებს, მორგებულ ეკონომიკურ მექანიზმს, რომლის საბოლოო შედეგი მხოლოდ მომგებიანი და კონკურენტუნარიანი იქნება,

ამ პრობლემების (ამოცანების) გადაწყვეტა, ახლებურ, თანამედროვე გააზრების, პროგრესული მეთოდოლოგიური არსენალის გამოყენებას მოითხოვს, რაც მრავალვარიანტულ და მრავალფაქტორულ გათვლებს უნდა ეყრდნობოდეს.

უკანასკნელ ხანს, ფართო აღიარება და მხარდაჭერა ჰპოვა და მოერგო საბაზრო მოტივაციებს რისკის თეორიისა და გამოყენებითი ხასიათის მეთოდები, რაც უტყუარ საფუძველს ქმნის ყველაზე ოპტიმალური და მომგებიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

სამეურნეო რისკის მართვა გადაწყვეტილების მიღების თეორიის პრინციპებს შეესაბამება და ფართო გაგებით მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რაც ამბავრებს ამ პრობლემის კვლევის აქტუალობას, აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

ამ ბოლო დროს, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, აგრარულ სექტორში რისკისა და გაურკვევლობის პრობლემა სახელმწიფოებრივ დონეზეა აყვანილი. მაგალითად, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან შეიქმნა საგანგებო სტრუქტურული ქვედანაყოფი-რისკის მართვის სააგენტო.

როგორც დასტურდება, ამ პრობლემის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებისა და სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებისათვის.

პრობლემის სიახლე, მისი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა და წვლილი აგრარულ სფეროში არსებული ამოცანების გადაწყვეტაში განისაზღვრება იმით, რომ მისი დამუშავების შედეგად მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილების რეალიზაცია საშუალებას მისცემს საქართველოს თითოეული რეგიონის ფერმერულ მეურნეობებს ეკონომიკურად დასაბუთებულად, საბოლოო, გარანტირებულ მოგებაზე და კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეზე ორიენტირებულად გასწიონ რისკი სამეურნეო საქმიანობაში და ამით მტკიცე საფუძველი შექმნან იმისათვის, რომ მაღალი უკუგებით გამოიყენონ არსებული და ახლად შესაქმნელი საწარმოო (რესურსული) პოტენციალი, მთელი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო, შრომითი რესურსები, დასაბუთებულად განსაზღვრონ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები, წარმოების სპეციალიზაცია, წარმოების პროცესზე და რისკზე მომქმედი ფაქტორების მაღალი უკუგებით გამოყენების პირობები და მათი ურთიერთშეთანაწყობის დონე, ამასთან, ეტაპების მიხედვით არეგულირონ დარგობრივი სტრუქტურა, არსებული რესურსებისა და საქონლის განაწილება და საბაზრო სეგმენტების გაჯერების ხარისხი, დასაბუთებულად მართონ თვით რისკი და საერთოდ დარგის განვითარება.

ასეთ მოდგომას, ამჟამად, უაღრესად პრინციპული და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და ეკონომიკის სფეროებისათვის, ამასთან, იგი ადასტურებს იმას, რომ მათემატიკური აპარატის გამოყენება ეკონომიკაში დღითიდღე აუცილებელი ხდება.

საგანგებოდ არის ხაზგასასმელი, რომ რისკის თეორიის მნიშვნელობა და პრაქტიკული რეალიზაცია ეკონომიკაში გაპირობებულია იმ დიდი გარდატეხით, რაც უკანასკნელ ხანს მოხდა ამ სფეროში. ახლა უკვე ეჭვს აღარ იწვევს და აშკარად გამოიკვეთა, რომ ათეული წლების მანძილზე ეკონომიკაში დამკვიდრებული ნაციონალურ-ლიბერალური თეორია (რომლის

მიხედვითაც მომხმარებელი მექანიკურად ახდენს მოხმარებულ სიკეთეთა მაქსიმიზაციას), დამსხვრეულია და შემოღებულია დიამეტრალურად ახალი, რომელიც უკავშირდება ეკონომიკაში თავისუფალი არჩევანის პრობლემას. უნდა განვმარტოთ, რომ ამ თეორიის პრაქტიკული რეალიზაციით, რომელიც რისკ-მენეჯმენტს ეყრდნობა, შესაძლებელი ხდება ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, ეროვნული, კულტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, რაც დღეს არსებულ ლიბერალურ რეცეპტურაში თითქმის იგნორირებულია.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის თეორიისა და შესაბამისად მისი შეფასების მეთოდიკის პრაქტიკული გამოყენების პრეცედენტი ჯერ არ გაგვაჩნია. შესრულებულია მხოლოდ ეპიზოდური გამოკვლევები, რამაც საფუძველი შექმნა ამ პრობლემის შემდგომი, სისტემური კვლევისათვის. ეკონომიკურ გამოკვლევებში აღნიშნულმა პრობლემამ პრიორიტეტი უნდა დაიკაოს.

ამდენად, იგი დიდ ინტერესს იმსახურებს, აქტუალობის მაღალი ხარისხით ხასიათდება და დიდი თეორიული-გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

თუ მოკლედ განვიხილავთ დარგში არსებულ უახლეს მონაცემებსა და მიღწევებს, უნდა ითქვას, შემდეგი:

როგორც დასტურდება, უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე გამოიკვეთა ის სტაბილური დადებითი ტენდენცია, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში თანდათან ამალდა კერძო-ფერმერული მეურნეობების ზე. წილი. ეს მეურნეობები, ამჟამად, ძირითადად განსაზღვრავენ მთელი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროფილს, წარმოების მასშტაბებს, განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, მიღწევებსა და სტრატეგიულ მიმართულებებს.

ამდენად, ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულების მიცემა და მათში სამეურნეო რისკის მართვის დონის ამაღლება უპირატესად განაპირობებს და განსაზღვრავს ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთელ ეკონომიკურ პოტენციალს და საწარმოო რესურსების მიზნობრივი და მომგებიანი გამოყენების ხარისხს, დარგის მთელ წარმატებებს.

როგორც ირკვევა, საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი (ათას ჰექტრობით) შეადგენს 3025.8, მ.შ. კერძო საკუთრებაშია 767.3 (25.35%); სახნავი-801.8; მ.შ. კერძო საკუთრებაში-438.5 (54.7%); მრავალწლიანი ნარგავები-263.8, მ.შ. კერძო საკუთრებაში 180.5 (68.4%); სათიბები-143.8, მ.შ. კერძო საკუთრებაში 44.0 (30.6%); საძოვარი-1796.6, მ.შ. კერძო საკუთრებაში 84.5 (4.7%).

მთლიანი ნათესი ფართობიდან (534.5 ათას ჰა) ოჯახურ მეურნეობებში მოქცეულია 94.0%. მარცვლეული და პარკოსანი კულტურები ოჯახურ მეურნეობებში იკავებს 333.2 ათას ჰა (93.6%), კარტოფილი, ბოსტნეული და ბალჩეული-84.3 ათას ჰა-ს (97.5%), ტექნიკური კულტურები-37.1 ათას ჰა-ს (93.9%), საკვები კულტურები-49.7 ათას ჰა-ს (96.1%).

უკანასკნელი წლების მონაცემებით, საქართველოში მთლიანად იწარმოება (ათას ტონობით): მარცვლეული-679.3 (აქედან ოჯახურ მეურნეობებში-639.6 ანუ 94.0%); მ.შ. ზორბალი-185.8 (89%); სიმინდი-410.6 (97%); პარკოსნები-16.6 (99.4%); მზესუმზირა-22.3 (94%); ბოსტნეული-400.5 (97%); კარტოფილი-419.5 (97%); ბალჩეული-109.5 (99.7%);

საქართველოს, სასოფლო-სამეურნეო პროფილის ყველა კატეგორიის მეურნეობებში ირიცხება (ათას სულობით): მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი-1250.7 (აქედან ოჯახურ მეურნეობებში-1247.4); მ.შ. ფური-735.6 (734.0); ღორი-483.9 (483.4); ცხვარი და თხა-804.9 (781.9); მ.შ. ცხვარი-689.2 (666.7); ცხენი-44.4 (44.4). ფრინველის სულადობა შეადგენს 9836.2 ათას ფრთას (მ.შ. ოჯახურ მეურნეობებში-8955.7); ფუტკრის ოჯახების რაოდენობაა 152,0 ათასი სკა ((მ.შ. ოჯახურ მეურნეობებში-151.9).

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება შემდეგ სურათს იძლევა: ოჯახურ მეურნეობებში იწარმოება (ათას ტონობით); ზორცი (ყველა სახის, დაკლული წონით)-108.2 (სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში-1.0); მ.შ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის-49.8 (0.0); ღორის-34.7 (0.0); ცხვრისა და თხის-9.0 (0.0); ფრინველის-14.2 (1.0); რძე-779.6 (0.0); კვერცხი (მლნ. ცალი)-401.6 (95.0); მატყლი (ტონა)-2151 (37); თაფლი (ტონა)-2248 (5.0).

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური (როგორც ბუნებრივი, ისე ეკონომიკური) შესაძლებლობების, აგრეთვე დიდი პერსპექტივების მქონე ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, როგორცაა: მევენახეობა და ნიშნდობლივ სამრეწველო მევენახეობა, ასევე სამრეწველო მეხილეობა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების ძირითადი დარგები-მეჩაიეობა და მეციტრუსეობა.

ამ პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალური ეფექტიანობითა და უკუგებით იქნას გამოყენებული საქართველოს უნიკალური ბიოკლიმატური პოტენციალი, ამასთან მაქსიმალურად იქნას ათვისებული მხოლოდ ის მიკროზონალური სივრცე, სადაც მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები არსებობს.

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს ფერმერული მეურნეობებისათვის სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობისა და სარწმუნოების ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური, ზონალურ-დიფერენცირებული ღონეების დადგენა და ამის საფუძველზე რისკის მართვის მექანიზმის შემუშავება, რამაც უნდა უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანი საქმიანობა, გარანტირებული მოგება, სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირება.

დასაზუსტი მიზნის შესაბამისად გადაწყდება შემდეგი ამოცანები:

- განისაზღვრება ფერმერულ მეურნეობებში რისკის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა და ძირითადი კრიტერიუმები და მოხდება მათი კლასიფიკაცია; შემუშავდება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური ღონეების განსაზღვრის მეთოდიკა;
- განისაზღვრება საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და ფუნქციონირების ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები და ამის საფუძველზე, რისკ-ფაქტორების მოქმედების შეფასებისა და რისკის მართვის მექანიზმის შემუშავების მიზნით გამოიყოფა (შეიჩვენა) ზონალურ-ტიპური (მაკროფილებელი) ფერმერული მეურნეობები;
- მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დადგინდება რისკზე არსებითი ფაქტორების მოქმედების გავლენა (წილი);
- დადგინდება სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ოპტიმალურ-დიფერენცირებული ღონეები, ზონალურ-ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის, შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავებით;
- დადგინდება რისკის შეფასების სინთეზირებული, (კომპლექსურ-შეჯერებული) ოპტიმიზირებული ეკონომიკური პარამეტრები, არსებითი ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით და დამუშავდება სარეკომენდაციო-გამოყენებითი ხასიათის წინადადებები;
- შემუშავდება სამეურნეო რისკის მართვის მექანიზმი საქართველოს ფერმერული მეურნეობებისათვის;
- მომზადდება სამეცნიერო პროექტის ერთიანი, სრული სამეცნიერო ანგარიში და დამუშავდება შესაბამისი, გამოყენებითი ხასიათის რეკომენდაციები.

II თავი

კვლევის მეთოდოლოგია

(ძირითადი პოზიციები და შესაბამისობა პროექტის მიზანსა და ამოცანებთან)

პროექტის დაბუშაგების დროს გამოყენებულია სისტემური, მიზნობრივი მიდგომა, მიღწეულია ამოცანათა შორის ურთიერთკავშირი და ამოცანათა გადაწყვეტით მიღებული შედეგების ურთიერთგაპირობებულობა, საბოლოო შედეგზე რისკის მართვის მექანიზმის დაბუშაგებაზე ორიენტაციის თვალსაზრისით.

როგორც მიჩნეულია, რისკი შეიძლება განისაზღვროს აბსოლუტური და შეფარდებითი გამოხატულებით. რისკის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მაჩვენებლები: ბაზარზე ან ობიექტზე პროდუქციის მოთხოვნა; ბაზარზე ანალოგიურ საქონელთა მიწოდება; მომავალ საქონელთა რეალიზაციის საპროგნოზო ფასები; საკუთარი პროდუქციის დანახარჯები, კონკურენტების პროდუქციასთან შედარებით; პროდუქციის რელიზაციის ვარაუდები.

აბსოლუტურ გამოხატულებაში რისკი განისაზღვრება დანაკარგების შესაძლო სიდიდით, მატერიალურ-ნივთობრივ (ფიზიკურ) ან ღირებულებით (ფულად) გამოხატულებაში. ეკონომიკურ გამოკვლევებში პრიორიტეტი სწორედ ამას უნდა მიეცეს.

რისკის დანაკარგებში გამოხატვა ეს იგივეა რაც დანახარჯების კრიტერიუმის შემოღება. ეს იმას ნიშნავს, თუ რამდენად მცირე დანაკარგია მოსალოდნელი, ანუ რამდენად ნაკლები დანახარჯის გაწევაა საჭირო შედეგის მისაღწევად, რისკის გასამართლებლად.

თუ დანაკარგი არ იქნა (ანდა მცირეა იგი) ეს ნიშნავს, რომ ნაკლები დანახარჯის პირობებში, მეტი ეკონომიკური შანსია მოგების მისაღებად, ხოლო თუ დიდია დანახარჯი-მოსალოდნელია წაგება, რაც ნიშნავს, რომ ასეთი რისკი არ არის გამართლებული.

რამდენადაც რისკი ეკონომიკურ მოვლენებს შიგნით, კერძოდ საწარმოო (მ.შ. სოფლის მეურნეობის) სფეროში ძირითადად სწორედ ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარებას (გარისკვას) უკავშირდება და რომელიც უპირატესად დანახარჯების კრიტერიუმს ეყრდნობა, ასევე უპირატესად ეკონომიკური პარამეტრების გამოყენებით უნდა განისაზღვროს და შეფასდეს. ცხადია ეს არ გამორიცხავს მათე-

მატიკური, ვარიაციული, პროგრამირების ელემენტების უხვ და მომარჯვებულ გამოყენებას.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუ-გების დონეების დადგენის ცდები ქართულ ეკონომიკურ და სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ არ მოგვეპოვება. საგანგებოდ შემუშავებული მეთოდის გამოყენებით, ამ მაჩვენებლების დადგენის საფუძველზე უნდა განისაზღვროს თუ როდის არის რისკი მიზანშეწონილი ამა თუ იმ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ტექნოლოგიური ან სხვა ხასიათის ღონისძიების გატარების, მიმართულების რეალიზაციის, ანდა საშუალოა შესრულების თვალსაზრისით, რათა ამის შედეგად ნაკლებ დანახარჯებს ჰქონდეს ადგილი და მიღწეული იქნას მაღალი ეკონომიკური უკუგებატ. საბოლოო ჯამში, ამით დასტურდება, რომ გაწეულ ხარჯებს (გარისკვას) ამა თუ იმ კონკრეტული ეკონომიკური ნაბიჯის მიხედვით, გამართლება ჰქონდა და გარკვეული მოგებაც მოიტანა.

საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზაზით ჩატარებული მრავალწლიური, კომპლექსური გამოკვლევების მხედველობაში მიღებით, პრობლემის სიღრმისეული კვლევისა და დასახული ამოცანის სპეციფიკის შესაბამისად, ზონალურ-დიფერენცირებული ნიშნისა და მიდგომის საფუძველზე ტიპიურ და საყრდენ (ამოსავალ) საკვლევ ობიექტებად, სავარაუდოდ გამოიყოფა: მებოსტნეობის (საგარეუბნო ტიპი), მევენახეობის მეხილეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის (მაპროფილებელი დარგები), მესაქონლეობის (მერძეულ-მეხორცული მიმართულების საგარეუბნო ტიპი), მემარცვლეობის (სტრატეგიული დარგი) საწარმოო მიმართულების ფერმერული მეურნეობები. კვლევის მეთოდის შესაბამისად ყველა ეკონომიკური პარამეტრი დამუშავდება და განზოგადდება აღნიშნული საწარმოო მიმართულების ფერმერული მეურნეობების მაგალითზე. ეს პროფილური სქემა კვლევის პროცესში დაზუსტდება და დაკონკრეტდება.

პროექტის დამუშავების დროს კვლევა დაეყრდნობა რისკის შეფასების კომპლექსურ მაჩვენებელთა სისტემას, ანუ ფაქტორ-პოზიციებს, რომელიც შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

ეკონომიკურ-ორგანიზაციული-მოიცავს წარმოების სპეციალიზაციის დონეს; მეურნეობის სიდიდეს; ფონდუზრუნველყოფის დონეს.

ეკონომიკურ-ტექნოლოგიური-მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსაუღიანობებს.

საფინანსო-საკრედიტო-მოიცავს მეურნეობის მდგრადობის დონეს; მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონეს.

მარკეტინგული-მოიცავს საქონლის ფასების დონეს.

კვლევის პროცესში აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომები, მაჩვენებლთა სისტემა და კრიტერიუმები დაზუსტდება, სრულყოფილი გახდება და მოერგება პროექტის დამუშავების სპეციფიკასა და პირობებს, რაც სათანადო, კომპლექსური, მიზნობრივი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს.

პროექტის დამუშავების მეთოდოლოგიურ სისტემაში მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მომარჯვებელი გამოყენებით დადგინდება სამეურნეო რისკზე მომქმედი არსებითი ფაქტორების გავლენის წილი შედეგობრივ ნიშანზე. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ თითოეული ფაქტორ-პოზიციის გავლენის დონე და ხარისხი და შევიმუშაოთ დასაბუთებული სისტემა მათი ურთიერთშეთანაწყობილი და რეგულირებული გამოყენებისთვის, რასაც დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიური მიდგომებით, რომელიც კვლევის საწყის ეტაპზე დაზუსტდება და დაიხვეწება, ზედმიწვევით შესაბამება და მისი მომარჯვებელი გამოყენებით საკვებით შესაძლებელი და რეალურია სრულყოფილად გადაწყდეს კვლევის ძირითადი მიზანი და დასახული ამოცანები, შესაბამისად კი გაირკვეს ფერმერული მეურნეობების მიერ რისკის გაწევის სარწმუნოება, დადგინდეს მისი მიზანშეწონილობა და გამარ-თლებულობა, გაირკვეს მის შედეგად მიღებული სარგებლის (მოგების) პოტენციური დონე და რაც მეტად მნიშვნელოვანია შემუშავდეს რისკის მართვის, თანამედროვე პირობებისათვის მისაღები და ვარგისი მექანიზმი.

III თავი

კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი მნიშვნელობა მესნიერების, ეკონომიკის და სოციალური სფეროსათვის

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გამოკვლევებისათვის შემოთავაზებული მეთოდთა წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას მცენარეთა დაცვის ეკონომიკის საკითხების კვლევის დროს, იმ მიზნით, რომ დადგინდეს მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და ამ მიზნით გაწეული ღონისძიებების უკუგების ოპტიმალური დონეები, რასაც დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

წარმოდგენილი (შემოთავაზებული) მეთოდთა ასევე წარმატებით შეიძლება იქნას მომარჯვებული სოფლის მეურნეობაში საწარმოო პოტენციალის თითოეული ელემენტის (ფაქტორის) გამოყენების მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური და სინთეზირებული პარამეტრების გაანგარიშებისათვის, რაც უდავო სიახლესა და პროგრესულ მიდგომას წარმოადგენს.

ამრიგად, შემოთავაზებული მეთოდთა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად უნივერსალურობით ხასიათდება და მის პრაქტიკულ რეალიზაციას დიდი გარდატეხის მოხდენა შეუძლია საქართველოს აგრარულ ეკონომიკურ მეცნიერებასა და წარმოებაში.

აღნიშნული მოსაზრება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მომავალში, შემოთავაზებული მეთოდოლოგიური მიდგომები და მეთოდოლოგიური ზერხები ეტაპობრივად უნდა გაუმჯობესდეს, დაიხვეწოს და მისი პრინციპები მოერგოს აგრარულ ეკონომიკაში განხორციელებული კვლევის ფართო სპექტრსა და მასშტაბურ სივრცეს. ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისდაკავალად აღნიშნულმა მეთოდოლოგიურმა არსენალმა ახალ-ახალი განზომილებები და მოდიფიკაციები უნდა შეიძინოს, რაც ძირითადად უკავშირდება ინფორმაციული ტექნოლოგიების სრულყოფას, მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნას, დარგობრივ-რეგიონულ პროგნოზირებას და სხვა.

პროექტის შედეგების უნიკალობა

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში დღემდე სისტემატიზებული კვლევა არ ჩატარებულა და არ დამუშავებულა აგროსამეურნეო რისკის არც თეორიულ-მეთოდოლოგიური და არც პრაქტიკული ხასიათის პოზიციები (პრობლემები), ამჟამად, რომ პროექტი წარმოადგენს ორიგინალურსა და უნიკალურს. სამეურნეო რისკის კვლევას და მითუმეტეს მისი ეკონომიკური პარამეტრების დამუშავებას ფერმერული მეურნეობებისათვის, საქართველოში ანალოგი და პრეცედენტი არ მოეპოვება, ამდენად პროექტი უნიკალობის საკმაოდ მაღალი ხარისხით ხასიათდება (გამოირჩევა).

• პროექტის შედეგებზე პოტენციური მოთხოვნილების/ მომხმარებლის არსებობა

თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი პროექტი პირველად მუშავდება და მისი რეალიზაცია საშუალებას მისცემს ფერმერულ მეურნეობებს სამეურნეო საქმიანობაში დაეყრდნონ ისეთ ახალ პარამეტრებს, რჩევა-დარიგებებს, რეკომენდაციებსა და გარანტირებული მოგების მიღების ისეთ საფუძვლებს, რაც დღემდე არ გააჩნდათ და არც საშუალება ჰქონდათ რომ იგი მოეპოვებინათ (იმის გამო, რომ ასეთი კვლევა არ მიმდინარეობდა), დიდი ალბათობაა იმისა, რომ ფერმერულ მეურნეობებს კვლევის ამ პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვან და გამოსადეგ შედეგებზე დიდი მოთხოვნილება ჰქონდეთ, რაც დღითი-დღე კიდევ უფრო გაძლიერდება და აუცილებელი გახდება, რამეთუ ფერმერული მეურნეობები, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამეურნეო რისკის დასაბუთებული (გამართლებული) გაწვევის გარეშე წარმატებებს ვერ მიაღწევენ. კონკურენტული ბრძოლა მათ აიძულებს, უნდათ თუ არა, გასწიონ გამართლებული რისკი და მიაღწიონ იმას, რომ თვით მართონ იგი. ეს, რასაკვირველია, მეცნიერულ გათვლებს, დასაბუთებულ ეკონომიკურ პარამეტრებსა და მექანიზმს უნდა ეყრდნობოდეს.

ფერმერულ მეურნეობათა ხვალისდელი დღის ძირითადი საზრუნავი, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისა და საბაზრო სექტორებზე მტკიცე პოზიციების შენარჩუნების თვალსაზრისით, სამეურნეო რისკის სწორი გაწვევაა. რისკ-მენეჯმენტის გარეშე ისინი განწირულნი იქნებიან. თანაც, რისკის არეალი თანდათან გაფართოვდება და იგი ინტეგრირებული სისტემის ფორმას მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფერმერულმა მეურნეობებმა აუცილებლად უნდა გადადგან ნაბიჯები წარმოებისა და მართვის ინტეგრაციის თვალსაზრისით. ასე, რომ ფერმერულ მეურნეობათა საქმიანობაში ახალი მიდგომები და დამოკიდებულებები ისახება. ეს მიდგომები უახლოეს ხანს უკვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს დაეყრდნობა,

რაც იმას ნიშნავს, რომ რისკი და რისკ-მენეჯმენტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მდიდარ არსენალზე უნდა იყოს მორგებული და ორიენტირებული. ასე დადგება ეკონომიკური ზრდის ახალი პოზიციური მიმართულება. ცხადია, ეს უნიკალობის მაღალი ხარისხით ხასიათდება და გამოყენების აუცილებელი და დიდი მასშტაბები გააჩნია.

ამით დასტურდება ისიც, რომ კვლევის შედეგებს დიდი თვორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების, ეკონომიკისა და სოციალური სფეროსათვის.

პროექტის შედეგებზე პოტენციურ მოთხოვნილებას აძლიერებს ისიც, რომ როგორც ამ ხაზით, სამეგრელოს რაიონებში ჩატარებულმა ეპიზოდურმა კვლევამ და მისი შედეგების ნაწილობრივმა აპრობირებამ დადასტურა, ფერმერულ მეურნეობებს, როგორც ამ პროექტის შედეგების პოტენციურ მომხმარებელს, ბიზნეს-გეგმებთან ერთად, გადაუღებლად სჭირდებათ გააჩნდეთ სამეურნეო რისკის გაწვევის მიზანშეწონილობისა და დასაბუთების ანუ რისკ-მენეჯმენტის ტიპის (ხასიათის) კონკრეტული რეკომენდაციები. ისინი, სათანადო ფინანსური რესურსების გამონახვის შემთხვევაში, მზად არიან ამისათვის გააფორმონ მიზნობრივი ხელშეკრულებები, რადგანაც რწმუნდებიან, რომ ასეთი რეკომენდაციების გარეშე კონკურენტუნარიან, მოგებაზე უტყუარად ორიენტირებულ საქმიანობას კერ გასწევენ.

• პროექტის საერთო მიზნის შესრულებაში მოსალოდნელი შედეგების

წვლილის განსაზღვრისა და შეფასების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის დასრულების შედეგად მივიღებთ აგროსამეურნეო რისკის მართვის დასაბუთებულ მექანიზმს, რომელიც დაეყრდნობა ფერმერული მეურნეობების ზონალურ-დიფერენცირებული ფუნქციონირების მოდიფიცირებულ ეკონომიკურ პარამეტრებს და რომლის საფუძველზეც დადგინდებიან იქნება სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ოპტიმალური დონეები, ფერმერულ მეურნეობათა საწარმოო სპეციალიზაციის გათვალისწინებითა და მარკეტინგული მოთხოვნების მხედველობაში მიღებით.

პროექტის გამოყენებით (რეალიზაციით) შესაძლებელი გახდება რამდენადმე რეგულირებადი გახდეს, საქართველოს მასშტაბით, საბაზრო სეგმენტების სასურსათო პროდუქტებით გაჯერება, ეტაპობრივად გადაწყდეს მოხმარების რაციონალიზაციის მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-სტრატეგიული ამოცანა.

პროექტის რეალიზაციამ დადებითი წვლილი უნდა შეიტანოს საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში და საერთოდ აგრომარკეტინგული სიტუაციის გაუმჯობესებაში. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებას.

პროექტის გამოყენების შესაძლებლობის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ ისიც, რომ მისი რეალიზაციით შეიქმნება ეკონომიკური ბაზა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შემდგომი სრულყოფისათვის, მომზადდება მეცნიერული, ეკონომიკური საფუძვლები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ინტეგრირებული და მინიინტეგრირებული საწარმოების დაფუძნებისა და მათი მასშტაბების თანდათანობითი გაფართოების თვალსაზრისით.

პროექტის დასრულების შემდეგ საჭირო იქნება დავიწყოთ მისი დანერგვის პროცესი, რაც უნდა ეყრდნობოდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ფორმირებებთან (ფერმერულ და სხვა ტიპის მეურნეობებთან) სახელშეკრულეობ, საკონტრაქტო ურთიერთობებს. შეიძლება გამოინახოს ისეთი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს დამწერგავი ორგანიზაციის (იურიდიული ან ფიზიკური პირის) წილობრივ მონაწილეობას (სარგებელს) დანერგვის შედეგად მიღებულ შემოსავალში (მოგებაში). ამით საფუძველი ჩაეყრება მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ახალ პროცესს, რასაც გადაუდებლად აყენებს თანამედროვე ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკური ზრდის საერთო სახელმწიფოებრივი პოზიციები.

დამუშავებული პროექტის კომერციული პოტენციალი განისაზღვრება საქართველოში განფენილი ფერმერული მეურნეობების სიხშირითა და მათ მიერ სამეურნეო რისკის გაწევის თვალსაზრისით წამოჭრილი და არსებული მოტივაციებით, რასაც საბაზრო ურთიერთობები და კონკურენციისათვის ბრძოლა განსაზღვრავს.

IV ტავი

კვლევის ძირითადი შედეგები

4.1. ფერმერულ მიწურნეობებში რისკის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა და ძირითადი კრიტერიუმები; რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუზღვრის ოპტიმალური დონეების განსაზღვრის მეთოდიკა

თანამედროვე პირობებში, სამეურნეო რისკის პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობასა და ყურადღებას იქცევს და მის სწორ შეფასებასა და მართვაზე უპირატესად დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის მთელი პროცესი.

საერთოდ, სამეურნეო რისკის შეფასებისათვის სხვადასხვა მკვლევარისა და მენეჯერის მიერ განსხვავებული პოზიციის შემოთავაზებული.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ რისკს გამოხატავენ, როგორც თავისუფალ ქმედებას, შესაძლო საფრთხეს, ნებისმიერი საქმიანობის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ პროცესს, ნაკლებ შემოსავალს, დანაკარგებს და ა.შ. ამის შესაბამისად, მიჩნეულია, რომ იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც აბსოლუტური ისე შეფარდებითი გამოხატულებით.

უსაფრთხოების მიხედვით რისკი შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

- ტექნოლოგიური, ბუნებრივი და შერეული (ავარიული მდგომარეობა, გარემოს დაბინძურება და სხვ.);
- სტიქიური;
- ფინანსური და კომერციული;
- პროფესიონალური;
- ინვესტიციური.

გამოყოფენ ე.წ. “გონივრული რისკის” შემდეგ საზღვრებს:

1. ეკონომიკურს – როგორ არის მზად მეწარმე რისკისათვის, თუკი მის ხელთ არსებული რესურსები შეესაბამება საწარმოს განვითარების მიზნებსა და ამოცანებს. რისკის ზღვარზე მომქმედ ფაქტორებს მიეკუთვნება პრო-

დექციის წარმოებისა და რეალიზაციის სტაბილურობა, გადახდისუნარიანობა, სწორი აღრიცხვა, ბიზნესის მომგებიანობა; მეორეს მხრივ — საიმედო მართვა, ხელმძღვანელის ინტუიცია, ამას ემატება სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია;

2. სამართლებრივ-რისკი აღარ განიხილება როგორც უპასუხისმგებლობა ან დაუდევრობა.

ყველაზე რეალურ სურათს იძლევა რისკის აბსოლუტურ გამოსახულებებაში განსაზღვრა, რომელიც თავისთავად შეიძლება მოერგოს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პოზიციას, ანუ პოზიცია-ფაქტორებს. აბსოლუტურ გამოხატულებაში რისკი, როგორც წესი განისაზღვრება დანაკარგების შესაძლო სიდიდით, მატერიალურ-ნივთობრივ (ფიზიკურ) ან ღირებულებით (ფულად) გამოხატულებაში. ეკონომიკურ გამოკვლევებში პრიორიტეტი ამ უკანა-სენელს უნდა მიეცეს.

რისკის დანაკარგებში გამოხატვა ეს იგივეა რაც დანახარჯების კრიტერიუმის შემოღება. ეს იმას ნიშნავს თუ რამდენად მცირე დანაკარგია მოსალოდნელი ანუ რამდენად ნაკლები დანახარჯის გაწევაა საჭირო შედეგის მისაღწევად, ანუ რისკის გასამართლებლად. დანახარჯების უკუგება შეიძლება გამოიხატოს მოგების (+) ან წაგების (-) მიხედვით.

თუ დანაკარგები (შესადარებელ ვარიანტთან, პოზიციასთან შედარებით, ანდა საერთოდ ამა თუ იმ პოზიცია-ფაქტორის შემთხვევაში) არ იქნა (ანდა მცირე იქნა), ანუ ნაკლები დანახარჯის (სახსრების ეკონომიკური ხარჯვის) პირობებში მეტი ეკონომიკური შანსია მოგების მისაღებად (დადებითი(+)) უკუგები-სათვის), ხოლო თუ დიდია (მეტია, მაღალია) დანახარჯი-მოსალოდნელია წაგება, რაც ნიშნავს, რომ ასეთი რისკი (ლონისძიება, გზა) არ არის გამართლებული.

სამეურნეო რისკის განსაზღვრისა და შეფასების თემა ახლა გამაღებული კვლევის პროცესშია. იგი მთელი მსოფლიოს მეცნიერთა და ბიზნესმენ-მენეჯერთა დიდ ყურადღებას იპყრობს და იგი მათი კვლევისა და საქმიანობის ძირითადი სივრცეა.

რისკი, თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად ითვლება. მოისინჯა ბევრი მიდგომა და მეთოდიკა, გაიარა დისკუსიების ხანგრძლივმა პერიოდმა, რომელიც კვლავ ფართოდ გრძელდება, მაგრამ ბევრ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული შეთანხმება. ეკონომისტები ერთი ჯგუფის მანქანებლებისაქენ იხრებიან, მათემატიკოსები—მეორე ჯგუფისკენ, პროგრამისტებს თავისი შეხედულებები აქვთ და ა.შ. თუმცა, ცხადია, რომ რისკი მხოლოდ სხვადასხვა, ურთიერთდაკავშირებული გარემოს, პირობისა და ფაქტორის კომპლექსური მოქმედების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და შეფასდეს.

ჩვენი აზრით, რადგანაც რისკი, ეკონომიკური მოვლენის შიგნით, კერძოდ საწარმოო (მ.შ. სოფლის მეურნეობის) სფეროში ძირითადად ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარებას (გარისკვას) უკავშირდება და რომელიც უპირატესწილად დანახარჯების კრიტერიუმს ეყრდნობა, ასევე უპირატესად ეკონომიკური პარამეტრების გამოყენებით უნდა განისაზღვროს და შეფასდეს. ცხადია ეს არ გამორიცხავს მათემატიკური, ვარიაციული, პროგრამირების ელემენტების უხვ და მომარჯვებულ გამოყენებას. ეკონომიკა ხომ მათემატიკურ, რეგრესიულ-კორელაციურ გათვლებს ეყრდნობა და თანდათან კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ძალზე მჭიდროდ უკავშირდება.

ამრიგად, ამჟამად, რისკის განსაზღვრის შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია მეცნიერთა ფართო კვლევის საგნად რჩება, ძიებაშია ახალი მიდგომები, ახალი კრიტერიუმებისა და განზომილებების შემოღების ცდები.

ამჟამად, ძალზე პრინციპულად და აქტუალურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის და მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული კვების მრეწველობის თითოეული დარგის განვითარება უნდა ეყრდნობოდეს მკაცრად მიზნობრივ და მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებს, მორგებულ მექანიზმს, რომლის საბოლოო შედეგი მხოლოდ მომგებიანი და კონკურენტუნარიანი საქმიანობა იქნება.

უკანასკნელ ხანს ფართო აღიარება და მხარდაჭერა ჰპოვა და საბაზრო პრინციპებს მოერგო სამეურნეო რისკის თეორიისა და გამოყენებითი ხასიათის მეთოდები, რაც უტყუარ საფუძველს ქმნის ყველაზე ოპტიმალური და მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში სამეურნეო რისკის მიხედვით თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმირებისათვის, რაიონისათვის, ზონისათვის, ასევე ქვეყნის მასშტაბით, შეიძლება დადგინდეს, თუ როდის და რა მასშტაბით უნდა გავწიოთ რისკი ეკონომიკური დაბანდებისათვის, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის, დარგისა თუ მიმართულების განვითარების თვალსაზრისით. ამის შესაბამისად, ამა თუ იმ სპეციალიზაციის პირობებში, როგორ, რა ღონით, რა მასშტაბით, როგორი შეთანაწყობითა და თანმიმდევრობით, როგორი ინტენსივობით უნდა გამოვიყენოთ წარმოების რეალურად არსებული პირობები, ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტები, რათა მივიღოთ გარანტირებული მოგება, საბაზრო სეგმენტების სწორი გაჯერებისა და ათვისების, აგრეთვე საექსპორტო-საიმპორტო გამართლებული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის თეორიისა და შესაბამისად მისი შეფასების მეთოდის პრაქტიკული გამოყენების პრეცედენტი ჯერ არ გაგვანია. იგი ახლა იკიდებს ფეხს და უახლოეს წლებში ფართო მასშტაბით უნდა განვითარდეს. ეკონომიკურ გამოკვლევებში მან პრიორიტეტული ადგილი უნდა დაიკავოს.

აქ თუ მოკლე ანალოგიას მივმართავთ, უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეთა დაცვის მეცნიერებას, უკვე კარგა ხანია გააჩნია მეთოდი, რომლითაც დგინდება მცენარეთა მავნე ორგანიზმების მუწეობის ზღვარი და, ამის შესაბამისად, მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი. ეს ნიშნავს იმის დადგენას, თუ როდის ექნება მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარებას გამართლება ეკონომიკური თვალსაზრისით, მცენარეთა მავნე ორგანიზმების გავრცელების მასშტაბისა და კონკრეტული ღონის პირობებში, და ამასთან იქნება თუ არა ეს მისაღები ბიოლოგიური და აგრონომიული თვალსაზრისითაც.

როგორც ვხედავთ, შინაარსობრივად და პრაქტიკული ხედვითაც ეს ზედმიწევნით მისაღები და გამართლებული პოზიცია და მიდგომაა.

ასევე ითქმის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში სამეურნეო რისკის შესახებაც.

როგორც ჩანს, დგება საკითხი დამუშავდეს სამეურნეო რისკის შეფასების კომპლექსური მეთოდის, რომელშიც თავმოყრილი იქნება როგორც ზემოთ აღნიშნული მეთოდის მეთოდები, ისე, ის სპეციფიკური გათვლებიც, რომელიც ერთიან სისტემაში ასახავს სამეურნეო რისკის შეფასების ეტაპობრივ და ვარიანტულ შედეგებს, აგრეთვე მეურნეობრიობის ცალკეული ელემენტისა და ფაქტორის გამოყენების შეფასების სინთეზირებულ მაჩვენებლებს.

ამრიგად, სამეურნეო რისკის შეფასებით შესაძლებლობა გვეძლევა დასაბუთებულად განვსაზღვროთ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი და სტრატეგიული მიმართულებები, წარმოების სპეციალიზაცია, წარმოების პროცესზე ზემომქმედი ფაქტორების მაღალი უკუკავშირებით გამოყენების პირობები და მათი ურთიერთშეთანაწყობის დონე, ამასთან, ეტაპების მიხედვით ვარგეულიროთ დარგობრივი სტრუქტურა, არსებული რესურსებისა და საქონლის განაწილება და საბაზრო სეგმენტების გაჯერების სტრატეგიის ხარისხი, გამოვავლინოთ წარმოების ძლიერი და სუსტი მხარეები.

კვლევის შედეგად, ჩვენ შევძელით შევექმნა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის გაგებისა და შეფასების მაჩვენებელთა სრულიად ახალი სისტემა, რომელმაც წესრიგში მოიყვანა რისკის დასახვის, მისი

კრიტიკუმიების შერჩევის შეფასების (ეფექტიანობის) მაჩვენებელთა დადგენის, მათი პროგნოზირებისა და მართვის მთელი პროცესი.

ეს სისტემა მოიცავს ახლებურად დანახულ რისკის ფაქტორ-პოზიციებს (რისკ-ფაქტორებს) ანუ ურთიერთდაკავშირებულ, ურთიერთშეწონასწორებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ მაჩვენებელთა რამდენიმე მსხვილ ჯგუფს, რომელიც იყოფა რისკის გაწვევის სულების (სარისკო ღონისძიებების) შემდეგ კატეგორიებად და იანგარიშება საკვლევად შერჩეული ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის (ცალ-ცალკე);

ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფაქტორ-პოზიცია, მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მახასიათებლებს:

- წარმოების სპეციალიზაციის ღონეს;
- წარმოების (მეურნეობის) სიდიდეს;
- ფონდუზრუნველყოფის ღონეს.

ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ფაქტორ-პოზიცია, (ტექნოლოგიური უსაფრთხოების პირობით) მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მახასიათებლებს:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას;
- საფინანსო-საკრედიტო ფაქტორ-პოზიცია, მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მახასიათებლებს:

- მეურნეობის მდგრადობის ღონეს;
- მეურნეობის გადახდისუნარიანობის ღონეს;
- მეურნეობებში გაწეული დანახარჯების ღონეს.

მარკეტინგული ფაქტორ-პოზიცია, მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მახასიათებლებს:

- საქონლის ფასის ღონეს.

აღნიშნული სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია ამ სარისკო ჯგუფების შედეგობრივ ნიშნებს შორის პროპორციების დადგენა, შესაბამისი კოეფიციენტების მეშვეობით, აგრეთვე ამ თითოეული ჯგუფის ყველა ნიშნის სინთეზური (ოპტიმიზირებული) პარამეტრის შემოღება და დადგენა, რომელიც განზოგადებულად ასახავს საერთო რისკის (მისი ელემენტების ერთობლიობის) ერთიან, საბოლოო შედეგს.

მდგრადობის ღონე უნდა განისაზღვროს ფორმულით:

მ- _____

საკუთარი სახსრები

მდგრადობის დონე გაანგარიშებული უნდა იქნას კოეფიციენტის სახით. მდგრადობა გვიჩვენებს თუ რამდენად შეუძლია საწარმოს განვითარდეს საკუთარი სახსრების (შესაძლებლობების ზარჯზე) და რამდენად არის იგი დამოკიდებული გარე დაფინანსების წყაროებზე.

მოზიდული სახსრები არის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი კრედიტები.

გადახდისუნარიანობა გაიანგარიშება ფორმულით;

სს

გ/უ= _____

მგ

სს-მეუნეობის საბრუნავი (ფულადი) სახსრებია;

მგ-მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი.

გადახდისუნარიანობა დამაკმაყოფილებელია თუ კორფიციენტი (გ/უ) უდრის 2-2,5.

სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის შეფასებისათვის, აღნიშნული პოზიციების მიხედველობაში მიღებით, საქართველოში პირველად ჩვენს მიერ შემოღებულია ისეთი ახალი პარამეტრი, როგორცაა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი. ამისათვის ხმარებაში შემოგვაქვს საგანგებო, გამარტივებული სახის ფორმულა-მუდმივა.

მისი გამოყენებით დგინდება სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები, ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და სხვა ტიპის პოზიციისათვის, ანუ ფაქტორ-პოზიციისათვის.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის დადგენის ცდები ეკონომიკურ და სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ არ მოგვეპოვება. ჩვენს მიერ შემოტანილი მეთოდი სრულიად ახალი მიდგომაა და ახლებურად ასახავს რისკის გაწევის დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას. ამ მაჩვენებლის მომარჯვებით უნდა დადგინდეს რისკის გაწევით მიზანშეწონილია თუ არა ამა თუ იმ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ტექნოლოგიური ან სხვა ხასიათის ღონისძიების გატარება, მიმართულების რეალიზაცია, ანდა სამუშაოთა შესრულება, რათა ამის შედეგად ნაკლებ დანაკარგებს ქონდეს ადგილი და მიღწეული იქნას მაღალი უკუგებაც (ეკონომიკური ეფექტი). საბოლოო ჯამში ამით დასტურდება, რომ გაწეულ

რისკს, ამა თუ იმ კონკრეტული ნაბიჯის მიხედვით, გამართლება ჰქონდა და გარკვეული მოგებაც მოიტანა.

რისკის მიზანშეწონილობის ზღვრების დადგენა არ არის ერთგვრადი აქტი, იგი პერიოდულ კორექტირებას და შესწორებას მოითხოვს, მასზე ზოქმედი სხვადასხვა პირობისა და ფაქტორის გათვალისწინებით. ამის შესაბამისად, ერთ შემთხვევაში ამ ზღვრის ერთი ღონე შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს, მეორე შემთხვევაში კი მეორე, რადგანაც იგი დგინდება განყენებულად ერთი რომელიმე ეკონომიკური სვლის (ღონისძიების, ზიპართულების და ა.შ.) მიხედვით. აი, რაც შეეხება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების სინთეზირებულ მაჩვენებლებს (რის შესახებაც ქვემოთაა აღნიშნული), ისინი რაც უფრო სტაბილური და მაღალი იქნება, მით მეტ დასაბუთებულობას ანიჭებს წარმოების კაპოლის პროცესს, ასეთი რისკის პირობებში.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდური მიდგომის მიხედვით, სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები დგინდება შემდეგი სახის ფორმულის (ფორმულა-მუდმივას) გამოყენებით:

$$R = (X \cdot 2) / P$$

სადაც: **R** – რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი;

X – გაწეული ხარჯები (ლარი), კონკრეტულ ღონისძიებებზე ან ბოლიანად საწარმოში (მეურნეობაში, ფირმაში), კონკრეტული ფაქტორის მიხედვით.

P – მიღებული შემოსავალი (ლარი), კონკრეტული ღონისძიების კატარების შედეგად, ან ბოლიანად მეურნეობის (ფირმის) მიერ.

მაგ. გაწეული ხარჯები მეურნეობაში 13ა-ზე უდრის 100 ლარს, მიღებული ბოლიანი შემოსავალი 13ა-ზე არის 250 ლარი. მაშინ

$$R = (100 \cdot 2) / 250 = 0,80$$

ეს ნიშნავს, რომ ყოველი 1 ლ. შემოსავალი მიიღება 0.80 ლარის დანახარჯის პირობებში, ანუ ყოველ მიღებულ (მისაღებ) 1 ლარ შემოსავალზე გასაწევი ხარჯების მაქსიმალური ზღვარია 0,80 ლარი.

რაც ნაკლებია ეს პარამეტრი, მით მეტი გამართლება აქვს რისკს (ამ სარისკო ღონისძიების კატარებას).

ამის გარდა, რისკის შესაფასებლად ჩვენ ვიყენებთ მეორე ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა რისკის უკუგების ღონე. იგი, ცნობილი მეთოლოგოიური მიდგომების საფუძველზე ინგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$L = (P - X) / X$$

სადაც: L არის რისკის უკუგების დონე (კოეფიციენტის სახით გამოხატული);

X – გაწეული ხარჯები (ლარი);

P – მიღებული შემოსავალი (ლარი).

L – ნიშნავს, ყოველ დახარჯულ ლარზე თუ რამდენი ლარი შემოსავალი მიიღება.

თუ L მაჩვენებელს გაავარაულებთ 100-ზე, მივიღებთ მოგებას, პროცენტობით.

სამეურნეო რისკის მეთოდის საკითხებზე მუშაობისას, ჩვენ ეცადეთ რამდენადმე დაგვეზუსტებინა რისკის უკუგების ზემოთ შემოთავაზებული ფორმულა და მას შემდეგი სახე მიეცით:

$$L = ((R \cdot P) - X) / X$$

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ასეთი მიდგომა, როცა უკუგების დონე დგინდება ეკონომიკური მიზანშეწონილობის ზღვრის კორექტირებით, გამოიყენება მცენარეთა დაცვის ეკონომიკის საკითხების კვლევისას, სადაც მან გაამართლა. ჩვენს შემთხვევაში კი ასეთმა მიდგომამ მთლად სწორი სურათი არ გვიჩვენა. კორექტირების ამ წესის გამოყენებით ხელოვნურად შემცირდა რეალური უკუგების დონე, თუმცა სავსებით შეიძლებოდა მის მიხედვითაც გარკვეული დასკვნების გამოტანა და რისკის უკუგების დონის ერთ-ერთი ვარიანტად წარმოდგენა.

ამას მიუხედავად, მეცნიერული ლოგიკის საფუძველზე უფრო გამართლებულად მივიჩნით გვეჩვენებინა რისკის უკუგების აბსოლუტური და არა კორექტირებული დონე, რითაც სრულად გამოჩნდებოდა ღირებულებით მაჩვენებელში ამა თუ იმ პოზიციის რისკისათვის გაწეული დანახარჯების უკუგების დონე. რისკის შეფასებისათვის კი სწორედ ეს აბსოლუტური მაჩვენებელია მეტად მნიშვნელოვანი და მის საანალიზოდ განმსაზღვრელი.

ასეთი მეთოდოლოგიური წიაღსვლები იმისკენ გვიბიძგებს, რომ მომავალში საჭიროა თანდათან და გზადაგზა კიდევ უფრო დაიხვეწოს რისკის შეფასების ეკონომიკური მეთოდები, შემოტანილი იქნას ახალი მიდგომები, პარამეტრები და მახასიათებლები. ეს განსაკუთრებით უნდა დაუკავშირდეს იმას, რომ რისკი ერთ და ორ ფაქტორსა და პირობას როდი უკავშირდება, იგი ეკონომიკურ-ორგანოზაციულ დონისძიებათა მთელი კომპლექსის მოთხოვნა, გამოვლინება და ამავე დროს შედეგია, და, თუ უფრო ჩაუღრმავდებით ამ საკითხს, რისკი უკავშირდება არა მარტო ეკონომიკურ-ორგანიზაციულ, არამედ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა ასპექტებსა და ფაქტორებს, რომელთა ურთიერთშეწო-

ნასწორებული მოქმედების გათვალისწინება, როგორც წესი აუცილებელი და გარდაუვალია.

ასეთი სიღრმისეული კვლევები მომავლის საქმეა.

ამ მოსაზრების მხედველობაში მიღებით ჩვენ შევეცადეთ ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა რისკის გამპირობებელი რამდენიმე ფაქტორ-პოზიცია, კერძოდ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური, საფინანსო-საკრედიტო და მარკეტინგული ფაქტორ-პოზიციები, რისთვისაც შემოვიტანეთ და გამოვიყენეთ ისეთი პარამეტრი, როგორცაა რისკის მიზანშეწონილობისა და მისი ეფექტურობის შეფასების სინთეზური მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს ოპტიმიზებულ, შეწონასწორებულ, ინდექსური ტიპის მახასიათებელს. იგი გასაშუალებულად ავლენს, ვერ ერთი რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს და მეორეც-მისი უკუგების, ანუ ეფექტიანობის დონეს, რომელიც მყარ საფუძველს გვაძლევს განზოგადებულად ვიმსჯელოთ რისკის საერთო გამართლებულობასა და შედეგზე და საფუძვლიანი დასკვნებიც გაეაკეთოთ.

ამ მსჯელობის შესაბამისად, მომავლის თემად მიგვაჩნია ამ მახასიათებლების მრავალფაქტორული ანალიზის ჩატარება და საამისო კომპი-უტერული პროგრამის შედგენა, რაც წინ წასწვევს ეკონომიკურ მეცნიერებას.

რისკის შეფასების კომპლექსურობისათვის შემოგვაქვს ასევე ახალი მიდგომა: დადგინდეს პროპორციები რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და რისკის უკუგების დონეს შორის. იგი გვიჩვენებს ამ ორ მაჩვენებელს შორის დამოკიდებულების კანონზომიერებას და ასახავს მათი ურთიერთქმედების ტენდენციას, დგინდება მათ შორის დამოკიდებულების ოპტიმალური ფარგლები, რაც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია რისკის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით. ეს მიდგომაც პირველად გამოიყენება საქართველოში და იგი მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე საჭირო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ეს პროპორციები დგინდება ამ ორი მაჩვენებლის, უკუგების და მიზანშეწონილობის ზღვრის, ერთმანეთზე გაყოფით და გამოიხატება კოეფიციენტის სახით.

$$\text{მაგ. } L / R = 1,5 / 0,80 = 1,87$$

$$\text{ან } 2,0 / 0,66 = 3,03$$

იგი გვიჩვენებს რისკის უკუგებასა და მის მიზანშეწონილობას შორის არსებულ ფარდობით პროპორციას და ასახავს, რომ, რაც მაღალია პროპორციულობის კოეფიციენტი, მით მეტადაა გამართლებული რისკი ამა

თუ იმ პოზიციის მიხედვით. ამ პარამეტრით დადგინდება აგრეთვე ამ პროპორციების მერყეობის ფარგლები.

ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების დონეების ჩამოთვლილი და გაანალიზებული პარამეტრები მართალია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგრამ მაინც არ გვიხატავს რისკის კომპლექსურ და სრულად, სხვადასხვა მიდგომათა ურთიერთმეწონისწორებულად შეფასების შეგვრებულ სურათს.

ამისათვის საჭირო ხდება შემოტანილი იქნას ახალი მახასიათებელი რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების სინთეზური მაჩვენებლის სახით, კერძოდ: SR – რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზური მაჩვენებელი და SL – რისკის უკუგების დონის სინთეზური მაჩვენებელი, რომლებიც ყველა ძირითადი ფაქტორის, პირობისა და გარემოს ურთიერთკავშირში ერთიანად და განზოგადებულად ახსნის რისკის მიზანშეწონილობასა და უკუგებას.

ეს მაჩვენებელი რისკის მისაღები ეკონომიკური ზღვრებისათვის იანგარიშება ასე: თითოეული ელემენტის ჯამის შეფარდებით ამ ელემენტთა რიცხვზე.

მაგალითი: $SR = (R1 + R2 + R3 + R4 + R5 + R6 + R7) / 7 =$

$$(0,80+0,60+0,65+0,40+0,55+0,75+0,90) / 7 = 4,65 / 7 = 0,66$$

SL იანგარიშება წინა მაჩვენებლის ანალოგიურად. ამ მაჩვენებლის ანალიზით დგინდება, რომ რაც დაბალია SR და რაც მაღალია SL მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა ერთობლიობით გაწეული რისკი.

– მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების აბსოლუტური დონეები, აგრეთვე მათი სინთეზირებული მაჩვენებლები იანგარიშება ცალკეული ტიპური მეურნეობისათვის, ზემოთ აღნიშნული შემდეგი არსებითი და შედეგობრივი ნიშნების შესაბამისად, დაეჯუფების მეთოდით:

1. სპეციალიზაციის კოეფიციენტის ნიშნის მიხედვით;
2. ძირითადი კულტურის ფართობის ნიშნის მიხედვით (მეურნეობის სიდიდის განმსაზღვრელი ნიშანი);
3. პირუტყვის სულადობის ნიშნის მიხედვით (მეურნეობის სიდიდის განმსაზღვრელი ნიშანი);
4. ფონდუზრუნველყოფის დონის ნიშნის მიხედვით;
5. ძირითადი კულტურის მოსავლიანობის ნიშნის მიხედვით;
6. მდგრადობის დონის ნიშნის მიხედვით;

7. ძირითადი სახის პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ნიშნის მიხედვით;

8. მეურნეობის მიერ გაწეული დანახარჯების ნიშნის მიხედვით.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომის ჩარჩოებში აღვნიშნავთ, რომ მართვის მექანიზმში უნდა გავიგოთ და წარმოვიდგინოთ როგორც სისტემა, შემდეგი პოზიციების მიხედვით:

1. როგორი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა;
2. როგორი უნდა იყოს სპეციალიზაციის დონე;
3. როგორი უნდა იყოს თითოეული რისკ-ფაქტორის (რისკ-პოზიციის) დონე;
4. როგორი უნდა იყოს მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვა-რი თითოეული ტიპისათვის;
5. როგორი უნდა იყოს უკუგების დონე თითოეული ტიპისათვის;
6. როგორი უნდა იყოს მდგრადობის კოეფიციენტი თითოეული ტიპისათვის;
7. როგორი უნდა იყოს გადახდია-უნარიანობის კოეფიციენტი თითოეული ტიპისათვის;

გაანგარიშებული იქნას ყველა ამ მაჩვენებლის მიხედვით სინთეზირებული პარამეტრი და იგი უმდა მივიჩნიოთ რისკის მართვის ერთიან ფორმულა-რეკონომენდაციად.

უნდა განისაზღვროს ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღების ინდიკატორული პოზიციები.

4.2. საქართველოში ფერამერულ მემურნეობათა განვითარების უაძტიური დონის, ძირითადი ტემდენციებისა და კანონზომიერებების დადგენა, რისკ-უაძტიროების მოძმედების შეფასებისა და რისკის მართვის მძმანიზმის შესამუშავებლად ზონალურ-ტიპიური (მასროფილებელი) ფერამერული მემურნეობების გამოყოფის მიზნით

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იანი წლების პერიოდიდან, ძველი ორგანიზაციული სტრუქტურების ნაცვლად, როგორც სხვა სფეროებში, ისე სოფლის მემურნეობაშიც, დაფუძნდა და ჩამოყალიბდა ისეთი, სრულიად ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორიცაა: ინდივიდუალური საწარმო, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი.

ამ ფორმათა უმრავლესობამ, სოფლის მემურნეობაში, ამ დარგის ბუნებრივ-ეკონომიკური სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, ფართო გასაქანი ვერ ქპოვა და მათ ნაცვლად ძალზე დიდი მასშტაბი შეიძინა აგრარული სექტორისათვის ზედმიწევნით მორგებულმა და ისტორიულ ფესვებზე დამყარებულმა ისეთმა ფორმამ, როგორიცაა ფერმერული (გლებური ან/და ოჯახური) მემურნეობები, რომელთა რაოდენობაც 800 ათასს აღემატება.

მისანიშნებელია, რომ ამ ფორმირებათა ჩამოყალიბების პროცესი სამეწარმეო კანონის გვერდის ავლით მოხდა და ფერმერული მემურნეობების შექმნის ფართომასშტაბურმა ფაქტმა იურიდიული სტატუსის ძალა შეიძინა. ეს, თითქმის უპრეცედენტო შემთხვევაა ეკონომიკურ და იურიდიულ პრაქტიკაში.

სტატისტიკურ დოკუმენტაციაში (კრებულებში) ამ მემურნეობათა საქმიანობამ ფართო ასახვა ჯერ ვერ ქპოვა. მათ შესახებ მასალების მოპოვება, მეტ-ნაკლებად, გაძნელებულია, საანალიზო კონკრეტული მაჩვენებლების აღება კი, მათთან უშუალო კონტაქტების საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

რაც შეეხება დანარჩენ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს: სააქციო საზოგადოებებს, შპს-ებს და სხვა (რომელთა ნაწილიც თანდათან გარდაიქმნა ფერმერულ მემურნეობებად), მათი საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ხასიათის მასალის მოპოვება თითქმის შეუძლებელია, ანდა, თუ ეს როგორმე მოხერხდა, ის, ისეთი მწირი და ღარიბია, რომ მის

საფუძველზე რაიმე მეცნიერული ანლიზის ან დასკვნის გაკეთება და მითუმეტეს ტენდენციებისა და კანონზომიერებების დადგენა შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, საგრანტო პროექტის პროგრამით ჩატარებულმა გამოკვლევებმა ერთმნიშვნელოვნად მოიცვა ფერმერული (გლეხური ან/და ოჯახური) მეურნეობების სიერცე. ამ მიდგომის სისწორე მხოლოდ იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ, ამჟამად, ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებზე მოდის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 28 %, სახნავის— 57,8 %, მრავალწლიანი ნარგავების 43,8 %, გარდა ამისა, ფერმერული (გლეხური) მეურნეობები აწარმოებენ საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის აბსოლუტურ მოცულობას (იხ. ქვემოთ).

უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები კვლავ გაიზრდება, თუმცა იმ სახეცვლილებით, რომ მათ ბაზაზე უფრო გაბედულად და დასაბუთებულად აღმოცენდება კოოპერატიული და მინი-ინტეგრირებული ფორმირებები, ცხადია, გამოკვლევათა პოზიციური მიდგომებიც ამისდაკვალად შეიცვლება და დაიხვეწება. ამ თვალსაზრისით აუცილებელია მტკიცე სამართლებრივი ბაზის შექმნა.

ფერმერული მეურნეობების მასალების მიხედვით, სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტიური მდგომარეობის, ძირითადი ტენდენციებისა და კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ უკანასკნელ წლებში, გარკვეული დადებითი ცვლილებები მოხდა ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს გამოყენებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელი სურათი და განვითარების დონე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ნათესი და მრავალწლიანი კულტურების ფართობების, სასოფლო-სამეურნეო დარგების გაადგილებისა და პროდუქციის წარმოების მოცულობების თვალსაზრისით, შემდეგნაირია:

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი (ათას ჰექტარობით) შეადგენს 3025,8, მ.შ. კერძო საკუთრებაშია 767,3 (25,35); სახნავი-801,8 (26,5%), მ.შ. კერძო საკუთრებაში 438,5 (54,7%); მრავალწლიანი ნარგავები-263,8 (8,7%), მ.შ. კერძო საკუთრებაში 180,5 (68,4%); სათიბები-143,8, მ.შ. კერძო საკუთრებაში 44,0 (30,6%); საძოვარი-1796,6, მ.შ. კერძო საკუთრებაში 84,5 (4,7%).

გამოკვეთილად დგინდება ის ტენდენცია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან რეგიონთა უმრავლესობაში იზრდება სახნავი მიწები, ხოლო მრავალწლიანი ნარგავები რამდენადმე მცირდება, აღინიშნება სათიბ-საძოვრების ზრდაც. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს სავარგულების

არაეფექტურ და არაინ-ტენსიურ გამოყენებაზე. ინტენსიური სავარგულების დაბალინ-ტენსიურში გადაყვანა აიხსნება იმით, რომ მიწის მესაკუთრების-ფერმერული მეურნეობების უმეტესობა არ, ანდა ვერ ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რის გამოც ის გადადის სათიბ-საძოვრების კატეგორიაში. ვფიქრობთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ სანქციებს ამ თვალსაზრისით, რამეთუ ეროვნული ეკონომიკის 17-18% პირდაპირ არის დამოკიდებული აგრარულ ბაზარზე.

მთლიანი ნათესი ფართობი შეადგენს 534,5 ათას ჰა, რომელთაგან ფერმერულ მეურნეობებში მოქცეულია 504,8 ათასი ჰა. (94,0%), მთელ ნათეს ფართობში საშემოდგომო მარცვლეული კულტურები იკავებს 133,8, საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები-242,0; სიმინდი-189,1; პარკოსანი კულტურები-17,6; ტექნიკური კულტურები-39,5; ბოსტნეული კულტურები-40,9; კარტოფილი-38,4; საკვები კულტურები-51,7 ათას ჰა-ს.

მარცვლეული და პარკოსანი კულტურები ფერმერულ მეურნეობებში იკავებს 333,2 ათას ჰა-ს (93,6%), კარტოფილი, ბოსტნეული და ბალჩეული-84,3 ათას ჰა-ს (97,5%), ტექნიკური კულტურები-37,1 ათას ჰა-ს (93,9%), საკვები კულტურები-49,7 ათას ჰა-ს (96,1%).

უკანასკნელი წლების მონაცემებით, საქართველოში, სახნავი მიწები, 1990 წელთან შედარებით, 4,9 ათასი ჰექტრით გაიზარდა, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი კი 60,0 ათასი ჰექტრით შემცირდა, რაც სახნავი მიწების ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია. ამჟამად, რომ ინტენსიური სავარგულების დიდი ფართობები ტრანსფორმირდება დაბალინტენსიურ სავარგულებში, რისი მიზეზიცაა ეროზიული პროცესების განვითარება. ეს იმის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს, რომ უნდა გატარდეს კულტტექნიკური და აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რათა მოხდეს ამ მიწების ტრანსფორმირება სახნავში.

აღნიშნულ პერიოდში, სათიბების ფართობი 14,1 ათასი ჰექტრით, საძოვრებისა კი 186,5 ათასი ჰექტრით შემცირდა, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საქართველო ვეღარ სარგებლობს მის ფარგლებს გარეთ (ყიზლარში) არსებული ზამთრის საძოვრებით. ამის გამო ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შემცირდა 241,9 ათასი ჰექტრით.

ყოველი ჰექტარი მიწის სავარგულების შენარჩუნებისა და ინტენსიური გამოყენებისათვის აუცილებელია მათი რაციონალური და მკაცრად მიზნობრივი გამოყენება და დაცვა მანვე პროცესებისაგან. ამით თავიდან იქნება აცილებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასასურველი ტრანსფორმაცია;

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იმ მიწების გამოყენება, რომლებიც სპეციალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში, მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული განიცდის ეროზიულ ზემოქმედებას, ხოლო ეროზირებულია 852,0 ათასი ჰექტარი, დამლაშებული, ბიცი და ბიცობია 250,0 ათასზე მეტი ჰექტარი სავარგული.

როგორც ირკვევა, უკანასკნელი წლების მონაცემებით, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას საკუთრებაში გადაეცა 767,3 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული (ქვეყნის მთლიანი სავარგულების 25,2%), აქედან, 438,5 ათასი ჰა. სახნავე (57,1%), 180,5 ათასი ჰა. მრავალწლიანი ნარგავები (23,5%), 44,0 ათასი ჰა. სათიბი ფართობი (5,7%), 84,5 ათასი საძოვარი (11,1%).

იჯარით გაცემულია 903,0 ათასი ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგული (40,0%), 230,5 ათასი ჰა. სახნავე (10,2%), 20,7 ათასი ჰა. მრავალწლიანი ნარგავები (1,2%), 45,8 ათასი ჰა. სათიბი (2,0%), 600,0 ათასი ჰა. საძოვარი (26,6%).

ფიზიკურ პირებზე გაცემულია 473,1 ათასი ჰა, ანუ საშუალოდ 11,4 ჰა; იურიდიულ პირებზე-432,0 ათასი ჰა, ანუ საშუალოდ 102,9 ჰა.

სახელმწიფო საკუთრებაში, გაუცემლად დარჩენილია 2258,5 ათასი ჰა. (33,8%) სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მ.შ. 363,3 ათასი ჰა. სახნავე (16,1%), 83,3 ათასი ჰა. მრავალწლიანი ნარგავები (3,7%), 98,8 ათასი ჰა. სათიბი (4,4%), 1712,1 ათასი ჰა საძოვარი (75,8%).

კვლევამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელ წლებში, 1996 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 33,0 %-ით და შეადგინა 2224,0 ათასი ლარი, მ.შ. მემცენარეობისამ-1171,0, ხოლო მეცხოველეობისამ-1053,0 ათასი ლარი. ერთ სულ მოსახლეზე ზორბლის წარმოება გაიზარდა 36 კგ-ით (ანუ 3.3 ჯერ), სიმინდისა-25 კგ-ით (30.8 %-ით), კარტოფილისა-24 კგ-ით (32.4 %-ით), ბოსტნეულისა-10 კგ-ით (11.2 %-ით), ხორცისა-1.0 კგ-ით (4.2 %-ით), რძისა-76 კგ-ით (76 %-ით), კვერცხისა-48 ცალით (84 %-ით).

გამოვლინდა, რომ 1995-2006 წლებში მემცენარეობის დარგებთან შედარებით უფრო სტაბილურად იზრდება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები, ამის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მემცენარეობის დარგის ხვედრითი წილი შეადგენს 53 %, (1988 წლამდე ეკავა 47-48%), რაც გამოწვეულია მეხილეობის, მევენახეობის, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ხვედრითი წილის ზრდით. მეცხოველეობის დარგის ხვ. წილი, 47 % შეადგენს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი წარმოებიდან ფერმერულ მეურნეობებზე მოდის მარცვლეულის წარმოების 94%, ხორბლის—81, ქერისა და სიმინდის—99%, პარკოსნების—100%, მზესუმზირის—91%, თამბაქოს—100%, სოიოს—100%, კარტოფილის—78%, ბოსტნეულ-ბალჩიულის—99%, ხილის—99,8%, ციტრუსის—100%, ყურძნის—92%, ჩაის—68%, ხორცის—97,8%, კვერცხის—86,2%, მატყლის—100%, თაფლის—100%.

ამ მონაცემებით კვლავ დასტურდება ის ფაქტი, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები სწორედ ფერმერული მეურნეობები არიან. მათ მიერ იწარმოება 852,0 მლნ. დოლარის (მიმდინარე ფასებში) სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია. წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციიდან 98,2% ფერმერულ მეურნეობებზე მოდის, ხოლო დანარჩენი 1,8% სახელმწიფო საწარმოებზე.

როგორც საგანგებო გათვლები და სოფლის მეურნეობის სიტუაციური ანალიზი ადასტურებს, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის არსებული არასტაბილური დონე (ხასიათი) გარკვეული დროის მანძილზე კვლავ იქნება შენარჩუნებული, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ყოფილი და ახალი ბაზრების დაბრუნებით არ იქნება მიღწეული მეხილეობის, მევენახეობის, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგების განვითარების ოპტიმალურად რეალური და ამასთან, მისაღები პირობები და შესაბამისად მასშტაბები.

ნიშანდობლივი და ხაზგასასმელია, რომ ნელ-ნელა მაგრამ მინც იკვეთება, ქვეყნის ცალკეულ რეგიონში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონის გაღრმავების ტენდენცია, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით უდავოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს. ეს, დასტურდება მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზითაც. წარმოების ეფექტიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებლის—სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოსავალი 1 ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე—ცვლილებაზე ყველაზე დიდი გავლენას ახდენს წარმოების სპეციალიზაციის დონე, რომლის ერთი პროცენტით ზრდა იწვევს ამ შედეგობრივი მაჩვენებლის 0,46 %-ით ზრდას.

მძიმე ეკონომიკური პირობებისა და იმის გამო, რომ არ არსებობს გარანტირებული სასურსათო ბაზარი, მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს ისეთი სასურსათო პროდუქტების წარმოებას, როგორცაა: მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქცია, ამიტომაც 1988 წლიდან მოყოლებული მარცვლეულის წარმოების ხვ. წილი 7,5 % იდან 11.3 % მდე ამაღლდა, ბოსტნეულისა—6.7 დან 9.7 % მდე, კარტოფილისა 5.2 დან 8.3 % მდე.

ამის მიუხედავად, უკანასკნელი წლების მონაცემებით, საქართველოში მთლიანად იწარმოება (ათას ტონობით): მარცვლეული-327 (2003 წლის 754 ის ნაცვლად), მ.შ. ხორბალი-70 (225 ის ნაცვლად); კარტოფილი-169 (425 ის ნაცვლად); ბოსტნეული-180 (430 ის ნაცვლად); ხილი-153 (260 ის ნაცვლად); ყურძენი-162 (200 ის ნაცვლად);

უკანასკნელ წლებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში შექმნილმა არახელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა. 2006 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2003 წლის მონაცემებს. (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების მოცულობები დინამიკაში (ათასი ტონა)

პროდუქციის დასახელება	წლები			2003 წელი 2000 წელთან		2006 წელი 2000 წელთან	
	2000	2003	2006	ზრდის ტემპი	მატების ტემპი	ზრდის ტემპი	მატების ტემპი
1.მარცვლეული	420	754	327	179,5	+79,5	77,9	-22,1
მ.შ. ხორბალი	89	225	70	252,8	+152,8	78,7	-21,3
2. კარტოფილი	302	425	169	140,7	+40,7	56,0	-44,0
3. ბოსტნეული	354	430	180	121,5	+21,5	50,8	-49,2
4. ხილი	250	260	153,3	104	+4,0	61,3	-38,7
5. ყურძენი	210	200	162	95,2	-4,8	77,1	-22,9
6. ციტრუსი	40	59,2	52,2	148	+48	130,5	+30,5
7.მსხ.რქპირ. ხორცი	48,3	50,1	44,2	103,7	+3,7	91,5	-8,5
8.ღორის ხორცი	36,9	36,7	35,5	99,5	-0,5	96,2	-3,8
9.ცხვრის ხორცი	8,8	8,4	9,5	95,5	-4,5	107,9	+7,9
10.ფრინველის ხორცი	13,7	13,4	10,5	97,8	-2,2	76,6	-23,4
11.რძე და რძის პროდ	642	765	715	119,2	+19,2	111,4	+11,4
12.კვერცხი (მლნ.ყალი)	361	458	360	126,9	+26,9	99,7	-0,3

წარმოების მოცულობების დაქვეითება ძირითადად განაპირობა ერთ-წლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობების შემცირებამ.

2000, 2003 და 2006 წლებში მარცვლეულის მოსავლიანობამ შესაბამისად შეადგინა: 13,5; 21,1 და 15,7ც/ჰა, მ.შ. ხორბლისამ- 10,4; 19,2 და 12,5; სიმინდისამ- 16,2; 24,3 და 18,4; კარტოფილისამ- 88,9; 116,6 და 74,0; ბოსტნეულისამ- 93,4; 150,2 და 65,8 ც/ჰა.

დადგინდა, რომ სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში (საბაზრო ფასებით) რამდენადმე მზარდია მეცხოველეობის ხვ. წილი. მეცხოველეობის დარგებიდან თავისი სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობით გამოირჩევა და პირველ ადგილზეა მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა (მთლიან პროდუქციაში-38,5%-ით). აღნიშნული მდგომარეობა გაპირობებულია მეცხოველეობის პროდუქციაზე მზარდი და გაცილებით მაღალი საბაზრო ფასებით. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს დარგები მინც სუსტად არის განვითარებული, ვერ პასუხობენ ბაზარზე შექმნილ მერყევ კონკურენციას და მოთხოვნა-მიწოდების მოტივაციებს.

საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში, 2006 წლის მდგომარეობით, ირიცხება (ათას სულაბით): მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი-1163,6 (2003 წლის 1242,5 ათასის ნაცვლად), მ.შ. ფური-681,0 (2003 წლის 728 ათასის ნაცვლად); ღორი-343,1 (2003 წლის 478,8 ათასის ნაცვლად); ცხვარი და თხა-789,2 (2003 წლის 722,2 ათასის ნაცვლად); ფრინველი- 5331,7 (2003 წლის 9200,6 ათასი ფრთის ნაცვლად). იხ ცხრილი 2.

სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში, მეცხოველეობის მაღალი ხვედრითი წონის მიუხედავად, წლების განმავლობაში, ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია მისი პროდუქტების წარმოების დონე, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. 2006 წელს, ამ მაჩვენებელმა ყველა სახის ხორცის მიხედვით მიაღწია 22,6 კგ; რძის მიხედვით-162,5 კგ. კვერცხის მიხედვით- 82 ცალს. მოხმარებამ კი შეადგინა შესაბამისად: 29,5; 186,0 კგ. და 80 ცალი, რაც ადამიანის ფიზიოლოგიურ ნორმებთან (62; 319 კგ. და 220 ცალი) შედარებით საგრძნობლად დაბალია. ეს დანაკლისი ივსება იმპორტით და ხელს უწყობს ქვეყნიდან ვალუტის გადინებას (2006 წელს შემოტანილი იყო 32,1 ათასი ტონა ხორცი, მ.შ. 8,0-საქონლის, 8,6-ღორის, 0,1-ცხვრისა და თხის და 15,4 ათასი ტონა ფრინველის; რძე და რძის პროდუქტები - 136 ათასი ტონა და კვერცხი 45 მილიონი ცალი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში სურსათის მოხმარების ასეთი დაბალი დონე გამოიწვია მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გადახდისუუნარობამ.

2006 წელს, მეურნეობათა ყველა კატეგორიაში წარმოებულია ყველა სახის ხორცი (დაკლული წონით) 100,3 ათასი ტონა, ანუ 7,9 %-ით ნაკლები ვიდრე 2003 წელს, ყველა სახის რძე-715,5 ათასი ტონა ანუ

6,5%-ით ნაკლები და კვერცი 359,6 მილიონი ცალი, ანუ 21,5%-ით ნაკლები. რაც შეეხება მატყლის (ფიზიკური წონით) და თაფლის წარმოებას, შესაძარის პერიოდში, გადიდებულია შესაბამისად 3,8 და 7,5%-ით.

2000-2006 წლებში, ყველა სახის ხორცის წარმოება (დაკლული წონით) იზრდება სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში, ძირითადად ღორის ხორცის წარმოების ხარჯზე (ღორის ხორცის მატებამ შეადგინა შესაბამისად 78,1 და 131,1%); მცხეთა-მთიანეთის მხარეში-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (71,0%) და ღორის ხორცის (50,3%) ხარჯზე; ქვემო ქართლის მხარეში კი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (17,5%) და ცხერისა და თხის (72,8%) ხორცის ხარჯზე. დანარჩენ მხარეებში ამ პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვნადაა შემცირებული, რამაც განაპირობა ხორცის წარმოების საერთო შემცირება ქვეყნის მასშტაბით.

2006 წელს, 2003 წელთან შედარებით, ყველა სახის რძის წარმოებამ იმატა შიდა ქართლის, კახეთის და ქვემო ქართლის; კვერცხის წარმოებამ- მხოლოდ ქვემო ქართლის; მატყლის წარმოებამ (ფიზიკური წონით)- აჭარის, გურიის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის, ხოლო თაფლის წარმოებამ აჭარის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, კახეთის, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის მხარეში. დანარჩენ მხარეებში აღნიშნული პროდუქტის წარმოება შემცირებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდება უნდა მოხდეს, როგორც სულადობის მაქსიმალურად ზრდის, ისე მაღალპროდუქტიული, ელიტური პირუტყვის შემოყვანით (ეს პროცესი უკვე დაწყებულია), ძირითადად კი აბორიგენული პირუტყვის მოშენებისა და ჯიშური გაუმჯობესებების საფუძველზე მიღწეული პროდუქტიულობის ამაღლების გზით. ეს უკანასკნელი კი ადგილობრივი, იაფი ბუნებრივი საკვები სავარგულების მაქსიმალურად ათვისების საშუალებას მოგვცემს.

ცნობილია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას, ჯიშურ შემადგენლობასთან ერთად განაპირობებს ფერმების სიდიდე, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის კონცენტრაციის დონე, პროდუქტიულობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, შენახვის ხერხები და სხვა ფაქტორები. დღეისათვის, ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ 2-3 სული სხვადასხვა სახის პირუტყვი მოდის, რაც არაეფექტურია. იმისათვის, რომ ძირეული ცვლილებები მოხდეს მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში, აუცილებელია აღვადგინოთ და შევქმნათ მეფრინველეობის და მეცხოველეობის სხვა დარგების საშუალო და მსხვილი სპეციალი-

5. მერაბ ალადაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა).

საგარეუკოს რაიონში:

1. გიორგი კველიშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
 2. ბიძინა კველიშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
 3. ვაჟა მეკოკიშვილის მეურნეობა (მებაღეობა);
 4. იოსებ ჭერიეიშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა-მევენახეობა);
 5. იოსებ ბაჩიაშვილის მეურნეობა (მევენახეობა);
 6. ზაზა გურჯიძის მეურნეობა (მეცხოველეობა-მემარცვლეობა);
 7. პაატა ბუნიაშვილის მეურნეობა (მეცხოველეობა-მემარცვლეობა).
3. ქ. თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონიდან:

გარდაბნის რაიონში:

1. „გარდაბნის,“ მეურნეობა (მემარცვლეობა);
2. „ბირლიკის“ მეურნეობა (მემარცვლეობა);
3. ა.მუსევეის მეურნეობა „ქართული ვაზი“ (მემცენარეობა);
4. „საცდელი სადგური“ (მემარცვლეობა);
5. ბახრამ ისმაილოვის მეურნეობა (მემარცვლეობა).

მარნეულის რაიონში:

1. გელა დეკანოიძის მეურნეობა (მებოსტნეობა);
2. ილო ჩხიტიანიძის მეურნეობა (მებოსტნეობა);
3. ზაურ ჩხიტიანიძის მეურნეობა (მებოსტნეობა-მეხილეობა);
4. ცაგო ლობჯანიძის მეურნეობა (მეცხოველეობა).

ბოლნისის რაიონში:

1. ბორის გელერის მეურნეობა (მემარცვლეობა);
2. რიზა ყურბანოვის მეურნეობა (მემარცვლეობა-მებოსტნეობა);
3. ბესიკ მიქელაძის მეურნეობა (მეკარტოფილეობა-მემარცვლეობა);
4. შუქრი დევნოზაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა).

4. შიდა ქართლის მეხილეობისა და საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონიდან:

კასპის რაიონში:

1. შოთა შუშაბერიძის მეურნეობა (მემარცვლეობა-მეცხოველეობა);
2. გია გოდერძიშვილის მეურნეობა (მეცხოველეობა);
3. ილო ბეგლარაშვილის მეურნეობა (მეცხოველეობა-მემარცვლეობა);
4. გაეი დემეტრაშვილის მეურნეობა (მეცხოველეობა);
5. თამაზ გოგობედაშვილის მეურნეობა (მებოსტნეობა);

4.3 რისკ-ფაქტორების მოძველების შეფასებისა და რისკის მართვის მმანიჟმის შესამუშავებლად ზონალურ-ტიპური (მაპროფილებელი) ფერმერული მეურნეობების გამოყოფა

აღნიშნული საკითხის მეორე ნაწილის დასამუშავებლად, რომელიც ითვალისწინებს რისკ-ფაქტორების მოქმედების შეფასებისა და რისკის მართვის მექანიზმის შესამუშავებლად ზონალურ-ტიპური (მაპროფილებელი) ფერმერული მეურნეობების გამოყოფას, ჩატარდა ფართომასშტაბური გამოკვლევები.

კვლევის მეთოდიკის შესაბამისად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ხაზით ჩატარებული მრავალწლიური, კომპლექსური გამოკვლევების მხედველობაში მიღებით, პრობლემის სიღრმისეული კვლევისა და დასახული ამოცანის სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებული იყო ზონალურ-დიფერენცირებული ნიშნისა და მიდგომის საფუძველზე ტიპურ და საყრდენ (ამოსავალ) საკვლევ ობიექტებად, სავარაუდოდ გამოიყოფილიყო: მებოსტნეობისა და მესაქონლეობის-მერძეულ-მესობრკული მიმართულების, (საგარეუბნო ტიპი) მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის (მაპროფილებელი დარგები), მემარცვლეობის (სტრატეგიული დარგი) საწარმოო მიმართულების ფერმერული მეურნეობები. კვლევის მეთოდიკის შესაბამისად ყველა ეკონომიკური პარამეტრი დამუშავდა და განზოგადდა ფაქტიურად გამოყოფილი ფერმერული მეურნეობების მაგალითზე.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს სხვადასხვა ზონიდან, სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის პოზიციური პრინციპისა და საბაზრო ეკონომიკის მოტივაციური მოთხოვნების გათვალისწინებით და იმ მიზნით, რომ საკვლევ სივრცეში მოქცეულიყო სოფლის მეურნეობის ყველა ძიერთადი და განმსაზღვრელი დარგი, შესასწავლად შეირჩა შემდეგი რაიონები:

I. აღმოსავლეთ საქართველოში:

1. შიდა კახეთის სამრეწველო მევენახეობის ზონიდან: თელავის, გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონები;
2. გარე კახეთის მევენახეობისა და მემარცვლეობა-მეცხოველეობის ზონიდან: სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონები;
3. ქ.ქ. თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონიდან: მცხეთის, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონები;

4. შიდა ქართლის მეხილეობის ზონიდან, საგარეუბნო სოფლის მეურნეობით: კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონები;

II. დასავლეთ საქართველოში:

5. კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ზონიდან: ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხობისა და ზუგდიდის რაიონები;

6. ქქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონიდან: აბაშისა და სამტრედიის რაიონები;

7. აჭარის სუბტროპიკული და საკურორტო სოფლის მეურნეობისა და სამთო მეცხოველეობის ზონიდან: ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონები.

შესრულებული გამოკვლევების საფუძველზე, რომელიც ვერდნობოდა საქართველოში არსებულ ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებსა და შესწავლილი რაიონების ფერმერულ მეურნეობათა მონაცემებს, დადგინდა ფერმერულ მეურნეობათა განვითარების ფაქტორული დონე, გამოვლინდა ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები.

გამოყოფილი და შერჩეული რაიონების მიხედვით დაგროვილი საგანგებო და პირველადი სპეციფიკური მასალების საფუძველზე გამოიყო ტიპური (დამახასიათებელი) ფერმერული მეურნეობები რისკ-ფაქტორების მოქმედების შეფასებისა და რისკის მართვის მექანიზმის შემუშავების მიზნით.

ვიძლევიტ ამ ხაზით ჩატარებული კვლევის შედეგებს:

1. შიდა კახეთის სამრეწველო მევენახეობის ზონიდან:

თელავის რაიონში ტიპური ფერმერულ მეურნეობებად გამოიყო (შეირჩა)

შემდეგი საწარმოო მიმართულების (სპეციალიზაციის) მეურნეობები:

1. სერგო ღონღაძის მეურნეობა (მემარცვლეობა);

2. გიორგი რამაზაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა-მესაქონლეობა);

3. გია ოსეთაიშვილის მეურნეობა (მევენახეობა);

4. მიშა კირვალიძის მეურნეობა (მებოსტნეობა);

5. პაატა კაკიაშვილის მეურნეობა (მევენახეობა);

6. ნოდარ ქევიშვილის მეურნეობა (მევენახეობა, ტექნიკური კულტურების პროდუქციის წარმოება);

7. პამლექ ლამაზოშვილის მეურნეობა (მევენახეობა);

8. ანზორ ლამაზოშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);

9. ბესო ჭურღლაშვილის მეურნეობა (მეზოსტნეობა);
10. ბესო გაიპარაშვილის მეურნეობა (მეცხოველეობა).

გურჯაანის რაიონში:

1. გივი მათიაშვილის მეურნეობა (მესაქონლეობა);
2. ელგუჯა გელაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
3. სეზმან ცაცაბაშვილის მეურნეობა (მევენახეობა);
4. რამაზ რუაძის მეურნეობა (მეფერინველეობა);
5. დავით ლალიძის მეურნეობა (მევენახეობა).

ლაგოდეხის რაიონში:

1. პეტრე ბახტურიძის მეურნეობა (მეზოსტნეობა);
2. ზურაბ გაბრიჭიძის მეურნეობა (მემარცვლეობა);
3. ზურაბ ბახტურიძის მეურნეობა (მესაქონლეობა);
4. იური გაბრიჭიძის მეურნეობა (მემარცვლეობა);
5. გელა კობერიძის მეურნეობა (მევენახეობა);
6. გელა კობახიძის მეურნეობა (მესაქონლეობა-მევენახეობა);
7. თამაზ გეწაძის მეურნეობა (მევენახეობა);
8. ლერი ბრეგვაძის მეურნეობა (მეზოსტნეობა-მესაქონლეობა);
9. ტარიელ ქიშაძის მეურნეობა (მეზოსტნეობა-მესაქონლეობა);
10. თეიმურაზ სულაბერიძის მეურნეობა (მეზოსტნეობა-მესაქონლეობა).

ყვარლის რაიონში:

1. იასე სეფაშვილის მეურნეობა (მესაქონლეობა);
 2. გელა მებაღიშვილის მეურნეობა (მევენახეობა);
 3. მურთაზ საბარაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
 4. ელგუჯა თედეიშვილის მეურნეობა (მევენახეობა);
 5. ელგუჯა სოხიშვილის მეურნეობა (მევენახეობა).
2. გარე კახეთის მევენახეობისა და მემარცვლეობა-მეცხოველეობის ზონიდან:
სიღნაღის რაიონში:

1. ემზარ ჩალაბაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
2. ბესო ნადირაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
3. გიორგი მჭედლიშვილის მეურნეობა (მევენახეობა-მემარცვლეობა);
4. ვაჟა მარტიაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა).

დედოფლისწყაროს რაიონში:

1. ვალიკო სამუკაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
2. გიორგი ალუღიშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
3. თემურ ოზბეთელაშვილის მეურნეობა (მემარცვლეობა);
4. ნოდარ ზუბიაშვილის მეურნეობა (მეცხოველეობა);

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობები, მთლიანი მოსავალი,
პირუტყვის პროდუქტიულობა, პროდუქციის წარმოება

კულტურები	2005		2006		2007	
	მოსავლი-ანობა (ც/ჰა)	მთლიანი მოსავალი (ც)	მოსავლი ა-ნობა (ც/ჰა)	მთლიანი მოსავალი (ც)	მოსავლი-ანობა (ც/ჰა)	მთლიანი მოსავალი (ც)
ერთწლიანი კულტურები 1. ხორბალი 2. სიმინდი 3. ლობიო 4. ბოსტნეული პომიდორი კომბოსტო კიტრი კარტოფილი						
მრავალწ კულტ. 1. ხილი 2. ვენახი 3. ჩაი 4. ციტრუსი						
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნამატი. რძის წარმოება 1 ძროხიდან (კგ) წონანამატი (კგ) სულ რძის წარმოება (კგ) სულ ხორცის წარმოება(კგ)						

6. გივი ბერიაშვილის მეურნეობა (მეზოსტნეობა);
7. ვასო ზანგურის მეურნეობა (მეხილეობა-მევენახეობა);
8. გია ასლამაზაშვილის მეურნეობა (მეხილეობა-მევენახეობა);
9. გელა საგინაშვილის მეურნეობა (მებაღეობა-მემარცვლეობა);
10. თევგიზ ტურაშვილის მეურნეობა (მებაღეობა-მეზოსტნეობა);
11. ტრისტან დემეტრაშვილის მეურნეობა (მეხილეობა);
12. გია კაციაშვილის მეურნეობა (მეცხოველეობა).

გორის რაიონში:

1. ზაქრო მაზმიშვილის მეურნეობა (მეხილეობა-მემარცვლეობა);
2. „საქაშეთი“-ს მეურნეობა (მეხილეობა-მემარცვლეობა);
3. „ხურვალეთი“-ს მეურნეობა (მემარცვლეობა);
4. მელსინგ ბენაძის მეურნეობა (მეხილეობა-მემარცვლეობა);
5. „აღლი“-ს მეურნეობა (მეხილეობა-მემარცვლეობა);
6. მიხეილ ქობლინიძის მეურნეობა (მემარცვლეობა-მეხილეობა).

ქარელის რაიონში;

1. ფერმერთა ასოციაცია (მეხილეობა-ნერგის წარმოება);
2. მერაბ წიქარიშვილის მეურნეობა (მეხილეობა-ნერგის წარმოება);
3. ელიზბარ ბეკოშვილის მეურნეობა (მეხილეობა-ნერგის წარმოება);
4. ედუარდ ბერიკაშვილის მეურნეობა (მეხილეობა-ნერგის წარმოება);
5. მურად შუბთიძის მეურნეობა (მეხილეობა-ნერგის წარმოება).

ხაშურის რაიონში;

1. „წიქარა“-ს მეურნეობა (მესაქონლეობა);
2. ვაჟა ლოლაძის მეურნეობა (მემარცვლეობა);
3. „ცხრამუხა“-ს მეურნეობა (მემარცვლეობა-მესაქონლეობა);
4. ვასილ კობალიძის მეურნეობა (მემარცვლეობა).

5. კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ზონიდან:

ოზურგეთის რაიონში:

1. „კოლხური“ ვაჩნაძის ჩაის მეურნეობა (მეჩაიეობა);
2. ზ.გუჯაბიძის მეურნეობა (მეჩაიეობა);
3. ნ.კუნჭულიას მეურნეობა (მეციტრუსეობა);
4. „საქართველოს თაიგული“ იბასილაშვილის მეურნეობა (მეჩაიეობა);
5. „წვერმაღალა ციტრუსის“ მეურნეობა (მეციტრუსეობა).

ლანჩხუთის რაიონში:

1. ჯ.ხოფერიას მეურნეობა (მეცხოველეობა-მემარცვლეობა);
2. შ.ლოშიძის მეურნეობა (მეცხოველეობა-მემარცვლეობა);
3. ლ.ჩხაიძის მეურნეობა (მეცხოველეობა-მემარცვლეობა);
4. ა.ცინცაძის მეურნეობა (მეცხოველეობა-მემარცვლეობა).

ჩოხატაურის რაიონში:

1. ტ.ძნელაძის მეურნეობა (მემარცვლეობა-მეცხოველეობა);
2. უ.კიკვაძის მეურნეობა (მემარცვლეობა-მეცხოველეობა);
3. შ.ახალაძის მეურნეობა (მემარცვლეობა);
4. ა.ყაჭვიშვილის მეურნეობა (მეცხოველეობა-მეხილეობა-მემარცვლეობა);
5. ვ.კუკულავას მეურნეობა (მეცხოველეობა-მეხილეობა-მემარცვლეობა).

ზობის რაიონში;

1. „ბაგრატი“-ს მეურნეობა (მემარცვლეობა);
2. ფოთის სანერგე საკარანტინე მეურნეობა (მემარცვლეობა);
3. „კოლხეთი 93“-ს მეურნეობა (მემარცვლეობა);
4. „ხეთის დაფნა და ციტრუსები“-ს მეურნეობა (მეციტრუსეობა);
5. „ვარსკვლავი“-ს მეურნეობა (მეციტრუსეობა);
6. „კივი“-ს მეურნეობა (მეციტრუსეობა).

6. ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონიდან:

აბაშის რაიონში:

1. „აგროტექქსერვისი“-ს მეურნეობა (მემარცვლეობა);
2. „სინიტი“-ს მეურნეობა (მემარცვლეობა);
3. დ.მალნარაძის მეურნეობა (მემარცვლეობა-მეცხოველეობა).

7. აჭარის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და სამთო მეცხოველეობის

ზონიდან:

ქობულეთის რაიონში:

1. ასლან ყურმუბაძის მეურნეობა (მეციტრუსეობა);
2. დ.ჯაშის მეურნეობა (მეციტრუსეობა);
3. ლ.ჯაშის მეურნეობა (მეციტრუსეობა);
4. მერაბ ხინიკაძის მეურნეობა (მეციტრუსეობა);
5. რომან ჩხაიძის მეურნეობა (მეციტრუსეობა).

ხელვაჩაურის რაიონში:

1. „თურმანიძე“-ს მეურნეობა (მეჩაიეობა);
2. გ.შარაძის მეურნეობა (მეციტრუსეობა);
3. რ.სამანიძის მეურნეობა (მეციტრუსეობა);

4. ა.ფუტკარაძის მეურნეობა (მეციტრუსეობა).

სულ საკელევად, საქართველოს მასშტაბით შერჩეულია 124 ფერმერული მეურნეობა.

გამოყოფილი ტიპური ფერმერული მეურნეობების მიხედვით აღებული, თავმოყრილი და დაჯგუფებული იქნა სპეციფიკური ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგი სანიმუშო ცხრილების მაკეტების მიხედვით:

ცხრილი 1.

რაიონი;

ფერმერული მეურნეობა (კოოპერატივი, შპს...): მეურნეობის საწარმოო მიმართულება: დაარსების წელი:

მაჩვენებლები	2005	2006	2007
1. მიწის მთლიანი ფართობი-ჰა 2. სასოფლო-სამეურნეოსავარგული-ჰა 3. ნათესი ფართობი-ჰა			
4. ერთწლიანი კულტურების ფართობი-ჰა ხორბალი სიმინდი ლობიო ბოსტნეული სულ პომიდორი კომბოსტო კიტრი კარტოფილი ---			
5. მრავალწლიანი ნარგავების ფართობი სულ-ჰა ხილი ვენახი ჩაი ციტრუსი ---			
6. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა მ.შ. ძროხა			
7. სხვა პირუტყვის სულადობა			

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობები, მთლიანი მოსავალი, პირუტყვის პროდუქტიულობა, პროდუქციის წარმოება

კულტურები	2005		2006		2007	
	მოსავლი-ანობა (ც/ჰა)	მთლიანი მოსავალი (ც)	მოსავლი ა-ნობა (ც/ჰა)	მთლიანი მოსავალი (ც)	მოსავლი-ანობა (ც/ჰა)	მთლიანი მოსავალი (ც)
ერთწლიანი კულტურები 1. ხორბალი 2. სიმინდი 3. ლობიო 4. ბოსტნეული პომიდორი კომბოსტო კიტრი კარტოფილი						
მრავალწ კულტ. 1. ხილი 2. ვენახი 3. ჩაი 4. ციტრუსი						
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნამატი. რძის წარმოება I ძროხიდან (კგ) წონანამატი (კგ) სულ რძის წარმოება (კგ) სულ ხორცის წარმოება(კგ)						

რელიზებული პროდუქცია, 1ც. ფასი, მიღებული შემოსავალი

პროდუქცია	2005			2006			2007		
	რეა ქვი ბე- ბე- მ კ- ბ ც.	1ც- ის ფა- სი მ კ- ბ ც.	შემ ოსა ვა ქვი ბე- ბე- მ კ- ბ ც.	რეა ქვი ბე- ბე- მ კ- ბ ც.	1ც- ის ფა- სი მ კ- ბ ც.	შემო- სავა- ლი. ლარი	რეა ქვი ბე- ბე- მ კ- ბ ც.	1ც- ის ფა- სი მ კ- ბ ც.	შემო- სავა- ლი. ლარი
1.ხორბალი									
2.სიმინდი									
3.ლობიო									
4.---									
5.ბოსტნეუ- ლი									
6. ---									
7.									
8.კარტო- ფილი									
9. ---									
10.ხილი									
11.ყურძენი									
12.ჩაი									
13.ციტრ- უსი									
14.---									
15.---									
16. რძე									
17.ხორცი									
18. -									
19. სხვა									

სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებელი

მაჩვენებლები	2005	2006	2007
1. მიღებული შემოსავალი სულ—ლარი			
2. მიღებული შემოსავალი მემცენარეობიდან ლარი			
3. მიღებული შემოსავალი მეცხოველეობიდან ლარი			
4. მიღებული შემოსავალი სხვა სფეროებიდან ლარი			
4. მოგება—ლარი			
5. მომუშაეთა რაოდენობა			
6. მ.შ. ძირითადი პერსონალი			
7. დაქირაებული პერსონალი			
8. სულ გაწეული ხარჯები—ლარი მ.შ. შრომის ანაზღაურებაზე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენაზე ძირითადი საშუალებების შეძენაზე			
9. სულ აღებული გრძელვადიანი კრედიტი-ლარი			
10. სულ აღებული მოკლევადიანი კრედიტი-ლარი			
11. საკუთარი ფულადი სახსრები—ლარი			
12. ძირითადი საწარმოო ფონდები (შენობანაგებობები, ტექნიკა და სხვა)—ლარი			
13. სადაზღვევო თანხა—ლარი			
14. სხვა ხარჯი—ლარი			
15. გაწეული ხარჯები ახალ ტექნოლოგიებზე—ლარი			

დაგროვილი მონაცემების, შესაბამისი ნიშნების მიხედვით დაჯგუფებისა და ანალიზის საფუძველზე საგრანტო პროექტით გათვალისწინებული იყო მომდევნო ამოცანების შესრულება, კერძოდ:

მრავალფაქტორული ანალიზისათვის შედეგობრივი ნიშნისა და არსებითი ფაქტორების გამოვლენა და მათი რისკზე მოქმედების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი;

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალურ-დიფერენცირებული დონეების დადგენა, ზონალურ-ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის, შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავებით;

სამეურნეო რისკის შეფასების სინთეზირებული, ოპტიმიზირებული ეკონომიკური პარამეტრების დადგენა, არსებითი ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების დამუშავება.

პროექტის დამუშავების მეთოდოლოგიურ სისტემაში მნიშვნელოვანია ის, რომ მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მომარჯვებული გამოყენებით დადგინდა სამეურნეო რისკზე მოქმედი არსებითი ფაქტორების გავლენის წილი შედეგობრივ ნიშანზე. ამან საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა თითოეული ფაქტორ-პოზიციის გავლენის დონე და ხარისხი და შეგვეიმუშებინა დასაბუთებული სისტემა მათი ურთიერთშეთანაწყობილი და რეგულირებული გამოყენებისთვის, რასაც დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

4.4. მრავალფაქტორული ანალიზისათვის შედგობრივი ნიშნისა და არსებითი ფაქტორების გამოვლენა და მათი რისკზე მოქმედების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი

4.4.1 შესავალი ნაწილი

(რისკის კლასიფიკაცია, ანალიზის პრინციპები და მეთოდური მიდგო-მები, საწარმოო ფუნქციების გამოყენების პირობებში)

სამეწარმეო საქმიანობა საქართველოში ხორციელდება სიტუაციის მზარდი განუსაზღვრელობის და ეკონომიკური გარემოს ცვალებადობის პირობებში, რაც საბაზრო ურთიერთობათა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს. ამის გამო იზრდება მეწარმეობის კავშირი რისკთან. ამას განაპირობებს აგრეთვე, სამეურნეო საქმიანობის გაძლიერების მოცემული წესის (ხერხის) თვით არსი. ერთი მხრივ, სამეწარმეო საქმიანობას ახასიათებს განუსაზღვრელობისა და შედეგების განუჭვრეტელობის მაღალი ხარისხი. მეორე მხრივ-ასევე განუჭვრეტელი და განუსაზღვრელია კონკურენტებისა და მომხმარებელთა ქცევა.

რისკის ცნება განუყრელად არის დაკავშირებული განუსაზღვრელობასთან, რომელსაც რიგ შემთხვევებში, დაუსაბუთებლად განიხილავენ რისკის სინონიმად, რაც ნაკლებად მისაღებია ეკონომიკური და მართვის მეცნიერებებისათვის.

განუსაზღვრელობაში იგულისხმება ინფორმაციის არასისრულე ან არასაკმარისი სიცხადე რაიმე საქმიანობასა და შედეგზე. ის ობიექტურად არსებობს ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში.

ჯერ-ერთი, —უსაზღვრელობა შეიძლება ხასიათდებოდეს სიტუაციის უკოდინარობით, ანუ სრული და ამომწურავი ინფორმაციის უქონლობით (არ არსებობით), ეკონომიკური სუბიექტის ფუნქციონირების მდგომარეობის და იმ ფაქტორების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ მისი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

მეორე, —ანუსაზღვრელობა შეიძლება გამოიხატოს შემთხვევითობის ფაქტორით, ე.ი. ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის გარკვეული რეზუ-ატების დადგომით, რომელთა პროგნოზირება და განჭვრეტა შეუძლებელია

იყო მიღებული გადაწყვეტილებების მიუხედავად და დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

მესამე, ანუსაზღვრელობა შეიძლება გამოიხატოს წინააღმდეგობის ფორმით, ე.ი. დროული ამომწურავი ინფორმაციის უქონლობით იმ სუბიექტების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოცემული ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობას.

ამრიგად, რისკი მჭიდროდ არის დაკავშირებული განუსაზღვრეობასთან, რადგან ორივე ტერმინი ისეთ სიტუაციის აღწერს, როდესაც არ არსებობს განსაზღვრელობა რომელიმე შემთხვევის შედეგთან დაკავშირებით. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ განსხვავება რისკსა და განუსაზღვრელობას შორის დაიყვანება შესასწავლი სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობამდე. რისკის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფ.ნაითი, რომელმაც 1921 წელს პირველმა განასხვავა “რისკი” და “განუსაზღვრელობა”, ხაზს უსვამდა რისკის პრინციპულ გაზომვადობას და განმარტავდა მას როგორც “გაზომვად განუსაზღვრელობას”. ამასთან, ასეთი განუსაზღვრელობის ხარისხი, ანუ რაიმე არახელსაყრელი მოვლენის დადგომის ალბათობა შეიძლება რაოდენობრივად დადგინდეს საკუთრივ განუსაზღვრელობისგან (ანუ “განუზომვადი განუსაზღვრელობისგან”) განსხვავებით, რომელიც გულისხმობს გაზომვის შეუძლებლობას, კერძოდ, მომავალი მოვლენების მიმართ.¹ ამ თვალაზრისით, ტერმინი “რისკი” აუცილებელია გამოვიყენოთ მაშინ, როცა ცნობილია იმ შემთხვევითი სიდიდის განაწილება, რომლის მეშვეობით ხდება სარისკო სიტუაციის მოდელირება, ე.ი. თუ შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ მოვლენის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრა, მაშინ უნდა ვისაუბროთ რისკზე, წინააღმდეგ შემთხვევაში—განუსაზღვრელობაზე.

პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში კანონზომიერ მოვლენას წარადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიოლა რისკის პირობებში. ეროვნული ეკონომიკის აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მწვავედება წინააღმდეგობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესსა და რისკის მართვის სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტიანობას შორის. დადასტურებით უნდა ითქვას, რომ მმარველობითი გადაწყვეტილებები უნდა მუშავდებოდეს არა მარტო ბუნებრივი, არამედ ეკონომიკური რისკის პირობებში. ამ პრობლემის გადასაჭრელად

¹ Knight, Frank H. The Meaning of Risk and Uncertainty. In: F.Knight. Risk, Uncertainty, and Profit. Boston: Houghton Mifflin Co, 1921, p.210-235; Найт, Фрэнк Хайнеман. Понятие риска и неопределенности // ТИЭСИС: теория и история экономических и социальных институтов и систем. 1994. № 5. С. 12-28

სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს (ფერმერებს) უნდა შეეძლოთ მოსალოდნელი რისკის შეფასება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უნდა ფლობდნენ მისი მართვის თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებს.

სასოფლო-სამეურნეო, ისევე როგორც ნებისმიერი წარმოების პროცესში რისკის მართვა (რისკ-მენეჯმენტი) წარმოადგენს მოსალოდნელი შედეგის განუსაზღვრელობის დონის გამოვლენის პროცესს, რაც იწვევს სამეწარმეო საქმიანობის შედეგებზე შემთხვევითი ფაქტორების არახელსაყრელი ზემოქმედების მინიმიზაციას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობის ზრდას, რისკის შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო რისკის მართვის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ამ უკანასკნელის ფორმირების კანონზომიერებების დრმა და ყოველმხრივი ანალიზი და, უპირველს ყოვლისა, იმ მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმის წარმოჩენა, რომელიც განსაზღვრავს მის ვარიაციას, საშუალო დონესა და დინამიკას. ეს კანონზომიერებები, ისევე როგორც მასობრივი პროცესის სხვა კანონზომიერებები, ატარებს ალბათურ, სტატისტიკურ ხასიათს. მასობრივი პროცესებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებები ვლინდება არა თითოეულ ცალკე შემთხვევაში, არამედ საშუალოდ. სტატისტიკური კანონზომიერებები მყლავნდება ურთიერთკავშირების, განვითარების ტენდენციების და ა.შ. სახით. მათზე უშუალო დაკვირვება და ექსპერიმენტების ჩატარება შეუძლებელია. მათ შეცნობაში შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ საწარმოო ფუნქციები.

საწარმოო ფუნქციები წარმოადგენს საწარმოო საქმიანობის შედეგებსა და ამ შედეგების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს შორის დამოკიდებულების ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოსახულებას.

მოიცავს რა ანალიზის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ასპექტს, საწარმოო ფუნქციები არა მარტო გამოავლენს და რაოდენობრივად აღწერს ამა თუ იმ კანონზომიერებებს, არამედ ყოველმხრივ და მიზანმიმართულად შეისწავლის მათი ფორმირების მექანიზმს.

ეკონომიკური სინამდვილის რთულ პირობებში წარმოების პროცესის შედეგები განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორების – ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური, ბუნებრივი დიდი რაოდენობის ზემოქმედებით. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება საწარმოო ფუნქციაში პრაქტიკულად შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ზოგი ფაქტორი შეიძლება საერთოდ არ ექვემდებარებოდეს რაოდენობრივ გამოხატვას, ხოლო სხვა ფაქტორების ზემოქმედება კი უაღრესად უმნიშვნელოა. ამიტომ საწარმოო ფუნქციაში უნდა ჩავერთოთ მხოლოდ ის არსებითი ფაქტორები, რომლებიც გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს შესასწავლ მოვლენაზე.

საწარმოო ფუნქციების გამოყენება ეკონომიკური მოვლენების მოდელირებისათვის მდგომარეობს იმ პირობებისა და ფაქტორების შერჩევაში, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს შესასწავლ მოვლენებზე, სხვა ფაქტორებისა და პირობების აბსტრაქტიზაციაში, შერჩეული ფაქტორების და პირობების მათემატიკური სიმბოლოებით აღნიშვნაში და მათი მათემატიკური გამოსახულების სახით ჩაწერაში. საწარმოო ფუნქციის მოდელის ზოგადი სახე შემდეგია:

$$Y = f(x_1, x_2, \dots, x_n) \quad (1)$$

სადაც, Y დამოკიდებული ცვლადია (შედეგობრივი ნიშანი), რომელიც ასახავს შესასწავლი ეკონომიკური მოვლენის დონეს; x_1, x_2, \dots, x_n – დამოუკიდებელი ცვლადებია (ფაქტორული ნიშნები), რომლებიც გავლენას ახდენს შედეგობრივ ნიშანზე; n – ფაქტორული ნიშნების რაოდენობა.

იმისათვის რომ (1) გამოსახულება განვიხილოთ როგორც რაიმე ეკონომიკური მოვლენის მოდელი, მისი აგების საწყის ეტაპზე, მოდელირების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია შეირჩეს შედეგობრივი ნიშანი, ფაქტორული ნიშნები და მივიღოთ ჰიპოთეზა კავშირის ფორმის შესახებ.

შედეგობრივი და ფაქტორული ნიშნების შერჩევის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ზოგადი მოთხოვნების საფუძველზე, რომელსაც ეყრდნობა საწარმოო ფუნქციების აგება.¹

ის რაოდენობრივი კანონზომიერებები და ურთიერთკავშირები, რომლებიც შეისწავლება საწარმოო ფუნქციების დახმარებით, დიდი ხანია იკვლევა რეგრესიისა და კორელაციის მეთოდების გამოყენებით. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, საწარმოო ფუნქციები არ წარმოადგენს რაიმე ახალს რეგრესიის განტოლებასთან შედარებით. რეგრესიული და კორელაციური ანალიზი წარმოადგენს საწარმოო ფუნქციების განსაზღვრის ძირითად მეთოდს.

საწარმოო ფუნქციების წარმატებით გამოყენება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, მათ სასოფლო-სამეურნეო რისკის მართვის კვლევისათვის, ძირითადად დამოკიდებულია აგებული მოდელის ლოგიკურ სტრუქტურაზე. მათემატიკური მოდელის აგებამდე უნდა გვექონდეს

¹ Hanke J.E., Reitsch A.G., Wichern D.W. Business Forecasting. 7th ed. Prentice Hill, Inc. New Jersey, 2001; Dougherty C. Introduction to Econometrics./1st ed. Oxford University Press, Inc. New York, 1992; Кефін Э. Экономическая статистика и эконометрия. Введение в количественный экономический анализ. Вып.1 и 2./Пер. с англ. М.: М.: Статистика, 1977; Терсхов Л.Л. Производственные функции. М.: Статистика, 1974; Хели Э., Дыллон Л. Производственные функции в сельском хозяйстве./Пер. с англ. М.: Прогресс, 1965

გარკვეული მეცნიერული თეორია, რომლის შესაბამისად მოხდება მოდელის გათვლით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია.

ეკონომიკური მოვლენები და პროცესები იმისდა მიხედვით, თუ რა როლს თამაშობს მათ მართვაში ადამიანი, შეიძლება დაეყოს ორ ჯგუფად: სრულად მართვადი მოვლენები, რომელთა შედეგი სავსებით დამოკიდებულია ადამიანის გადაწყვეტილებებზე და არაპირდაპირ (ნაწილობრივ) მართვადი მოვლენები, რომელთა შედეგი დამოკიდებულია ადამიანის გადაწყვეტილებებზე მხოლოდ საშუალოდ და საერთოდ. მოვლენების ნაწილობრივი (არაპირდაპირი) მართვა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ზემოქმედებს მისთვის საინტერესო მოვლენასთან დაკავშირებულ რომელიმე სხვა მოვლენებზე. ასეთი კავშირები უფრო ხშირად კორელაციურია. საწარმოო ფუნქციების მოდულების ლოგიკური შემუშავების დროს რეკომენდებულია შედეგობრივ ნიშნად შევა-რჩიოთ მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ადამიანის მიერ ნაწილობრივ მართვად მოვლენებს, ხოლო ფაქტორულ ნიშნებად – მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს ადამიანის მიერ პირდაპირ (სრულად) მართვად მოვლენებს.¹

შედეგობრივი ნიშნის შერჩევის საკითხი წყდება ამოცანის ეკონომიკური დასმის დროს და განისაზღვრება კვლევის მიზნებით. საწარმოო ფუნქციის მოდელში ჩასართავი ფაქტორების შესარჩევად შემუშავებულია ლოგიკური მთხზვნები და პრინციპები (წანამძღვრები), რომლებიც ატარებს საყოველთაო ხასიათს. მოვიყვანოთ ამ პრინციპებიდან ძირითადი:

1. ხარისხობრივი (თვისებრივი) და რაოდენობრივი ანალიზის შესაბამისობის პრინციპი. მოდელში უნდა ჩავრთოთ მხოლოდ ის ფაქტორები, რომელიც მოცემული პრობლემის შესწავლისას დამუშავებული მეცნიერული თეორიის საფუძველზე არსებითად არის მიჩნეული;

2. სიმარტივის პრინციპი. მოდელში რეკომენდებულია ჩავრთოთ ფაქტორების მინიმალური, მაგრამ საკმარისი რაოდენობა, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს შესასწავლი შედეგობრივი ნიშნის საშუალო მნიშვნელობას;

3. ფაქტორების დუბლირების აკრძალვის პრინციპი. თითოეული ფაქტორი მოდელში წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი ნიშნით: ღირებულებით ან ნატურალურით, აბსოლუტურით ან ფარდობითით, მაგრამ არა ერთით და მეორით ერთად. მოდელში ერთდროულად არ შეიძლება ჩავრთოთ ჯამური (სინთეტიკური) ფაქტორები და მათი შემადგენელი ნაწილები;

¹ Крастинь О.П. Методы анализа регрессии и корреляции. Рига: ЦСУ при СМ Латвийской ССР, 1970. с. 55

4. ფაქტორების რაოდენობრივი განზომილების პრინციპი. მოდელში ჩართული ფაქტორები რაოდენობრივად უნდა იყოს გაზომილი, ე.ი. უნდა ვისარგებლოთ რაოდენობრივი და არა ატრიბუტული მანკენებლებით;

5. დასაშვები მულტიკოლინეარულობის პრინციპი. თავდაპირველად შერჩეულ ფაქტორებს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირის დროს რეკომენდებულია დასაშვებად ჩაითვალოს მათ შორის კავშირის ისეთი სიმჭიდროვე, რომლის დროსაც $r_{0i} > r_{ij}$ და $r_{0j} > r_{ij}$, სადაც 0 – შედეგობრივი ნიშნის ინდექსია, i, j – ფაქტორული ნიშნების ინდექსია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოდელიდან გამოირიცხება შედეგობრივ ნიშანზე ნაკლები გავლენის მქონე ფაქტორი.

ასეთია ის ძირითადი ლოგიკური მოთხოვნები და წინამძღვრები, რომელიც აუცილებლად უნდა დაეიცვათ ეკონომიკური მოვლენების და პროცესების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის საკითხების, საწარმოო ფუნქციების გამოყენების შესწავლისას.

საწარმოო ფუნქციის მოდელის ფაქტორების (დამოუკიდებელ ცვლადთა) შემადგენლობას ხშირად უწოდებენ ნიშან-თვისებათა სიმრავლეს. ამ სიმრავლის ცვლადთა ერთ ნაწილი შეესაბამება ეფექტიანობის ფაქტორებს (ფაქტორულ ნიშნებს), ხოლო სხვების დანიშნულებაა – გაითვალისწინოს შესასწავლი მოვლენების ხარისხობრივი (თვისებრივი) თავისებურება, კავშირის გამოვლენის სპეციფიკა, განვითარების დინამიკა და ა.შ. ნიშან-თვისებათა სიმრავლის ფორმირება (ჩამოყალიბება) წარმოადგენს მოდელირების უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპს, რადგან მოდელში ჩართული ცვლადების შემადგენლობა არსებით გავლენას ახდენს მის რეალურ პროცესთან ადეკვატურობაზე.

მოდელის ნიშან-თვისებათა სიმრავლის ფორმირების ეტაპზე გადამწყვეტ როლს თამაშობს აპრიორული ხარისხობრივი (თვისებრივი) ანალიზი, რომლის პროცესშიც პროფესიული ცოდნის საფუძველზე ყალიბდება თეორიული ვარაუდი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ხასიათისა და სტრუქტურის შესახებ. მათემატიკური აპარატი, კამასეს სიტყვებით,¹ იოტისოდენა ჭეშმარიტებას არ უმატებს აღნიშნულ ვარაუდს, მაგრამ ის წარმოადგენს ამ ვარაუდის ფორმალიზაციისა და დაზუსტების, აგრეთვე მისი დასაბუთებულობის საბოლოო დასკვნის სასარგებლო ინსტრუმენტს. მოდელში ფაქტორული ნიშნების ჩართვისას, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს არა მარტო კავშირის რაოდენობრივი შეფასება,

¹ Массе П. Критерий и методы оптимального определения капиталовложений. /Пер. с фр. М.: Статистика, 1971. с. 27

არამედ მის მიერ ასახული ფაქტორების თვისებრივი თავისებურება, ამასთან, ამ უკანასკნელს უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

საწარმოო ფუნქციების აგების ყველა მეთოდი ითვალისწინებს მოდელეებში ჩართული ფაქტორების არსებითობის შემოწმებას. პრაქტიკაში ეს გარემოება ხშირად იწვევს სიძნელეებს და შეუსაბამობებს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს,¹ სტატისტიკურად არსებითი ფაქტორების ჩამონა-ჩამონა-თვალი იცვლება პრაქტიკულად მოდელის განზომილების გაფართოების ან შემცირების ყოველ ნაბიჯზე. ერთი და იგივე ცვლადი შეიძლება აღმოჩნდეს სტატისტიკურად არსებითი ან არაარსებითი იმისდა მიხედვით, თუ რომელ ფაქტორებთან შეთავსებაში არის ის ჩართული მოდელში. მოდელიდან არაარსებითი (კრიტერიუმის მიხედვით) ცვლადის გამორიცხვის შემთხვევაში ხანდახან იცვლება არა მარტო მოდელში დარჩენილი ცვლადების რეგრესიის კოეფიციენტების შეფასება, არამედ კავშირის მიმართულებაც. არაარსებითი შეიძლება აღმოჩნდეს კავშირები, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით. ამასთან, ძნელი შესამოწმებელია, თუ ცვლადების რომელი ჩამონათვალია ყველაზე ოპტი-მალური. "როცა ელიმინირებული ცვლადები ერთმანეთს შორის კორელირებენ, მაშინ საეცებით შესაძლებელია, რომ მაღალი რიგის რეგრესიის კერძო კოეფიციენტები აღმოჩნდეს სტატისტიკურად არაარსებითი, მაშინ როცა უფრო დაბალი რიგის შესაბამისი კოეფიციენტები არსებითი."² ნათქვამი კიდევ ერთხელ მიუთითებს აპრიორული ხარისხობრივი (თვისებრივი) ანალიზის გადამწყვეტ როლზე, ამიტომ რიგ შემთხვევებში, თუ არ არის დარღვეული თეორიულად ნავარაუდები ურთიერთკავშირები, მიზანშეწონილია შევინარჩუნოთ ესა თუ ის ფაქტორული ნიშანი ლოგიკური მოსაზრებების საფუძველზე, კავშირის არსებითობის შედეგების შემოწმების მიუხედავად.

საწარმოო ფუნქციის დახმარებით ეკონომიკური მოვლენების და პროცესების კვლევის დამამთავრებელ ეტაპზე ხდება მოდელის გათვლა და მიღებული შედეგების ეკონომიკური ინტერპრეტაცია. საწარმოო ფუნქციების ანალიზის თანამედროვე მეთოდები საშუალებას იძლევა მივიღოთ მეტად საჭირო გათვლითი მაჩვენებლები, რომლებიც დაკავშირებულია

¹ Ерына А.М. Математико-статистические методы изучения экономической эффективности производства. – М.: Финансы и статистика – (Мат. статистика для экономистов). с. 69

² Кейн Э. Экономическая статистика и эконометрия. Введение в количественный экономический анализ. Вып. 2./Пер. с англ. М.: М.: Статистика, 1977 – 232с. (Б-чка иностр. книг для экономистов и статистиков). с.

ფუნქციის ფორმასა და შინაარსთან და გვაძლევს შესასწავლი მოვლენის ანალიზის ფართო შესაძლებლობას:

1.განვსაზღვროთ ერთი ფაქტორისა ან ფაქტორთა კომპლექსის გავლენით დამოკიდებული ცვლადის (შედეგობრივი ნიშნის) ცვლილება (აბსოლუტურ გამოსახულებაში);

2.დავახასიათოდ დამოკიდებულების ზომა შედეგობრივ ნიშანსა და ერთ რომელიმე ფაქტორს შორის სხვა ფაქტორების (მუდმივი მნიშვნელობის) უცვლელობის პირობებში;

3.დავადგინოთ დამოკიდებული ცვლადის (შედეგობრივი ნიშნის) ფარდობითი ცვლილების ზომა ფაქტორის ან ფაქტორების ფარდობითი ცვლილების ერთეულზე;

4.ვაჩვენოთ შედეგობრივი ნიშნის კავშირის სიმჭიდროვის ზომა:

ა)კორელაციურ-რეგრესიული ანალიზში ჩართულ ფაქტორთა მთელ კომპლექსთან;

ბ)ცალკეულ ფაქტორთან, სხვა ფაქტორების გავლენის გამორიცხვისას.

საწარმოო ფუნქციის მოდელი $Y = f(x_1, x_2, \dots, x_n)$ აღწერს ფაქტორებსა და წარმოების შედეგებს (შედეგობრივ ნიშანს) შორის ობიექტურად არსებულ კორელაციურ-რეგრესიულ კავშირებს. თავისი გამოვლინების ხასიათით ეს კავშირები უკიდურესად მრავალმხრივი და რთულია. ამ ურთიერთკავშირებზე დაკვირვება და ნებისმიერი მათგანის ფუნქციონალური სახის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, ეკონომიკური მოვლენების შესწავლის დროს საწარმოო ფუნქციის მოდელის ტიპის შერჩევასა “საუბარია შედარებით მარტივი ფუნქციებით თავისი ბუნებით შეუდარებლად უფრო რთული ურთიერთკავშირების აპროქსიმაციის შესახებ...”¹ ეკონომიკური მოვლენების საწარმოო ფუნქციებით მოდელირების პრაქტიკაში უპირატესობა ენიჭებათ მოდელებს, რომელიც წრფივია, ან დაიყვანება წრფივ სახეზე ცვლადების გარდაქმნის გზით, მაგალითად, გალოგარითმების გზით.

საწარმოო ფუნქციის წრფივი მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$Y = a_0 + \sum_{i=1,2, \dots, n} a_i x_i \quad (2)$$

¹ Трофимов В.П. Измерение взаимосвязей социально-экономических явлений. М.: Статистика, 1975. с. 98

სადაც, a_0 - მოდელის თავისუფალი წევრია, ხოლო a_i - რეგრესიის კოეფიციენტებია, X_i - ფაქტორული ნიშნებია, n ფაქტორული ნიშნების რაოდენობაა.

დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე აგებული საწარმოო ფუნქციის მოდელი საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შემდეგი ამოცანები:

1.რაოდენობრივად გავზომოთ შესასწავლი ფაქტორების გავლენის ეფექტები; 2.მოცემული ალბათობით განვსაზღვროთ ეფექტების ნდობის ინტერვალი; 3.შევაფასოთ კავშირის სიმჭიდროვე დამოკიდებულ ცვლადსა (შედგობრივ ნიშანსა) და მოდელში ჩართულ ფაქტორულ ნიშნებს შორის.

მოდელის თავისუფალ წევრს, a_0 -ს, ჩვეულებრივ ეკონომიკური ინტერპრეტაცია არ გააჩნია. ის მხოლოდ გვიჩვენებს მოდელის არსებობის შეზღუდულ არეალს. რეგრესიის კოეფიციენტები a_i გვიჩვენებს, თუ საშუალოდ როგორ იცვლება მოდელირებადი მაჩვენებელი (შედგობრივი ნიშანი) X_i ფაქტორული ნიშნის ერთი ერთეულით ცვლილებისას მოდელში ჩართული სხვა ფაქტორული ნიშნების საშუალო (მუდმივი) დონისა და სხვა თანაბარ პირობებში.

ვინაიდან X_i , როგორც წესი, გამოსახულია სხვადასხვაგვარ განზომილების ერთეულებში, მათი გავლენის შედარებითი შეფასებისათვის გამოიყენება a_i რეგრესიის კოეფიციენტებთან ფუნქციონალურად დაკავშირებული ელასტიურობის კოეფიციენტები i . ელასტიურობის კოეფიციენტი i წარმოადგენს რეგრესიის კოეფიციენტის (a_i) ნამრავლს მისი შესასაბამისი ფაქტორული ნიშნის (X_i) საშუალო მაჩვენებლისა და შედეგობრივი ნიშნის (Y) საშუალო მაჩვენებლის განაყოფზე. ელასტიურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენი პროცენტით იცვლება მოდელირებადი მაჩვენებელი (შედგობრივი ნიშანი) X_i ფაქტორული ნიშნის ერთი პროცენტით ცვლილებისას მოდელში ჩართული სხვა ფაქტორული ნიშნების საშუალო (მუდმივი) დონისა და სხვა თანაბარ პირობებში. ცხადია, რომ ეკონომიკური ამოცანებისათვის γ_i ელასტიურობის კოეფიციენტების ინტერპრეტაცია უფრო მისაღებია. ხანდახან, ელასტიურობის მრავლობით კოეფიციენტებს აჯამებენ. თუ $\sum \gamma_i$ ერთზე მეტია, მაშინ შედეგობრივი ნიშანი იცვლება უფრო სწრაფად, ვიდრე ფაქტორების პროცენტული ჯამური ცვლილება და პირიქით.

შედგობრივ ნიშანსა და ფაქტორებს შორის კავშირის სიმჭიდროვეს ახასიათებს მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი (R), (არაწრფივი მოდელისათვის მრავლობითი კორელაციის ინდექსი (I)), მისი კვადრატი, მრავლობითი დეტერმინაციის კოეფიციენტი (D) გვიჩვენებს, თუ დამოკიდებული ცვლადის (შედგობრივი ნიშნის) საერთო ვარიაციის რა

ნაწილი განისაზღვრება (პროცენტებში) ანალიზში ჩართული ფაქტორებით. მოდელის სტანდარტული ცდომილება (S_c) ასახავს ფაქტორი მონაცემების გაფანტვის ზომას თეორიული მნიშვნელობის გარშემო, ე.ი. ახასიათებს გაუთვალისწინებელი ფაქტორების გავლენას შედეგობრივი მაჩვენებლის სიდიდეზე. ის ყოველთვის გამოხატულია შედეგობრივი ნიშნის განზომილების ერთეულში და გამოიყენება მისი ნდობის საზღვრების აგებისას ($Y \pm S_c$). ფიშერის კრიტერიუმი (F -კრიტერიუმი) გეიჩვენებს გათვლების შემდეგ მიღებული მოდელის სტატისტიკურ არსებობას. თუ მისი ფაქტორი მნიშვნელობა მეტია შესაბამის ცხრილურ მაჩვენებელზე ($F_{\text{ნაი}} > F_{\text{კრიტ.}}$), მაშინ ითვლება, რომ მოდელი ადეკვატურად აღწერს შესასწავლ მოვლენას.

შედეგობრივი ნიშნის ფაქტორულ ნიშნებთან კავშირის ფორმის განსაზღვრა (დადგენა) წარმოადგენს საწარმოო ფუნქციების გამოყენებით ეკონომიკური მოვლენების და პროცესების მოდელირების ყველაზე რთულ პრობლემას.

მოდელის საყარაულო სახეების კლასის შემოფარგვლა შესაძლებელია, თუ ვიხელმძღვანელებთ რიგი მოსაზრებებით. უპირველეს ყოვლისა, შერჩეულმა მოდელმა უნდა ასახოს შესასწავლი მოვლენისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური კანონზომიერებები. შემდეგ, მოდელს უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება მარტივი სახე. ორი მოდელიდან, რომელიც ადეკვატურად აღწერს საკვლევ მოვლენას, უპირატესობა ენიჭება იმას, რომელსაც აქვს უფრო მარტივი სახე. მოდელის ტიპის შერჩევისადმი ასეთი მიდგომა გარკვეულწილად პირობითია, ვინაიდან გულისხმობს, რომ მასში ჩართულ ყველა ფაქტორთან კავშირის ხარისხი ერთნაირია. ამავე დროს, შედარებით რთული არაწრფივი მოდელების გამოყენებას მიეყვართ პარამეტრების რიცხვის ზრდასთან, კავშირის რაოდენობრივი მახასიათებლების სიზუსტის შემცირებასთან და მოდელის ეკონომიკური ინტერპრეტაციის გართულებასთან.

ზოგიერთ შემთხვევაში, კავშირების არაწრფივობა შესასწავლი ერთობლიობის თვისებრივი არაერთგვაროვნების შედეგს წარმოადგენს. მაგალითად, სხვადასხვა სპეციალიზაციის საწარმოების გაერთიანება საერთო ერთობლიობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისათვის, ან ისეთი საწარმოების, რომლებიც არსებითად განსხვავდება ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებით და ა.შ. ამ მხრივ საქართველო წარმოადგენს რთულ ობიექტს, იმდენად, რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე ძლიერ გავლენას ახდენს მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების

ეკონომიკური ეფექტიანობის და მასზე მოქმედი ფაქტორების კვლევისას, ზონალური თავისებურებების უფრო სრულად გათვალისწინების მიზნით, წრფივი მოდელების გარდა საჭიროა არაწრფივი მოდელების, კერძოდ, ხარისხობრივი მოდელების გამოყენებაც. ხარისხობრივი მოდელები გამოიყენება მაშინ, როდესაც ფაქტორული ნიშნის აბსოლუტური სიდიდის ზრდის შესაბამისად, მისი გავლენა შედეგობრივ ნიშანზე მცირდება, მაგრამ ფაქტორის დიდი მნიშვნელობის დროსაც კი ეს გავლენა სრულად არ ქრება. უფრო ზუსტად, ხარისხობრივი მოდელისთვის პროპორციულია ფაქტორული და შედეგობრივი ნიშნების ფარდობითი ზრდა იმ დროს, როცა წრფივი მოდელისთვის პროპორციულია აბსოლუტური ზრდა.

საწარმოო ფუნქციის ხარისხობრივი მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$Y = a_0 \prod x_i^{a_i}, \quad i=1, 2, \dots, n$$

(3)

სადაც, a_0 - მოდელის თავისუფალი წევრია, ხოლო a_i - რეგრესიის კოეფიციენტებია, x_i - ფაქტორული ნიშნებია, n - ფაქტორული ნიშნების რაოდენობაა.

ხარისხობრივი მოდელის ინტერპრეტაციის დროს ფაქტორული ნიშნის ერთი პროცენტით ცვლილებას შეესაბამება შედეგობრივი ნიშნის პროცენტული ცვლილება. ამგვარად, ხარისხობრივი მოდელისათვის რეგრესიის კოეფიციენტები (a_i) ემთხვევა ელასტიურობის კოეფიციენტებს (ϵ_i).

უთავსებს რა მოდელში ანალიზის ხარისხობრივ (თვისებრივ) და რაოდენობრივ მეთოდებს, საწარმოო ფუნქციები არა მარტო გამოაუღენს და რაოდენობრივად ზომავს ამა თუ იმ ფორმით გამოძღვებულ კანონზომიერებებს, არამედ ყოველმხრივ და მიზანდასახულად სწავლობს მათი ფორმირების მექანიზმს.

საბალანსო და საოპტიმიზაციო მოდელებისგან განსხვავებით, საწარმოო ფუნქციები სწავლობს არა სისტემის მიერ გარკვეული მდგომარეობის მიღწევის ხერხებს, არამედ მისი ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესებს, რის გამოც მათ ეკონომიკური პროცესების აღწერის მოდელებს უწოდებენ. მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული მდგომარეობის ანალიზისა და სამეურნეო საქმიანობის ობიექტური შეფასებისას, ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებისა და დასაბუთებული მმარ-თველობითი გადაწყვეტილების მიღებისას.

რისკის ეფექტური მართვა გულისხმობს შესაძლო სიძნელეების განჭვრეტასა და პროგნოზირებას და არახელსაყრელი შედეგების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვას.

ამრიგად, რისკის მართვის ორი მთავარი ასპექტი შემდეგია:

ა) მეურნეობრიობის არახელსაყრელი პირობების დადგომის შესაძლებლობების განჭვრეტა და პროგნოზირება და ასეთი პირობების გამოვლენის ალბათობის შემცირების ღონისძიებების შემუშავება:

ბ) არახელსაყრელი შედეგების დადგომის შემთხვევაში მათი უარყოფითი გავლენის შემცირების ღონისძიებების შემუშავება.

სარისკო სიტუაციის მართვა მოითხოვს მისი ელემენტების (ფაქტორების, სახეობების, რისკის შედეგების) სისტემატიზაციას და მათი საკლასიფიკაციო ნიშნების განსაზღვრას. გამარტივებული სახით, ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სქემა წარმოადგენს ღია სისტემას, სადაც შემავალ ცვლადებს წარმოადგენს რესურსები, ხოლო გამომავალს – საქმიანობის შედეგები. ამასთან, ფუნქციონირების გარემო წარმოადგენილია ორი დონით – შიგა და გარეშე დონეებით. გარეშე დონე წარმოადგენს რესურსების მიმწოდებელს და ახდენს გასაშუალებულ გავლენას მათ გარდაქმნაზე წარმოების პროცესში შიგა დონის პირობებში. შიგა დონე წარმოადგენს წარმოების პროცესში რესურსების შეერთებას მართვის ფუნქციის მეშვეობით, რომლისგან მთავარია – ორგანიზაცია და დაგეგმვა.

მოტიანილი სქემის შესაბამისად, რისკის ფაქტორები მათი წარმოშობის გარემოს მიმართ ასევე დაყოფილი ორ დონედ - შიგა და გარეშე დონეებად. ასეთი დაყოფა მეტად მნიშვნელოვანია რისკების შეფასებისა და მათი მინიმიზაციისათვის. როგორც წესი, ეკონომიკური სუბიექტისათვის გარეშე ფაქტორებს ანალიზი და გავლენის შეფასება გაცილებით რთულია, ვიდრე შიგა ფაქტორებისა.

ასეთ კლასიფიკაციის ზოგად პრინციპს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რისკების სისტემატიზაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ისეთი კრიტერიუმი, როგორცაა საფრთხის წყარო. ამ კრიტერიუმის შესაბამისად გამოიყო ორი ძირითადი ჯგუფი: 1.სამეურნეო საქმიანობის (სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის) რისკები, ანუ ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ტექნოგენური რისკები; 2.ბუნებრივ-კლიმატური რისკები– არახელსაყრელი ბუნებრივი პროცესებითა და მოვლენებით განპირობებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობისაგან დამოუკიდებელი რისკები¹ (ნახ. 1).

¹ Managing Risk in Farming: Concepts, Research, and Analysis. By Joy Harwood, Richard Heifner, Keith Coble, Janet Perry, and Agapi Somwaru. Market and Trade Economics Division and Resource Economics Division, Economic Research Service, U.S. Department of Agriculture. Agricultural Economic Report No. 774. 2001, p.48.

რისკების კლასიფიკაციისას ხშირად გამოიყოფა ისეთი ნიშანი, როგორიცაა მათზე ზეგავლენა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ის გამოვიყენეთ სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის რისკების ორ შემდეგ ძირითად ჯგუფად კლასიფიცირების საფუძველად:

1. ეკოლოგიური რისკები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა საქმიანობასთან, ანუ არ არის დამოკიდებული მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ;

2. ენდოგენური რისკები, რომლებიც წარმოიქმნება უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა საქმიანობით და მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ამ საქმიანობის სახეობაზე, სტრატეგიასა და ტექტიკაზე.

ნებისმიერი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობაში მიღებულია გამოიყოს ისეთი ძირითადი ფუნქციონალური სფერო, როგორიცაა წარმოება, მარკეტინგი, ფინანსები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამეურნეო საქმიანობის რისკებს შორის გამოვყოთ მათი შემდეგი სახესხვაობა: საწარმოო, მარკეტინგული და ფინანსური რისკები.

რისკის ჩამოთვლილი ფაქტორები მათზე ეკონომიკური სუბიექტის მიერ გაკლენის მოხდენის მხრივ შეიძლება დავეყოს სამ ჯგუფად: არარეგულირებადი, სუსტად რეგულირებადი და პირობითად რეგულირებადი.

არარეგულირებად ფაქტორებს განეკუთვნება გარეშე ფაქტორები, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ფუნქციონირების ბუნებრივ-კლიმატური და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ასახვას. სუსტად რეგულირებად ფაქტორებს – ყველა დანარჩენი გარეშე ფაქტორი (მაგ., ურთიერთობები საკრედიტო ორგანიზაციებთან, ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები და სხვ.). სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შიგა დონე მნიშვნელოვანწილად ექვემდებარება მართვას, მაგრამ განუსაზღვრელობის ელემენტის სრულად გამორიცხვა აქაც არ შეიძლება, ამიტომ რისკის შიგა ფაქტორები განიმარტება როგორც პირობითად რეგულირებადი ფაქტორები.

სარისკო სიტუაციის შემდეგ ელემენტს წარმოადგენს რისკის ჯგუფები და სახეები. ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობაში მიღებულია გამოიყოს ოთხი ფუნქციონალური სფერო – წარმოება, მარკეტინგი, ფინანსები, პერსონალი¹, პერსონალი¹, რასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია

¹ Beaver, W.H., and G.Parker, eds. Risk Management: Problems and Solutions. Stanford: Stanford University Press, McGraw-Hill, 1995.

დავადგინოთ რისკების დაჯგუფების ისეთი ხერხი, რომელსაც საკლასიფიკაციო ნიშნით საფუძვლად უღვევს *რისკის გამოკლების ფუნქციონალური სფერო*.

ამრიგად, განვსაზღვროთ შემდეგი ჯგუფები: საწარმოო რისკები, პერსონალური რისკები, საბაზრო (ფასითი) რისკები, საფინანსო რისკები.

საწარმოო რისკი ასახავს წარმოების საშუალებათა მახასიათებლების, წარმოების ფაქტორების ურთიერთქმედების, მიღებული პროდუქციის ცვლილებას და განიხილება საწარმოო პროცესის შედეგებთან დაკავშირებით. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საწარმოო რისკების ჯგუფი შეიძლება განვიხილოთ ურთიერთდა-მოკიდებული და ურთიერთგანპირობებული რისკების სახით:

წარმოებული პროდუქციის ხარისხის რისკი-გარკვეული მოთხოვნებისადმი პროდუქციის ხარისხის შეუსაბამობა განეკუთვნება წარმოების შედეგების რისკებს, ისევე, როგორც, პროდუქციის მოცულობის რისკი წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილი რისკების შედეგს;

პროდუქციის მოცულობის რისკი არის დასახული დონიდან ფაქტიურად მიღებული რაოდენობის გადახრა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საწარმოო სფეროში თავმოყრილია ეროვნული ეკონომიკის ამ სექტორის როგორც ეკონომიკურ-ბიოლოგიური სისტემის მრავალი განმასხვავებელი თავისებურება, რომელიც წარმოადგენს რისკების სხვა დამატებით წყაროს. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის გამოყენებული რესურსების ბიოლოგიური ბუნება და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გავლენა წარმოების შედეგებზე. რესურსების ბიოლოგიური ბუნება განაპირობებს წარმოების სეზონურობას, ცხოველების და მცენარეების მიდრეკილებას დაავადებებისადმი, მავნებლების ზიანს, არსებით სხვაობას რესურსების დაბანდების დროსა და მათგან უკუგების მიღებას შორის. დიდი დროითი ლაგის განმავლობაში მნიშვნელოვნად მცირდება პრო-გნოზირების სიზუსტე, იზრდება დასახული მაჩვენებლებისგან გადახრის გამოძწევევი გაუთვალისწინებელი ფაქტორების რაოდენობა და გავლენა.

პერსონალური რისკი დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შესაბამისი ხარისხის შრომითი რესურსების უზრუნველყოფასთან და შრომის ეფექტიანობასთან. შრომითი რესურსები, ისევე როგორც წარმოების საშუალებები და შრომის საგნები წარმოადგენს წარმოების ფაქტორს, მაგრამ მათი სპეციფიკა, მნიშვნელობა საწარმოს ფუნქციონირებისათვის, საქმიანობის შედეგების დასახული დონის მისაღწევად და

სოფლად სამუშაო ძალის კვლავწარმოების თავისებურებები განაპირობებს შრომით რესურსებთან დაკავშირებული რისკების ცალკე, საწარმოო რისკებისგან ჯგუფისაგან განსხვავებულ, ჯგუფად გამოყოფას. ამ ჯგუფში შედის:

შრომითი რესურსების არსებობის რისკი, რომელიც წარმოადგენს სამუშაო ძალაზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოთხოვნის შეუსაბამობას მის ფაქტიურ არსებობასთან;

წყაენებულ მოთხოვნებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის რისკი, რომელიც წარმოადგენს მუშაკთა ხარისხობრივი მახასიათებლების განსხვავებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოთხოვნებთან;

სამუშაო დროის დანაკარგების რისკი, რომელიც წარმოადგენს სამუშაო დროის არაეფექტიანი გამოყენების, მოცდენების წარმოქმნის, წუნის, პერსონალის ტრავმების და ავადმყოფობის შესაძლებლობას.

სოფლის მეურნეობაში ბევრია პერსონალური რისკის სპეციფიკური გარეშე რისკწარმოქმნელი ფაქტორი. სოფლად შრომის ბაზარზე კონკურენციის დაბალი დონე უარყოფითად მოქმედებს სამუშაო ძალის ხარისხზე. გარდა ამისა, შრომითი რესურსების არსებობის და ხარისხის რისკი დაკავშირებულია სოფლებიდან ქალაქებში მოსახლეობის გადინების ობიექტურ პროცესთან. ყველა ძირითადი ოპერაცია სოფლის მეურნეობაში სრულდება გარეთ, ჰაერზე და ეროვნული ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით ბუნებრივ-კლიმატური პირობებისგან სოფლის მუშაკთა დაუცველობა მრავალჯერადად ზრდის მათი დაავადების ალბათობას, რასაც თან ახლავს სამუშაო დროის მნიშვნელოვანი დანაკარგები. სამუშაო დროის დანაკარგებს ხელს უწყობს, აგრეთვე, სამუშაოთა სეზონურობა, განსაკუთრებით მემცენარეობაში, როცა სამუშაო ძალის გამოყენების არარაციონალური ორგანიზაცია იწვევს წლის განმავლობაში შრომითი პოტენციალის არათანაბარ გამოყენებას.

საბაზრო (ფასითი) რისკი ბაზრებზე (მატერიალური რესურსების ბაზრები, გასაღების ბაზრები) მერყეობაში, რომლის მონაწილეებიც არიან სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ასეთ მერყეობას განეკუთვნება ფასების ცვლილებები რესურსებზე ან პროდუქციაზე, კონკურენტული გარემოს ცვლილება, მოწოდებების ან გაყიდვების პირობების ცვლილებები და სხვ. ამის გამო, ყველა აღნიშნული ფაქტორი გადახრით ზემოქმედებას ახდენს წარმოების ხარჯებზე და რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაზე. საბაზრო რისკების ჯგუფში შედის:

მომარაგების რისკი, რომლის წარმოქმნა დაკავშირებულია წარმოების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფასთან. იგი შეიძლება გამოიწვიოს ფასების ცვლილებებმა, მოწოდებების ხელშეკრულებების დარ-

დევამ, ბაზრის საერთო არასტაბილურობამ, ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობის ცვლილებამ;

გასაღების რისკი, რომლის წარმოქმნა დაკავშირებულია მატერიალურ ღირებულებებზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს კონტრაგენისათვის საკუთრების უფლებების გადასვლის პროცესთან, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ფასითი მერყეობების, ბაზრების და მათი სეგმენტების ხელმისაწვდომობის, გაყიდვების ხელშეკრულებების გამოხატულებას.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გასაღების რისკებს აღრმავებს აგრარული სექტორის ისეთი თავისებურება, როგორცაა მეურნეობების დაშორება გასაღების ბაზრებისგან, რაც იწვევს მზა (როგორც წესი, მალფუჭადი) პროდუქციის ტრანსპორტირების და მასთან დაკავშირებულ დამატებითი ხარჯების და დანაკარგების პრობლემას. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ სფეროში მოქმედი მონოპოლისტები, რომლებიც თავიანთ პირობებს კარნაზობენ სოფლის მწარმოებლებს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მათ გასაღების რისკებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების დაგდების გზით¹. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, როგორც პირველადი აუცილებლობის საგნებზე მოთხოვნის დაბალი ელასტიურობის გამო, საბაზრო ფასების და მოსახლეობის შემოსავლების ცვლილებებისას, აგრეთვე ზოგიერთი სახის პროდუქციის საკმაოდ ხანგრძლივი შენახვის (მაგ., ხორბალი, სიმინდი) შესაძლებლობა, გარკვეულწილად არბილებს საბაზრო რისკის საერთო დონეს.

საფინანსო რისკი, რომლის წარმოქმნა დაკავშირებულია საფინანსო რესურსების მიღებასთან, განთავსებასთან და გამოყენებასთან. საფინანსო რესურსების მიღების წყაროებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვეყოთ საფინანსო რისკის შემდეგი სამი შემადგენელი:

ნასესხები კაპიტალის რისკი, რომელიც გამოიხატება სესხის მიღების ხელმისაწვდომობაში და მის ღირებულებაში²;

საკუთარი კაპიტალის რისკი, რომელიც გამოიხატება კაპიტალის სიდიდის ცვლილებების ალბათობაში;

კაპიტალის სტრუქტურის რისკი, რომელიც გამოიხატება საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის სტრუქტურულ ძვრებში.

¹ ამის ნათელი მაგალითია 2007 წლის რთული კახეთში, აგრეთვე თხილის რეალიზაციის პრობლემები დასავლეთ საქართველოში. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს ამ სფეროში უფრო მეტი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობაზე

² ამ მხრივაც, საქართველოს აგრარულ სექტორში უამრავი პრობლემა დაგროვილი

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საფინანსო რისკების წარმოქმნის ძირითად და ხშირად შემხვედრ მიზეზებს წარმოადგენს: საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი ცვლილებები, მოზიდული სახსრების დაბრუნების ვადების გაუთვალისწინებელი შემცირება, საკრედიტო რესურსების უკმარისობა, რენტაბელობის შემცირება ან წარმოების ზარალიანობა, ნასესხები კაპიტალის მაღალი ხვედრითი წილი საწარმოს პასივების სტრუქტურაში, მაღალლიკვიდური აქტივების რეზერვების არარსებობა.

რისკის ძირითადი ფაქტორების გავლენის მომხდენი ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო საწარმოს რისკების ცალკეულ სახეებსა და ჯგუფებზე მოტანილია ცხრილში. ნიშნით “+” აღნიშნულია რისკები, რომლებზეც ვრცელდება მითითებული ფაქტორების პირველადი გავლენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რისკების ყველა ჯგუფის ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას მივყავართ ფაქტორების უმრავლესობის მეორად ანუ გასაშუალოებულ გავლენამდე საწარმოს ყველა რისკზე.

წარმოების სპეციფიკიდან ან შესასწავლი პრობლემის დეტალიზაციის სასურველი ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეთავაზებული სქემის სახეცვლილება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ყველაზე უფრო სარისკო სფეროების გამოყოფის მიზნით. მაგრამ მხოლოდ ფაქტორთა მარტივი შეჯამება არ იძლევა რისკის დონის ადეკვატური შეფასების შესაძლებლობას. რისკის წყაროების გამოვლენის გარდა, აუცილებელია მათი ხარისხობრივი შეფასება მართვის ხარისხის, წარმოქმნის სიხშირის, ზემოქმედების ძალის მიხედვით. გარდა ამისა, რისკის თითოეული ჯგუფის, სახის, მთლიანად სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მიხედვით უნდა განისაზღვროს შედეგობრივი ნიშანი (მიზნის ფუნქცია), რომლის მოსალოდნელი ან დაგეგმილი დონისგან გადახრა შეიძლება იქნეს მიზნეული რისკის საზომად. ასეთი მიდგომის რეალიზაციის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს საწარმოო ფუნქციების (მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის) გამოყენება.

თანამედროვე პირობებში მდგრადი კონკურენტუნარიანობის მისაღწევად მენარმე სუბიექტებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება რისკისა და გაურკვევლობის პირობებში. ზემოთ განხილული საკითხები და მათი პრაქტიკაში გათვალისწინება დაეხმარება სოფლის სამეწარმეო სტრუქტურებს, არამარტო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ რისკის ყველა წყაროს შესახებ, არამედ დამუშაონ ღონისძიებათა ის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სარისკო სიტუაციების უარყოფითი გავლენის შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო სანარბოს რისკების ცალკეულ სახეებზე ფაქტორების გავლენის განზოგადებული სქემა

ცხრილი 1.

რისკის ფაქტორები	რისკის ჯგუფები										
	სანარბოო რისკები		პერსონალური რისკები			საბაზრო რისკები		საფინანსო რისკები			
	წარმ. პროდ. ხარისხის რისკი	წარმ. პროდ. რაოდენობის რისკი	შრომითი რეს. არსებობის რისკი	კვალიფიკაციის შესაბამისობის რისკი	სამუშაო დროის დანაკარგების რისკი	პო-მარკეტის რისკი	გაბაღების რისკი	ნაქვსზე კაპიტალის რისკი	საკუთარი კაპიტალის რისკი	კაპიტალის ხტრუტუქების რისკი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
გარეშე, არარეგულირებადი ფაქტორები											
ბუნებრივი-კლიმატური პირობები	+	+			+						
სოციალურ-პოლიტიკური პირობები				+		+	+	+		+	
სამეწარმეო აქტიურობის დონე			+	+				+			
მოსახლეობის ცხოვრების დონე			+	+							
ეროვნული ვალუტის მსყიდველ	+	+		+		+	+	+	+	+	

ობითი უნარიანობა										
სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობა						+	+	+	+	+
სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია			+	+			+			
ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
გარეშე, სუსტად რეგულირებადი ფაქტორები										
ურთიერთობები პროდუქციის მომხმარებლებთან							+			
ურთიერთობები საწარმოს შესახებ ინფორმაციის მომხმარებლებთან						+	+	+		
კონკურენცია სამუშაო ძალის ბაზარზე			+	+						
ხელისუფლების ორგანოების			+	+		+	+	+		

გაგვლენა										
საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობა									+	+
საგადასახადო ორგანოების გაგვლენა									+	+
ურთიერთობები რესურსების მომწოდებლებთან						+				
ურთიერთობები საბაზრო ინფორმაციის მომწოდებლებთან						+	+			
ურთიერთობები სამუშაო ძალის მომწოდებლებთან		+	+							
ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები								+		
ურთიერთობები საკრედიტო								+		

ორგანიზაცია										
ციკლთან										
შიგა, პარობითად რეგულირებადი ფაქტორები										
რესურსებით უზრუნველყოფა	+	+	+	+				+	+	+
რესურსების ხარისხი	+	+	+	+				+	+	+
წარმოების ტექნოლოგიის დაცვა	+	+								
სოციალური ფაქტორები			+	+	+					
ორგანიზაციული ფაქტორები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
დაგეგმვა	+	+	+	+	+	+	+	+	+	+

4.4.2. შედეგობრივი ნიშნისა და არსებითი ფაქტორების გამოვლენა და მათი რისკზე მოქმედების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი

ზემოთ მოტანილი მეთოდური მიდგომის საფუძველზე დამუშავდა ფერმერულ მეურნეობებში რისკის მართვის ორი მრავალფაქტორული მოდელი, რომელიც ეყრდნობა მათი საქმიანობის ყოველმხრივ შესწავლას, რისკის შიგა და გარე ფაქტორების ანალიზს.

პირველი მოდელი.

$$Y_1 = a_{1,0} + \sum a_{1,i} X_{1,i}, \quad i=1,2, \quad 7 \quad (4.1)$$

$$Y_1 = a_{1,0} \prod X_{1,i}^{a_{1,i}}, \quad i=1, 2, \dots, 7 \quad (4.2)$$

მეორე მოდელი.

$$Y_2 = a_{2,0} + \sum a_{2,i} X_{2,i}, \quad i=1,2, \quad 5 \quad (5.1)$$

$$Y_2 = a_{2,0} \prod X_{2,i}^{a_{2,i}}, \quad i=1, 2, \dots, 5 \quad (5.2)$$

შედეგობრივ ნიშნად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევარჩიეთ: პირველი მოდელისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი - სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთეულზე. ამასთან, იგი განეკუთვნება ადამიანის მიერ ნაწილობრივ მართვად მოვლენების ჯგუფს.

Y_1 სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია (ლარი) 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე;

მეორე მოდელისათვის, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი - სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთეულზე. ისიც განეკუთვნება ადამიანის მიერ ნაწილობრივ მართვად მოვლენების ჯგუფს.

Y_2 - დანახარჯები (ლარი) 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე.

ფაქტორულ ნიშნებად შევარჩიეთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს (ფერმერული მეურნეობების) რისკების ცალკეულ სახეებზე გამკლენი შიგა, პირობითად რეგულირებადი ფაქტორები.

პირველ მოდელში ჩართეთ შემდეგი ფაქტორული ნიშნები:

X_{1,1} - მიწის რესურსების ხარისხი (ბალი);

X_{1,2} - შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა (კაცი/1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე);

X_{1,3} - ფინანსებით უზრუნველყოფა (არსებული ფინანსური რესურსების თანაფარდობა დანახარჯებთან, კოეფიციენტი);

X_{1,4} - დანახარჯები (ლარი/1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე);

X_{1,5} - ძირითადი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი);

X_{1,6} - სპეციალიზაციის დონე (კოეფიციენტი);

X_{1,7}-ძირითადი პროდუქციის მოსავლიანობა (ც/ჰა)/პროდუქტიულობა (ც/ერთ სულ პირუტყვზე).

მეორე მოდელში ჩართეთ შემდეგი ფაქტორული ნიშნები:

X_{2,1} - მიწის რესურსების ხარისხი (ბალი);

X_{2,2} - შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა (კაცი/1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე);

X_{2,3} - ფინანსებით უზრუნველყოფა (არსებული ფინანსური რესურსების თანაფარდობა დანახარჯებთან, კოეფიციენტი);

X_{2,4} - სპეციალიზაციის დონე (კოეფიციენტი);

X_{2,5} - ძირითადი პროდუქციის მოსავლიანობა (ც/ჰა)/პროდუქტიულობა (ც/ერთ სულ პირუტყვზე).

გათვლები ჩატარდა ს.ს.ი.პ. აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში, პერსონალურ კომპიუტერზე, პროგრამული პროდუქტის SPSS-ის გამოყენებით. მოდელების ციფრობრივი კონკრეტიზაციისთვის გამოყენებული იქნა ჩვენს მიერ შერჩეული სხვადასხვა მიმართულებების (მევენახეობის, მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის, მემარცვლეობის, მებოსტნეობის და მეცხოველეობის) ფერმერული მეურნეობების 2005, 2006 და 2007 წლების საშუალო მონაცემები.

ცალკეული მიმართულების ფერმერული მეურნეობების გარდა, გათვლები ჩატარდა მათი ერთობლიობის მიხედვითაც (სულ 109 მეურნეობა). თუ პირველი ვარიანტის გათვლებში ვეკრდნობოდით წრფივ მოდელებს (4.1; 5.1), მეორე ვარიანტისას გამოყენებული იქნა არაწრფივი (ხარისხობრივი) მოდელი (4.2; 5.2), რომელიც უკეთ ასახავს შესასწავლი ფერმერული მეურნეობების ერთობლიობის ზონალურ, ბუნებრივ-კლიმატურ და სხვა ანალოგიურ განსხვავებებს.

გათვლილი (შეფასებული) მოდელების პარამეტრები და სტატისტიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილებში 2 და

საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში მთლიან პროდუქციაზე
რისკის ზემოქმედების მოდელის პარამეტრები და სტატისტიკური
მასსიათებლები

ცხრილი 2

ფაქტორები (ელასტ. კოეფ.) და მოდელის სტატისტიკური მასსიათებლები	ობიექტები							
	1	2	3	4	5	6	7	8
	შვენახეობა	მეტრუსეობა	მეჩაიეობა	მეხილეობა	მემარცვლეობა	მეხოსტეობა	მეცხოველეობა	სულ ფერმერული მეურნეობები
X _{1,1} (მიწის რესურსების ხარისხი, ბალი)	0,2824	0,2301	0,2985	0,2480	0,3496	0,3568	0,0098	0,2036
X _{1,2} (შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა კაც/მკ/მკ)	0,0487	0,1497	0,2753	0,2826	0,0824	0,2077	0,2276	0,1724
X _{1,3} (ფინანსებით უზრუნველყოფა კოეფ.)	0,9309	0,8767	0,7799	0,6801	0,5920	0,5574	0,7547	0,6465
X _{1,4} (დამახარავები, ლარი/მკ)	0,3882	0,2501	0,2929	0,2850	0,3558	0,2963	0,5702	0,3660
X _{1,5} (ძირ. პრაიმს სარეალიზ. ფასი)	0,4772	0,3640	0,4001	0,3882	0,2924	0,3264	0,5240	0,2687

X _{1,6} (სპეციალიზაცი ის დონე, კოეფ.)	0,0426	0,0377	0,0148	0,0924	0,1018	0,1077	0,1829	0,0788
X _{1,7} (ძირ. პრობ მოსაელ./პროდ.) ¹²	0,5266	0,4337	0,2706	0,3960	0,5827	0,3794	0,4706	
X ₂	2,6966	2,3420	2,3321	2,3723	2,3567	2,2317	2,7398	1,7360
R	0,896	0,836	0,953	0,976	0, 879	0,945	0,903	0,937
D	0,802	0,699	0,908	0, 952	0,772	0,893	0,815	0,878
F	32,73	45,35	44,27	37,08	38,24	49,87	38,16	45,54

¹² შესაბამისი პროდუქტის მოსაელთანობა ან პროდუქტიულობა ნატურალურ გამოსახულებაში; ამ გარემოების გათვალისწინებით, აღნიშნული ფაქტორი არ იქნა ჩართული ფერმერული შეურნეობების გაერთიანებულ მოდელში

ფერმერულ მეურნეობებში დანახარებებზე რისკის ზემოქმედების მოდელის
პარამეტრები და სტატისტიკური მახასიათებლები
ცხრილი 3

ფაქტორები და მოდელის სტატისტიკური მახასიათებლები	ობიექტები							
	1	2	3	4	5	6	7	8
	მეწიხეობა	მეცხვრეობა	მეჭაფობა	მეხილეობა	მეპარკულეობა	მეპოსტეობა	მეხორცილეობა	მეწამბრეობა
$X_{2,1}$ (მიწის რესურსების ხარისხი, ბალი)	0,0365	-0,1452	-0,2341	-0,1389	0,1979	-0,1139	0,0082	0,2005
$X_{2,2}$ (შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, კაცი/ჰა)	0,0585	0,0843	0,0910	0,0406	0,0795	0,0634	0,0509	0,0589
$X_{2,3}$ (ფინანსებით უზრუნველყოფა)	-	0,0214	0,0686	-0,0613	-0,0415	-	0,0752	0,0747
$X_{2,4}$ (საეკოლოგიური დონე, კოეფ.)	0,0204	0,0164	0,0368	0,0479	0,0282	0,0357	0,0569	0,0364
$X_{2,5}$ (მირ. პრ-ის მოსავლ./პროდ.) ¹³	-	-	-	-	-	-	-	-
X_n	0,4739	-0,1817	-0,4559	-0,3371	-0,3891	0,3742	0,2390	0,3705
R	0,871	0,902	0,921	0,916	0,842	0,912	0,922	0,932
D	0,759	0,814	0,848	0,839	0,709	0,832	0,850	0,869
F	32,89	40,59	35,32	30,15	35,44	28,55	32,86	43,64

¹³ შესაბამისი პროდუქტის მოსავლიანობა ან პროდუქტიულობა ნატურალურ გამოსახულებად; ამ გარემოების გათვალისწინებით, აღნიშნული ფაქტორი არ იქნა ჩართული ფერმერული მეურნეობების გაერთიანებულ მოდელში

გათვლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ აგებული მოდელები, სრულიად ადეკვატურად აღწერს ორივე შესასწავლ მოვლენას. F-კრიტერიუმის გათვლითი მაჩვენებლები საგრძნობლად აღემატება შესაბამის ცხრილურ მაჩვენებელს $P = 0,95$ ალბათობის დონეზე. ასევე, მრავლობითი დეტერმინაციის კოეფიციენტები ორივე მოდელში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შედეგობრივი ნიშნის ვარიაციას (69,3%-დან 89,3%-მდე—პირველი მოდელისთვის და 70,9%-დან 86,9%-მდე—მეორე მოდელისთვის).

ეს საკვებით ლოგიკურია, ვინაიდან, მოდელებში ჩართული ყველა ფაქტორი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ფერმერული მეურნეობების კვლავწარმოების საერთო დონეს და ეფექტიანობას.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ფაქტორების ზემოქმედება შედეგობრივ ნიშანზე, ორივე მოდელის მიხედვით.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გასაანალიზებელ ცხრილებში ფაქტორების მნიშვნელობები მოტანილია ელასტიურობის კოეფიციენტების მიხედვით, რაც შესაბამის შედეგობრივ ნიშანზე მათი გავლენის შედარების საშუალებას გვაძლევს (ხარისხობრივი მოდელისათვის რეგრესიის კოეფიციენტები ისედაც ემთხვევა ელასტიურობის კოეფიციენტებს).

პირველი მოდელი. (იხ. ცხრილი 2).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ფაქტორი დადებითი ნიშნიანია, ე.ი. მათი გავლენა ცალკეული მიმართულებების ფერმერულ მეურნეობაში, ისევე, როგორც მათ ერთობლიობაში შედეგობრივ ნიშანზე დადებითია, ანუ თითოეული ფაქტორის ერთ პროცენტით ზრდა იწვევს მთლიანი პროდუქციის ზრდას ფაქტორის შესაბამისი ელასტიურობის კოეფიციენტის ოდენობით.

მაგალითისათვის განვიხილოთ ფერმერულ მეურნეობათა ერთობლიობა. აქ შედეგობრივ ნიშანზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ფაქტორი $X_{1,3}$ – ფინანსებით უზრუნველყოფა, რომლის ერი პროცენტით ზრდა იწვევს მთლიანი პროდუქციის 0,65 პროცენტით ზრდას. ყველაზე ნაკლები გავლენის დონით ხასიათდება $X_{1,6}$ – სპეციალიზაციის დონე, რომლის ერთი პროცენტით ამაღლებას თან ახლავს შედეგობრივი ნიშნის 0,08 პროცენტით მატება.

საერთოდ, ამ ფაქტორის შეფასებისას, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება გარკვეულ წილად უპირისპირდება წარმოების დივერსიფიკაციას ფერმერულ მეურნეობებში. რაც შეეხება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა ძირითადი კულტურის მოსავლიანობა (მემცენარეობაში ც/სა) ან პროდუქტიულობა (მეცხოველეობაში ც/ერთ სულ პირუტყვზე), ეს ფაქტორი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე (გამოსახულია ნატურალურ მაჩვენებლებში), არ ასახულა ფერმერულ მეურნეობათა ერთობლიობაში. ცალკეული მიმართულებების მეურნეობებში, მისი გავლენის მნიშვნელობა ვარიირებს 0,27%-დან (მეჩაიეობა) 0,58%-მდე (მემარცვლეობა).

მთლიანად, მოდელში ჩართული ფაქტორების ერთობლივი გავლენის შესწავლა გვიჩვენებს, რომ როგორც ცალკეული მიმართულებების მეურნეობებში, ისე ფერმერულ მეურნეობათა ერთობლიობაში ელასტიურობის კოეფიციენტების ფაქტორში ერთზე მეტია, რაც ადასტურებს რომ საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში გამოაკეთა ეფექტიანობის ზრდის ტენდენცია და აღნიშნული ფაქტორების მიზანდასახული გამოყენება და მათი პრაქტიკაში გათვალისწინება დაეხმარება სოფლის სამეწარმეო სტრუქტურებს დაამუშაონ ღონისძიებათა ის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სარისკო სიტუაციების უარყოფითი გავლენის შემცირებას.

მორე მოდელი. (იხ. ცხრილი 3).

ამ მოდელში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, (4.1) და (4.2) მოდელისგან განსხვავებით, ჩართულია რისკების ცალკეულ სახეებზე გავლენის მომხდენი მხოლოდ ხუთი ფაქტორი (ფერმერულ მეურნეობათა ერთობლიობის (5.2) მოდელში – ოთხი ფაქტორი).

ამ მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა ფაქტორი უარყოფითი ნიშნისაა, ე.ი. მათი გავლენა ცალკეული მიმართულებების ფერმერულ მეურნეობაში, ისევე, როგორც მათ ერთობლიობაში შედეგობრივ ნიშანზე უარყოფითია, ანუ თითოეული ფაქტორის ერთი პროცენტით ზრდა იწვევს დანახარჯების შემცირებას ფაქტორის შესაბამისი ელასტიურობის კოეფიციენტის ოდენობით.

ამავე ლოგიკით, უარყოფითა ელასტიურობის კოეფიციენტების ჯამი, თუმცა ის ერთზე ნაკლებია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შედეგობრივი ნიშანი იცვლება უფრო ნელა, ვიდრე ფაქტორების პროცენტული ჯამური ცვლილება. ეს, თავის მხრივ გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლები თეორიული შესაძლებლობის პირობებშიც კი გარკვეული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ აღნიშნული ფაქტორების ზრდის ტენდენციას.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა აღნიშნოს, რომ პერსონალური კომპიუტერების სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა, ისეთი როგორც არის ჩვენს მიერ გამოყენებული შ შშ, სხვა სპეციალური პროგრამები (მაგალითად STATGRAPHICS, CSS, STATISTICA და სხვ.), აგრეთვე საოფისე პროგრამა Microsoft Excel საშუალებას იძლევა ჩატარდეს შესაბამისი გაანგარიშებები შედეგობრივი და ფაქტორული ნიშნების სხვა ჯგუფებისათვის, რაც თავისთავად აფართოებს სასოფლო-სამეურნეო რისკის მართვის მრავალფაქტორული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების შესაძლებლობებს.

4.5. სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ოპტიმალურ-დიფერენცირებადი დონეები, ზონალურ-ტიპური ფარგმარული მმურნეობებისათვის, შმსა-ბამისი რეკომენდაციების დაშუაებით

მოკლე შმსაპალი:

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების დადგენითა და შეფასებით შესაძლებლობა გვეძლევა მეცნიერულად დასაბუთებულად განვსაზღვროთ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი და სტრატეგიული მიმართულებები, წარმოების პროცესზე შემოქმედი ფაქტორების მაღალი უკუგებით გამოყენების პირობები და მათი ურთიერთშეთანაწყობის დონე, ამასთან, ეტაპების მიხედვით ვარგეულიროთ დარგობრივი სტრუქტურა, არსებული რესურსებისა და საქონლის განაწილება, გამოვავლინოთ წარმოების ძლიერი და სუსტი მხარეები.

სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის შეფასებისათვის, აღნიშნული პოზიციების მხედველობაში მიღებით, პირველად ჩვენს მიერ შემოღებულია ისეთი ახალი პარამეტრი, როგორცაა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი. ამისათვის ხმარებაში შემოტანილი იქნა საგანგებო, გამარტივებული სახის ფორმულა-მოდმივა. მისი გამოყენებით დგინდება სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები სხვადასხვა ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და სხვა ტიპის პოზიციისათვის, ანუ ფაქტორ-პოზიციისათვის.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის დადგენის ცდები ეკონომიკურ და სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ არ მოგვეპოვება. იგი ჩვენს მიერ შემოტანილი სრულიად ახალი მიდგომაა და ახლებურად ასახავს რისკის გაწვევის დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას. ამ მაჩვენებლის მომარჯვებით უნდა დადგინდეს როდის არის მიზანშეწონილი ამა თუ იმ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ტექნოლოგიური ან სხვა ხასიათის ღონისძიების გატარება, რათა ამის შედეგად ნაკლებ დანაკარგებს კქონდეს ადგილი და მიღწეული იქნას მაღალი უკუგებაც (ეკონომიკური ეფექტი). საბოლოო ჯამში ამით დასტურდება, რომ გაწეულ რისკს, ამა თუ იმ კონკრეტული ნაბიჯის

მიხედვით, გამართლება ჰქონდა და გარკვეული მოგებაც მოიტანა.

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრების დადგენა არ არის ერთგვარად აქტი, იგი პერიოდულ კორექტირებას და შესწორებას მოითხოვს, მასზე მოქმედი სხვადასხვა პირობისა და ფაქტორის გათვალისწინებით. ამის შესაბამისად, ერთ შემთხვევაში ამ ზღვრის ერთი ღონე შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს, მეორე შემთხვევაში კი მეორე, რადგანაც იგი დგინდება განყენებულად ერთი რომელიმე ეკონომიკური სვლის (ღონისძიების, მიმართულების და ა.შ.) მიხედვით. რაც შეეხება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების სინთეზირებულ მაჩვენებლებს, ისინი რაც უფრო სტაბილური და მაღალი იქნება, მით მეტ დასაბუთებულობას ანიჭებს წარმოების გაძლოლის პროცესს, ასეთი რისკის პირობებში.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები დგინდება შემდეგი სახის ფორმულის (ფორმულა-მულტიპლას) გამოყენებით:

$$R = (X \cdot 2) / P$$

სადაც: **R** - რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი;

X - გაწეული ხარჯები(ლარი), კონკრეტულ ღონისძიებებზე, ან მთლიანად საწარმოში (მეურნეობაში);

P - მიღებული შემოსავალი (ლარი), კონკრეტული ღონისძიების გატარების შედეგად, ან მთლიანად მეურნეობის მიერ.

მაგ. გაწეული ხარჯები მეურნეობაში 13ა-ზე უდრის 100 ლარს, მიღებული მთლიანი შემოსავალი 13ა-ზე არის 250 ლარი. მაშინ

$$R = (100 \cdot 2) / 250 = 0,80$$

ეს ნიშნავს, რომ ყოველი 1ლ. შემოსავალი მიიღება 0.80 ლარის დანახარჯის პირობებში, ანუ ყოველ მიღებულ (მისაღებ) 1 ლარ შემოსავალზე გასაწევი ხარჯების მაქსიმალური ზღვარია 0,80 ლარი.

რაც ნაკლებია ეს პარამეტრი, მით მეტი გამართლება აქვს რისკს (ამ სარისკო ღონისძიების გატარებას).

ამის გარდა, რისკის შესაფასებლად ჩვენ ვიყენებთ ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა რისკის უკუგების ღონე. იგი, ცნობილი მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$L = (P - X) / X$$

სადაც: L – არის რისკის უკუგების დონე (კოეფიციენტის სახით გამოხატული);

X – გაწეული ხარჯები (ლარი);

P – მიღებული შემოსავალი (ლარი).

L – ნიშნავს, ყოველ დახარჯულ ლარზე თუ რამდენი ლარი შემოსავალი მიიღება.

თუ L მაჩვენებელს გაეამრავლებთ 100-ზე, მივიღებთ მოგებას პროცენტობით.

რისკის შეფასების კომპლექსურობისათვის შემოგვაქვს ასევე ახალი მიდგომა: დადგინდეს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და რისკის უკუგების დონეს შორის პროპორციები, იგი გვიჩვენებს ამ ორ მაჩვენებელს შორის დამოკიდებულების კანონზომიერებას და ასახავს მათი ურთიერთქმედების ტენდენციას, დგინდება მათ შორის დამოკიდებულების ოპტიმალური ფარგლები, რაც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია რისკის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით. ეს მიდგომაც პირველად გამოიყენება საქართველოში და იგი მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე საჭირო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ეს პროპორციები დგინდება ამ ორი მაჩვენებლის, უკუგების და მიზანშეწონილობის ზღვრის, ერთმანეთზე გაყოფით და გამოიხატება კოეფიციენტის სახით.

$$\text{მაგ. } L / R = 1,5 / 0,80 = 1,87$$

$$\text{ან } 2,0 / 0,66 = 3,03$$

იგი გვიჩვენებს რისკის უკუგებასა და მის მიზანშეწონილობას შორის არსებულ ფარდობით პროპორციას და ასახავს, რომ რაც მაღალია პროპორციულობის კოეფიციენტი, მით მეტადაა გამართლებული რისკი ამა თუ იმ პოზიციის მიხედვით.

ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების დონეების ჩამოთვლილი და გაანალიზებული პარამეტრები მართალია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგრამ მაინც არ გვიხატავს რისკის კომპლექსურ და სრულად, სხვადასხვა მიდგომათა ურთიერთშეწონასწორებულად შეფასების შეჯერებულ სურათს. ამისათვის საჭირო ხდება შემოტანილი იქნას ახალი მახასიათებელი რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებისა და უკუგების დონეების

სინთეზური მაჩვენებლის სახით, რომელიც ყველა ძირითადი ფაქტორის, პირობისა და გარემოს ურთიერთკავშირში ერთიანად და განზოგადებულად ახსნის რისკის მიზანშეწონილობასა და უკუგებას.

ეს მაჩვენებელი რისკის მისაღები ეკონომიკური ზღვრებისათვის იანგარიშება ასე: თითოეული ელემენტის ჯამის შეფარდებით ამ ელემენტთა რიცხვზე.

მაგალითი: $SR = (R_1 + R_2 + R_3 + R_4 + R_5 + R_6 + R_7) / 7 =$

$$= (0,80+0,60+0,65+0,40+0,55+0,75+0,90) / 7 = 4,65$$

$$/ 7 = 0,66$$

SL იანგარიშება წინა მაჩვენებლის ანალოგიურად. ამ მაჩვენებლის ანალიზით დგინდება, რომ რაც დაბალია SR და რაც მაღალია SL მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა ერთობლიობით გაწეული რისკი.

სინთეზირებული მაჩვენებლის შესახებ დაწვრილებითი მასალა და ანალიზი აისახება მე-5 ამოცანის მიხედვის ანგარიშის წარმოდგენისას.

ამრიგად, ჩვენ შექმელით შეგვექმნა სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების გაგებისა და შეფასების სრულიად ახალი სისტემა, რომელმაც წესრიგში მოიყვანა რისკის დასახვის, მისი კრიტერიუმების შერჩევის, შეფასების (ეფექტიანობის) მაჩვენებელთა დადგენის და მათი პროგნოზირებისა და მართვის მთელი პროცესი.

ეს სისტემა მოიცავს ახლებურად დანახულ პოზიციებს, ანუ ურთიერთდაკავშირებულ, ურთიერთშეწონასწორებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ მაჩვენებელთა რამდენიმე მსხვილ ჯგუფს, რომელიც იყოფა რისკის გაწევის სელების (სარისკო ღონისძიებების) კატეგორიებად.

აღნიშნული სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია (როგორც მეთოდის ნაწილშიც ითქვას) ამ სარისკო ჯგუფების შედგობრივ ნიშნებს შორის პროპორციების დადგენა, შესაბამისი კოეფიციენტების მეშვეობით, აგრეთვე ამ თითოეული ჯგუფის ყველა ნიშნის სინთეზური (ოპტიმიზირებული) პარამეტრის შემოღება და დადგენა, რომელიც განზოგადებულად ასახავს საერთო რისკის (მისი ელემენტების ერთობლიობის) ერთიან, საბოლოო შედეგს.

კელევის მეთოდის შესაბამისად, საკვლევად შერჩეული 124 ტიპური ფერმერული მეურნეობის მაგალითზე, ქვემოთ წარმოდგენილია

კვლევის შედეგები, რომელშიც ასახულია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები მებოსტნეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მემარცვლეობისა და მეცხოველეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, გაშუქებულია შემდეგი ფაქტორ-პოზიციების მიხედვით:

სპეციალიზაციის ღონის მიხედვით (ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფაქტორ-პოზიცია);

ფერმერული მეურნეობის სიდიდის მიხედვით (ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფაქტორ-პოზიცია);

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მიხედვით (ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ფაქტორ-პოზიცია);

ძირითადი სახის პროდუქციის (საქონლის) სარეალიზაციო ფასის მიხედვით (მარკეტინგული ფაქტორ-პოზიცია).

დასაბუთებითი ხასიათის განმარტებები:

1. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების დადგენა სპეციალიზაციის ღონის (კოფეციენტის) საფუძველზე

ფერმერული მეურნეობის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სპეციალიზაციის განსაზღვრასა და სწორად განჭვრეტას. ამისათვის აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორისა და პირობის გათვალისწინება.

სამუშაო ძალით კარგად უზრუნველყოფილ მეურნეობებში განვითარებული უნდა იყოს ინტენსიური დარგები – მევენახეობა, მებოსტნეობა, მერძეული მესაქონლეობა და ა.შ., რომლებიც ცოცხალი შრომის დანახარჯებს მოითხოვს.

სამუშაო ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილ მეურნეობებში ირჩევენ ისეთ დარგებს, რომლებიც ნაკლებ შრომით დანახარჯებს მოითხოვს. კერძოდ: მარცვლეულ კულტურებს, მეღორეობას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდას და სუქებას და ა.შ.

ფერმერისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი გადაწყვეტილების მიღება:

1. მეურნეობის საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა;
2. დარგთა რაციონალური შეთანაწყობა, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი მოგება.

აღნიშნულ შემთხვევებში ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს თითოეულ რეგიონში ამა თუ იმ დარგის განვითარებისა და გაძღოლის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანისა და პირუტყვის შენახვის ახალი ტექნოლოგიები და სხვა ფაქტორები. ანდა, შესაძლოა მან სრულიად ახალი და ალტერნატიული გადაწყვეტილებები მიიღოს, რომელიც არანაკლები ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე ადრე გამართლებულად მიჩნეული მიმართულებების გამოყენება.

აქედან გამომდინარე, საჭიროა კონცენტრაცია და ორიენტაციის აღება იმ საქონლის წარმოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობას და შესაბამისად, მეურნეობის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ფერმერულ მეურნეობას შეუძლია დაადგინოს სპეციალიზაციის დონე (კოეფიციენტი) შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$კს = 100/ ხწ(2* N- 1)$$

სადაც: კს - სპეციალიზაციის კოეფიციენტი;

ხწ - ცალკეული დარგის (კულტურის, პროდუქციის) ხვედრითი წონა მეურნეობის მთლიან სასაქონლო პროდუქციაში;

N - სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წონის რიგითი ნომერი (სიდიდის რიგის მიხედვით).

მაგალითად, ფერმერულ მეურნეობაში მეხილეობის სასაქონლო პროდუქციას უკავია 64%; საშემოდგომო ხორბლისას - 20%; სიმინდისას - 12%; მესაქონლეობას - 4%. ამ მონაცემების ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

$$კს = 100/64(2*1-1)+20(2*2-1)+12(2*3-1)+4(2*4-1)=100/64+60+60+28=0,47$$

თუ სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,2-მდეა, ეს ნიშნავს სპეციალიზაციის სუსტ დონეს, 0,2-0,4 - საშუალოს, 0,4-0,6 - მაღალს, 0,6 - ზე ზევით ღრმა სპეციალიზაციას.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების აბსოლუტური დონეების გამოსაკვლევეად დადგენილი იქნა მებოსტნეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მეციტრუსეობისა და

მეჩაივობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტი, რომელიც ასახულია ცხრილებში.

შენიშვნა: ამ პარამეტრის მიხედვითაც და შემდგომშიც, ცხრილებში, ფერმერული მეურნეობების დასახელება (ჩამონათვალი) მოცემულია საგანგებო კოდირების საფუძველზე. თითოეული კოდის შესაბამისობა ფერმერულ მეურნეობასთან წარმოდგენილია ცხრილების ბოლოს, დანართის სახით.

2. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონების დადგენა მეურნეობის სიდიდის მიხედვით

ფერმერული მეურნეობის სიდიდის ძირითად მაჩვენებლებად მიღებულია წარმოებული საერთო პროდუქციის მოცულობა ფულად გამოხატულებაში, აგრეთვე მაჩვენებლები: სასოფლო-სამეურნეო საეარგულების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობები, პირუტყვის სულადობა.

მეურნეობის სიდიდეზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები, საწარმოო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლო დონე. ამის გარდა მასზე გავლენას ახდენს:

- მეურნეობის საწარმოო მიმართულება (სპეციალიზაციის ხასიათი);
- წარმოების ორგანიზაციისა და მართვის (მენეჯმენტის) დონე;
- ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;
- დასახლებული პუნქტების განლაგება და სიახლოვე;
- ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კვალიფიკაცია;
- კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, გზებისა და სხვა მდგომარეობა.

ფერმერული მეურნეობა უნდა იყოს არა მსხვილი, არამედ ოპტიმალური სიდიდის, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერს ეფექტურად გამოიყენოს მიწა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და შრომითი რესურსები, უზრუნველყოს მომგებიანი საქმიანობა.

მეურნეობის სიდიდის განზოგადებულ პარამეტრად, შემდგომი გაანგარიშებებისათვის, ჩვენს მიერ შერჩეულია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობი.

3. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების დადგენა მოსავლიანობის დონის მიხედვით

ფერმერული მეურნეობის წარმატებული და სტაბილური მუშაობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა დონის მოსავლიანობის პირობებში ექნება მას უზრუნველყოფილი გარანტირებული მოგება.

მოსავლიანობის ასეთი დონის დადგენას მოსავლიანობის დაპროგრამება ჰქვია. ახლა მოსავლიანობის დაპროგრამება მეცნიერთა ფართო შესწავლის საგანს წარმოადგენს. ამ დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნას მცენარისათვის სასიცოცხლო ფაქტორების ოპტიმიზაციის მიღწევა.

მოვიტანოთ სიმინდის გარანტირებულად მომგებიანი მოსავლიანობის დონის დაპროგრამების (განსაზღვრის) კონკრეტული შემთხვევა შპს „გაუწყინარის“ მაგალითზე:

ფერმერი თუ აპროგრამებს 50ც/ჰა სიმინდის მარცვლის მოსავალს, ამ შემთხვევაში მარცვალში მშრალი ნივთიერება იქნება 43ც/ჰა, ხოლო შესაბამისად ჩალის მოსავალი — 645ც/ჰა.

ერთი ცენტნერი სიმინდის მარცვლით მცენარეს ნიადაგიდან გამოაქვს 1,5კგ. აზოტი, 0,8კგ. ფოსფორი და 0,5 კგ. კალიუმი, ხოლო ჩალას შესაბამისად: 0,7კგ.; 0,25კგ. და 1,5კგ.

როდესაც ნიადაგში იმდენია საკვები ნივთიერებები, რომ სასუქების შეტანის გარეშე მცენარეს შეუძლია მოგვეცეს მშრალი მარცვალი 24,1ც/ჰა, ხოლო ჩალა — 36,1ც/ჰა, მაშინ ნიადაგში შესატანი საკვები ნივთიერებები უნდა ვიანგარიშოთ მხოლოდ დაპროგრამებული (სასურველი) მოსავლის ნამატისათვის 18,9 ცენტნერი მარცვლის (43 — 24,1) და 28,4 ცენტნერი ჩალისთვის (64,5 — 36,1).

18,9ც. მარცვლის შესაქმნელად მცენარეს დასჭირდება აზოტი 28,4კგ. ($1,5 \times 18,9$), ფოსფორი 16,3კგ. ($0,87 \times 18,9$) და კალიუმი 9,5კგ. ($0,5 \times 18,9$), ხოლო 28,4ც. ჩალისათვის შესაბამისად — 19,9; 7,1; 42,6; სულ საჭირო იქნება აზოტი 48,3კგ.; ფოსფორი — 23,4კგ. და კალიუმი — 52,1კგ.

შესატანი მინერალური სასუქების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$\text{სდ} = 100 \times \text{მგე/სგკ}$$

სადაც: სდ – სასუქების დოზა;

მგე – მოსავლის მატებით გამოტანილი საკვები ელემენტები;

სგკ – საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი.

ჩვენი მაგალითის მიხედვით, ფერმერმა დაპროგრამებული მოსავლის ნამატის მისაღებად უნდა შეიტანოს:

აზოტი – $48,3 \times (28,4 + 19,9) \times 100 / 60 = 80,5$ კგ.

ფოსფორი – $23,4 \times (16,3 + 7,1) \times 100 / 25 = 93,6$ კგ.

კალიუმი – $52,1 \times (9,5 + 42,6) \times 100 / 60 = 87,0$ კგ.

მინერალური სასუქების გამოყენებას უნდა შეეთანაწიოს რწყვისა და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროული გატარებაც.

მინიმალური მოსავლიანობა, რომლის დროსაც სასაქონლო კულტურა მომგებიანი იქნება ფერმერულ მეურნეობაში, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$მმ = (სხ + წშ) / სფ$$

სადაც: მმ – მინიმალურად გარანტირებული მომგებიანი მოსავლის დონე;

სხ – საწარმოო ხარჯები 1 ჰა-ზე, ზედნადები ხარჯების ჩათვლით;

წშ – წმინდა შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ გაფართოებულ კვლავწარმოებას;

სფ – 1ც. პროდუქციის სარეალიზაციო ფასი.

კონკრეტული მაგალითისათვის, ამ ფორმულაში თუ ჩავსვამთ პირობით ციფრებს, მივიღებთ:

$$მმ = (800 + 200) / 25 = 40 \text{ ც/ჰა}$$

ე.ი. გარანტირებულად მომგებიანი მოსავლიანობის მინიმალურად მოსალოდნელი დონე უნდა იყოს 40 ც/ჰა.

რაც შეეხება სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებსა და უკუგების აბსოლუტურ დონეებს, ტექნოლოგიური უსაფრთხოების მიხედვით, დგინდება, რომ ტექნოლოგიურად მაღალი უსაფრთხოების ანუ მაღალი მოსავლიანობის პირობებში, მაღალია რისკის ამ პოზიციის უკუგება, ეკონომიკური ზღვარი კი მერყეობს 0,98-დან 0,33-ის ფარგლებში.

ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, როცა 1ც. სიმინდის მოსავლიანობა შეადგენს 35-40 ცენტნერს.

4. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უპუგების დონების დადგენა საქონლის სარეალიზაციო ფასის მიხედვით

თანამედროვე ფერმერული მეურნეობისათვის მეტად საყურადღებოა წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასების განსაზღვრა, რომელიც თავისთავად განსაზღვრავს მომხმარებელთა არჩევას (შერჩევას) და ბაზრის დაპყრობის დონეს.

მეურნეობა ცდილობს არა მხოლოდ გაყიდოს თავისი წარმოებული პროდუქცია, არამედ გაყიდოს იგი მომგებიანად. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს გამართლება ბიზნესს.

თუ მეურნეობას ბევრი კონკურენტი ჰყავს (კონკურენციის გარეშე კი წარმოუდგენელია ბიზნესი) და იგი განიცდის სიძნელებებს საქონლის გასაღებასთან დაკავშირებით, მაშინ იძულებულია დასწიოს ფასები, რათა მეტი მომხმარებელი მიიზიდოს და იყოს სიცოცხლისუნარიანი ბაზარზე, მაგრამ ფასების ასეთმა შემცირებამ შეიძლება გასტანოს მანამდე, ვიდრე ეს ფასები უზრუნველყოფს მოგებას.

ამრიგად, ფასების დადგენის პირველი მოსაზრება და პრინციპია— მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა;

მეურნეობა ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება. ამიტომ ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, ეცდება გაყიდოს თავისი პროდუქცია, რაც შეიძლება მაღალ ფასებში.

ამრიგად, მეორე მოსაზრება და პრინციპია — მოგების ზრდა.

მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დაიკაოს მყარი პოზიციები (მდგომარეობა) ბაზარზე, შეინარჩუნოს საქონელზე მოთხოვნილება რაც შეიძლება მეტ დროს. ამის მისაღწევად მეურნეობა შეიძლება წავიდეს ფასების დაბლა დაწევაზე.

ამრიგად, მესამე მოსაზრება და პრინციპია— ბაზარზე და საერთოდ, პერსპექტივაში პოზიციების გამყარება.

როგორც ირკვევა, ეს ამოცანები ზუსტად შეესატყვისება ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის მიზანს.

ფასების პრობლემის გახსნისათვის მენეჯმენტში და საერთოდ, საბაზრო ეკონომიკაში სხვადასხვა გრაფიკები და მრუდები განიხილება. არსებობს შესაბამისი მეთოდოლოგიები, მაგრამ საკითხის გართულების თავიდან აცილების მიზნით დაეყრდნოთ გაანგარიშებების იმ მარტივ,

საერთოდ მიღებულ პრინციპს, რაც მიზანშეწონილია ფერმერული მეურნეობის კადრებისათვის და მისი მენეჯმენტის დონისათვის.

ამრიგად, განვიხილოთ როგორ გაიანგარიშება ფასების კონკრეტული ციფრობრივი მაჩვენებელი ყველაზე გავრცელებული წესით.

ეს წესი შეიძლება გამოისახოს ფორმულით: $ფ = დ + მ$

სადაც: ფ - დაწესებული ფასი;

დ - დანახარჯების საერთო მოცულობა;

მ - მოსალოდნელი მოგების სიდიდე, რაც სურს მეურნეობას მიიღოს პროდუქციის რეალიზაციიდან.

შესაძლებელია ბაზრის რეაქციის ორი ვარიანტი:

1. სიდიდე „მ“ აღმოჩნდება რეალური, საქონელს შეუფერხებლად ასაღებენ. მეურნეობას შეუძლია ასწიოს ფასი იმ დონემდე, ვიდრე ფასი არ გაუტოლდება უმაღლეს ზღვარს (მზ);

2. სიდიდე „მ“ აღმოჩნდება საკმაოდ ოპტიმისტური.

მეურნეობა დაბლა სწევს ფასს, ვიდრე საქონელი ვერ ნახავს გასაღების ბაზარს. ფასის დაწვეა შეიძლება უმაღლეს დონემდე (დზ), რის შემდეგაც უნდა შეწყდეს საქონლის წარმოება, ანდა განხორციელდეს სერიოზული ცვლილებები.

ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების დროს ზოგიერთ შემთხვევაში შედარებით ნაკლებად (თუ მეურნეობის საქონელი სხვადასხვა არხების გარეშე აღწევს პირდაპირ მყიდველამდე (მომხმარებელამდე), ზოგჯერ კი საკმაო ხარისხით გაღის გასაღების რთულ გზას წარმოებიდან მომხმარებელამდე, ამას განაწილების, ანდა გასაღების არხები ჰქვია.

ეს გულისხმობს იმას, რომ მწარმოებელი პროდუქციას მიჰყიდის საბითუმო ვაჭრობის ფირმას, ეს უკანასკნელი მიჰყიდის საცალო ვაჭრობის ფირმას. საქონლის ფასს, მოძრაობის ამ გზაზე ყოველი მონაწილე ფასის გადაანგარიშების წესით ადებს თავის დანამატს (დანარიცხს - თავისი წილი მოგების მისაღებად).

ვაჩვენოთ კონკრეტული მაგალითი:

ფერმერულმა მეურნეობამ (მწარმოებელმა) წარმოებულ სოიოს ყოველ ცენტნერზე დაადო ფასი 65 ლარი. ამას დაუმატა მოსალოდნელი (საჭირო) მოგება 10 ლარი და მიჰყიდა იგი საბითუმო ფირმას 75 ლარად.

საბითუმო ფირმა ინახავს საქონელს საწყობში და მის სარეალიზაციოდ მომზადებისათვის ხარჯავს მის ერთეულზე 15 ლარს, ამის შემდეგ მან ამ ფასს თავისი მოგების წილად კიდევ დაუმატა 15

ლარი და პროდუქციის ფასი ხდება 90 ლარი. ამ ფასად მან საქონელი (სოიო) მიჰყიდა საცალო ვაჭრობის ფირმას. ეს ფირმა ეწვეა საორგანიზაციო სამუშაოებს თავის ქსელში საქონლის გასაყიდად, რისთვისაც ხარჯავს 20 ლარს (ეს მისი ხარჯებია), ამან საქონლის ფასი ასწია 110 ლარამდე (90+20), ამ ფირმამ ასევე, თავისი წილი მოგების მიღების მიზნით საქონლის ფასს დაამატა დანარიცხი 20 ლარი და საქონლის ფასი უკვე გახდა 130 ლარი.

როგორც ჩანს, პროდუქციის ფასი, ვიდრე მომხმარებელამდე მივა, რთულ გზას გადის და საბოლოოდ შეიძლება იმ დონემდე ავიდეს, რომ საერთოდ არც კი გასაღდეს (გაიყიდოს), რაც გავლენას მოახდენს თვით ფერმერული მეურნეობის მომგებიან ფუნქციონირებაზე, ამიტომ ეს მეურნეობები უნდა ცდილობდნენ დაამყარონ პირდაპირი კავშირები მომხმარებლებთან ანდა ეცადონ, რომ მათ მიერ წარმოებულმა საქონელმა რაც შეიძლება ნაკლები არხი გაიაროს.

ლოგიკურია, რომ მაგალითად მოტანილი კონკრეტული შემთხვევიდან გამოვძინარე, ცენტნერი სოიო 75 ლარად (კილოგრამი 7,5 ლარად) წარმატებით გაიყიდება და ფართო ბაზარიც იქნება, ვიდრე 130 ლარად. 75 ლარის დონის შემთხვევაში ფერმერულ მეურნეობას დიდი შესაძლებლობები აქვს არეგულიროს ფასი მაღალ და დაბალ დონეებს შორის და შედარებით ადვილად მიიღოს სასურველი მოგება და ეტაპობრივად აამაღლოს კიდეც იგი.

ამ კონკრეტული მაგალითიდან აშკარად ჩანს ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის მარკეტინგული ფუნქცია, რომლის რეალიზაციაც გადამწყვეტწილად მოქმედებს ამ მეურნეობის მომგებიან და წარმატებულ მუშაობაზე.

ფერმერულ მეურნეობას შეუძლია გამოიყენოს გასაღების სტიმულირების სხვადასხვა ფორმა, რომელსაც იგი შეარჩევს და მიზანშეწონილად ჩათვლის. მაგ., შეიძლება ასეთი ფორმაც: 1ც. სოიოს ყიდის 75 ლარად, 4ც. გაყიდის 260 ლარად და სხვ. ასეთი მიდგომების სწორად არჩევას მეურნეობის მენეჯმენტის მაღალი დონე განაპირობებს

4.5.1. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების სარეკომენდაციო ოპტიმალური პარამეტრები ფერმერულ მეურნეობაში

I მებოსტნეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის:

1.1 რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები, სპეციალიზაციის დონის (კოეფიციენტის) მიხედვით

(ცხრილი 1-ბ-ბოსტნეული)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი1)	სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	I ჯგუფი			
	<u>0,21 =</u>			
	0,40			
1. N ₁	0,35	0,32	0,68	2,13
2. N ₂	0,40	0,50	1,00	2,00
3. N ₃	0,35	0,40	0,50	1,43
	II ჯგუფი			
	<u>0,41 =</u>			
	0,60			
1. N ₄	0,51	0,68	1,28	1,88
2. N ₅	0,58	0,34	1,92	5,65
3. N ₆	0,60	0,50	1,00	2,0

	<u>III වර්ගයේ</u> <u>0.61 ලා</u> <u>විදුලි</u>			
1. N ₇		0,41	0,44	1,07
2. N ₈	0,64	0,61	0,63	1,03
3. N ₉	0,65	0,52	0,93	1,79
4. N ₁₀	0,71	0,72	1,38	1,92
5. N ₁₁	0,77	0,72	1,40	1,94
6. N ₁₂	0,83	0,75	0,33	0,44
7. N ₁₃	0,93	0,81	1,42	3,46
8. N ₁₄	1,0	0,54	0,83	1,53
	1,0			

12. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები, მეურნეობის სიდიდის მიხედვით

(კხრილი 2-ბ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი1)	ბოსტნე-ულის ფართობი, ჰა	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	<u>I კლუდი</u>			
	<u>0,1 – 2,0</u>			
1. N ₂	0,15	0,50	1,00	2,00
2. N ₃	0,40	0,40	1,50	3,78
3. N ₁	0,50	0,32	2,08	6,50
4. N ₄	1,50	0,78	0,88	0,36
5. N ₁₁	1,70	0,34	1,92	5,65
6. N ₈	1,90	0,61	0,63	1,03
7. N ₇	2,0	0,41	1,44	3,51
	<u>II კლუდი</u>			
	<u>2,1 – 4,0</u>			
1. N ₅	2,5	0,42	1,40	3,33
2. N ₆	3,0	0,54	1,83	3,39
3. N ₁₃	3,3	0,52	1,93	3,71
	<u>III კლუდი</u>			
	<u>0,41 ღამბეტი</u>			
1. N ₁₀	4,5	0,72	1,02	1,42
2. N ₉	5,0	0,81	1,42	1,78
3. N ₁₂	10,0	0,75	0,33	0,44
4. N ₁₄	20,0	0,50	1,00	2,00

1.3. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და
 უკუგების დონეები, ძირითადი კულტურის მოსავლიანობის მიხედვით
 (ცხრილი 3-ბ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი)	ბოსტნეულის მოსავლიანობა, ც/ჰა	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცი ია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u>			
	<u>1 - 100</u>			
1. N ₃	20	0,71	1,42	2,00
2. N ₁	50	0,78	0,28	0,36
3. N ₉	38	0,52	0,93	1,78
4. N ₈	45,5	0,61	0,63	1,03
5. N ₁₀	16	0,82	1,38	1,68
6. N ₂	30	0,84	1,92	2,29
	<u>II ჯგუფი</u>			
	<u>101 - 200</u>			
1. N ₁₄	167	0,54	0,83	2,27
2. N ₇	162	0,41	0,44	1,07
3. N ₁₁	200	0,72	1,40	1,94
	<u>III ჯგუფი</u>			
	<u>201 და მეტი</u>			
1. N ₁₂	300	0,55	1,33	2,44
2. N ₆	250	0,50	1,00	2,00
3. N ₅	546	0,50	1,00	2,00
4. N ₁₃	680	0,40	1,50	3,78
5. N ₄	840	0,32	2,08	6,50

1.4. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები, ძირითადი სახის პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით

(ცხრილი №4-ბ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი1)	ბოსტნეულის სარეალიზაციო ფასი, კგ/ლარი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	I ჯგუფი 0,15 – 0,50			
1. N ₁₂	0,15	0,75	0,33	0,44
2. N ₁₀	0,18	0,72	1,08	1,50
3. N ₈	0,20	0,34	0,92	2,71
4. N ₁₁	0,30	0,82	1,40	1,71
5. N ₃	0,30	0,40	0,50	1,25
6. N ₂	0,30	0,80	1,00	1,25
7. N ₁	0,30	0,32	0,08	0,27
8. N ₇	0,30	0,41	0,44	1,07
9. N ₆	0,50	0,70	1,00	1,43
	0,50			
	II ჯგუფი 0,51 – 1,00			
1. N ₉	0,60	0,52	1,93	3,71
2. N ₅	0,61	0,61	1,63	2,67
3. N ₄	0,80	0,58	1,98	3,41
4. N ₁₃	0,80	0,41	1,42	3,46
	III ჯგუფი 1,01 და მეტი			
1. N ₁₄	1,20	0,54	0,83	1,53

დანართი 1. მებოსტნეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობათა კოდირება, მათ შესაკუთრეთა გვარების მიხედვით:

1. ბრეგვაძე ლერი - N_1
2. ჭიმაძე ტარიელი - N_2
3. სულაბერიძე თეიმურაზ - N_3
4. ბახტურიძე პეტრე - N_4
5. ჩხიტუნძე ზაური - N_5
6. ყურბანოვი რზა - N_6
7. მიქელაძე ბესო - N_7
8. ბერიშვილი გივი - N_8
9. გოგიბედაშვილი თამაზ - N_9
10. ჩხიტუნძე ილია - N_{10}
11. დეკანოძე გელა - N_{11}
12. მეკოკიშვილი გივი - N_{12}
13. ჭურღაშვილი ბესო - N_{13}
14. კირვალიძე მიშა - N_{14}

ანალიზი და რეკომენდაციები:

მებოსტნეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების დაჯგუფების საფუძველზე სპეციალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით გამოიყო სამი ჯგუფი (ცხრილი 1-ბ). პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,21-0,41 ფარგლებში, მეორე ჯგუფში - 0,41-0,60 ფარგლებში, ხოლო მესამე ჯგუფში - 0,61 და ზევით. დადგინდა, რომ ყველაზე ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,41-0,60 ფარგლებში. რადგან აღნიშნული მეურნეობებისათვის რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი ყველაზე ოპტიმალურია და საშუალოდ შეადგენს 0,50, ხოლო უკუგების დონე საშუალოდ 1,4. ეს ვლინდება იმითაც, რომ პროპორციული დამოკიდებულება ამ ორ მაჩვენებელს შორის, სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე მაღალია და საშუალოდ შეადგენს 3,18.

მეურნეობათა ფართობების მიხედვით დაჯგუფების შედეგადაც (ცხრილი 2-ბ) გამოიყო სამი ჯგუფი, რომელთაგან ყველაზე ოპტიმალური აღმოჩნდა მებოსტნეობის მიმართულების ის ფერმერული

მეურნეობები, რომლებიც გაერთიანდნენ მეორე ჯგუფში და სადაც ბოსტნეული კულტურების ფართობი შეადგენს 2,1-4,0 ჰა-ს, სადაც საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდის 3 ჰექტარი. ამ მეურნეობებისათვის რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარია საშუალოდ 0,50, უკუგების დონე საშუალოდ 1,72, ხოლო პროპორციული დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგებას შორის შეადგენს საშუალოდ 3,48.

რაც შეეხება მოსავლიანობის დონეს, ცხრილი 3-ბ-ს მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ ყველაზე ოპტიმალურია მესამე ჯგუფში გაერთიანებული მეურნეობები (ბოსტნეულის მოსავლიანობა 201 ც/ჰა და მეტი), რადგან ამ შემთხვევაშიც რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ 0,50, უკუგება-საშუალოდ 1,38, ხოლო პროპორცია ამ ორ მაჩვენებელს შორის საშუალოდ 3,21 ია.

საქონლის ფასის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფებითაც გამოიყო სამი ჯგუფი (ცხრილი 4-ბ), რომელთაგან ყველაზე ოპტიმალური აღმოჩნდა მეორე ჯგუფში გაერთიანებული მეურნეობები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 4. ამ ჯგუფში გაერთიანებული ფერმერული მეურნეობები, 1 კგ. ბოსტნეულს ჰყიდიან საშუალოდ 0,51-1,00 ლარად. ასეთ პირობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალია (0,56), მაგრამ უკუგებაც შესაბამისად მაღალია (საშუალოდ 1,78). რაც მიუთითებს აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებულ ფერმერულ მეურნეობებში მოგების მიღების რეალურ შესაძლებლობაზე.

ამრიგად, მებოსტნეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების დაჯგუფებამ სპეციალიზაციის კოეფიციენტის, ფართობის სიდიდის, მოსავლიანობისა და სარეალიზაციო ფასის მიხედვით, შესაძლებლობა მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი დასკვნები, რომელთაც აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

ამ მეურნეობებში მიზანშეწონილია:

1. სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობდეს 0,41-0,60 -მდე;
2. მეურნეობა ოპტიმალურია 2,1-4,0 ჰა-ს პირობებში;
3. საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე უნდა მერყეობდეს 101-200 ცენტნერამდე;
4. საქონლის სარეალიზაციო ფასი სასურველია იყოს 0,51-1,00 ლ.

ის მეურნეობები, რომლებიც გაერთიანებულია პირველ ჯგუფში (ფართობი: 1-2 ჰა; მოსავლიანობა: 1-100 ც/ჰა; ფასი: 0,15-0,50 ლარი; სპეციალიზაციის კოეფიციენტი: 0,21-0,40) მიზანშეწონილია აამაღლონ მოსავლიანობა 200 ც-მდე, ხოლო ფართობი 4,0 ჰა-მდე, რაც გამოიწვევს სპეციალიზაციის გაღრმავებას. ასეთ პირობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი შესაძლებელია იყოს 0,56-მდე, ხოლო უკუგება-1,78. პროპორციულობის კოეფიციენტი იქნება 3,20, რაც უზრუნველყოფს რისკის გამართლებას და საწარმოს მომგებიან საქმიანობას.

II. მეხილეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის:

2.1. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები, სპეციალიზაციის დონის (კოეფიციენტის) მიხედვით

(ცხრილი 1-ხ-ხილი)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი2)	სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	I ჯგუფი			
	0.40 – 0.60			
1. K ₁	0,41	0,65	0,53	0,82
2. K ₁₂	0,41	0,39	1,55	3,97
3. K ₃	0,44	0,74	0,35	0,47
4. K ₄	0,54	0,28	2,64	9,43
5. K ₅	0,54	0,27	2,68	9,93
6. K ₆	0,56	0,66	0,51	0,77
7. K ₇	0,58	0,38	1,60	4,21
8. K ₁₁	0,57	0,44	1,27	2,89
9. K ₉	0,60	0,97	0,04	0,04
	II ჯგუფი			
	0.61 და მეტი			
1. K ₁₀	0,62	0,61	1,10	1,83
2. K ₈	0,73	0,24	3,14	13,08
3. K ₂	0,74	0,32	2,15	6,72
4. K ₁₃	0,84	0,73	0,97	2,59
5. K ₁₄	0,88	0,66	1,52	2,30

2.2. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები, მეურნეობის სიდიდის მიხედვით

(ცხრილი 2-ბ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი2)	ხილის ფართობი, კა	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	<u>I უკუგები</u>			
	<u>1,0 – 3,0</u>			
1. K ₉	1,0	0,97	0,04	0,04
2. K ₁₂	1,5	0,32	2,15	6,72
3. K ₁₀	2,0	0,91	0,10	0,11
4. K ₁	2,5	0,65	0,53	0,82
5. K ₁₁	2,5	0,24	3,14	13,08
6. K ₆	2,5	0,66	0,51	0,77
	<u>II უკუგები</u>			
	<u>3,1 – 5,0</u>			
1. K ₁₄	3,8	0,66	0,52	0,79
2. K ₃	3,7	0,74	0,35	0,47
3. K ₅	4,0	0,27	2,68	9,93
4. K ₇	4,0	0,38	1,60	4,21
5. K ₄	4,0	0,28	2,64	9,43
	5,0			
	<u>III უკუგები</u>			
	<u>5,1 და მეტი</u>			
1. K ₁₃	5,1	0,63	1,37	2,17
2. K ₂	15,0	0,39	1,55	3,97
3. K ₈	30,0	0,44	1,27	2,89

2.3. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და
 უკუგების ღონეები, ძირითადი კულტურის მოსავლიანობის
 მიხედვით

(ცხრილი 3-ბ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი2)	ხილის მოსავლია ნობა, ც/ჰა	რისკის მიზანშეწონ ილობის ეკონომი- კური ზღვარი	რისკის უკუგე- ბის ღონე	პროპორცია რისკის მიზან- შეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u>			
	40 – 60			
1. K ₁₁	48,0	0,73	0,37	0,51
2. K ₁	48,5	0,65	0,53	0,82
3. K ₃	55,0	0,74	0,35	0,47
4. K ₄	55,0	0,66	0,52	0,79
	<u>II ჯგუფი</u>			
	61 – 150			
1. K ₆	100	0,66	0,51	0,77
2. K ₇	150	0,38	1,60	4,21
3. K ₅	120	0,91	0,10	0,11
	<u>III ჯგუფი</u>			
	151 და მეტე			
	160			
1. K ₁₃	180	0,24	3,14	13,08
2. K ₁₀	190	0,27	2,68	9,93
3. K ₂	200	0,39	1,55	3,97
4. K ₈	200	0,44	1,27	2,89
5. K ₁₂	200	0,32	2,15	6,72
6. K ₉	200	0,67	1,04	1,55
7. K ₁₄	250	0,28	2,64	9,43

2.4. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები, ძირითადი სახის პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით

(ცხრილი 4-ბ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი2)	ხილის სარეალიზაციო ფასი, კგ/ლარი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე,	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	<u>I</u> ჯგუფი			
	<u>0,30 – 0,40</u>			
	0,30			
1. K ₁	0,30	0,74	0,97	1,31
2. K ₇	0,30	0,78	1,60	2,05
3. K ₆	0,30	0,66	0,51	0,77
4. K ₃	0,40	0,89	1,55	1,74
5. K ₄	0,40	0,98	1,04	1,06
6. K ₁₂	0,40	0,72	1,15	1,22
7. K ₁₀	0,40	0,91	0,10	0,11
8. K ₉	0,40	0,97	0,04	0,04
	<u>II</u> ჯგუფი			
	<u>0,41 – 0,65</u>			
	0,65			
1. K ₂	0,60	0,27	2,68	9,93
2. K ₈		0,24	3,14	13,08
	<u>III</u> ჯგუფი			
	<u>0,65 და მეტი</u>			
1. K ₁₃	0,70	0,73	0,37	0,51
2. K ₅	0,70	0,74	0,35	0,47
3. K ₁₁	0,70	0,65	0,53	0,82
4. K ₁₄	0,71	0,66	0,52	0,79

დანართი 2. მეხილეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობათა კოდირება, მათ შესაკუთრეთა გვარების მიხედვით:

1. ტურაშვილი თენგიზი – K₁
2. შუბითიძე მამული – K₂
3. საგინაშვილი გელა – K₃
4. მაზმიშვილი ზაქრო – K₄
5. ქობლანიძე მიხეილი – K₅
6. შეკოშვილი ელიზბარი – K₆
7. ფერმერთა ასოციაცია – K₇
8. „საქაშეთი“ – K₈
9. ბერიკაშვილი ედიკა – K₉
10. წიქორიშვილი მერაბი – K₁₀
11. „ალდი“ – K₁₁
12. ბებნაძე მელსინგი – K₁₂
13. ასლამაზაშვილი გია – K₁₃
14. დემეტრაშვილი ტრისტანი – K

ანალიზი და რეკომენდაციები:

მეხილეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების სპეციალიზაციის მიხედვით დაჯგუფებამ გამოავლინა მეურნეობათა ორი ჯგუფი (ცხრილი 1-ხ). პირველ ჯგუფში გაერთიანებულ მეურნეობათა სპეცი-ალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,40-0,60 ფარგლებში, ხოლო მეორე ჯგუფში: 0,61 და მეტი. დაჯგუფების მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,61-ზე მაღალია. ასეთ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი მეტ-ნაკლებად დაბალია და საშუალოდ შეადგენს 0,51, ხოლო რისკის უკუგების დონეც მაღალია და საშუალოდ 1,8-ის ტოლია, ანუ ამ ჯგუფში გაერთიანებული ფერმერული მეურნეობები, ყოველ დახარჯულ 0,51 ლარზე საშუალოდ ღებულობენ 1,8 ლარის შემოსავალს. რაც შეეხება პროპორციულ დამოკიდებულებას რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და რისკის უკუგების დონეს შორის, II ჯგუფში შედარებით მაღალია და საშუალოდ შეადგენს 5,45. რაც იმას ადასტურებს, რომ ამ ჯგუფში შემავალი მეურნეობების მიერ გაწეულ რისკი ამა თუ იმ ღონისძიებაზე გამართლებულია.

ხილის ფართობის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგების (ცხრილი 2-ბ) საფუძველზე გამოიყო მეურნეობათა სამი ჯგუფი. პირველ და მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ ის მეურნეობები, სადაც ხილის ფართობი შესაბამისად მერყეობს 1,0-3,0 ჰა და 3,1-5,0 ჰა. ფარგლებში. ამ მეურნეობებში მაღალია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი, დაბალია და ამავე დროს არაერთგვაროვანი რისკის უკუგების დონე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობების მიერ გაწეული ყოველგვარი რისკი ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, ანუ მოგებას.

რაც შეეხება მესამე ჯგუფს, შეიძლება ითქვას, რომ აქ უკეთესი მდგომარეობაა. აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებული ფერმერული მეურნეობების ხილის ფართობი მაღალია (5,1-30,0 ჰა). რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი ამ მეურნეობებში საშუალოდ შეადგენს 0,48, ხოლო უკუგების დონე კი საშუალოდ 1,39 ტოლია. სხვა ჯგუფებთან შედარებით პროპორციულობის კოეფიციენტიც საკმარის მაღალია (საშუალოდ 3,01) რაც მიუთითებს იმაზე, რომ მე-3 ჯგუფის ფერმერულ მეურნეობებს აქვთ უნარი გასწიონ მაღალი რისკი და მიაღწიონ სასურველ შედეგს.

ხილის მოსავლიანობის მიხედვით ფერმერულ მეურნეობათა დაჯგუფებამაც სამი ჯგუფი გამოავლინა (ცხრილი 3-ბ). პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ მეურნეობები, სადაც ხილის მოსავლიანობა ჰექტარზე 40-60 ცენტნერის ფარგლებშია. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი მაღალია და შეადგენს საშუალოდ 0,72, ხოლო რისკის უკუგების დონე შესაბამისად დაბალია – საშუალოდ 0,42. რაც მიუთითებს იმაზე, რომ პირველი ჯგუფის მეურნეობებში, ყოველ დახარჯულ 0,72 ლარზე მხოლოდ 0,42 ლარის შემოსავალს ღებულობენ. აღნიშნული არაკანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მე-2 ჯგუფის მეურნეობებში, სადაც ხილის მოსავლიანობა ჰექტარზე 61-100 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი ძირითადად მაინც დაბალია, ხოლო უკუგების დონე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული. რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებული მეურნეობების საქმიანობა საბოლოოდ მაინც წამგებიანია. 151 ც. და მეტი მოსავლიანობის მქონე მეურნეობები გაერთიანდნენ III ჯგუფში. ამ

ჯგუფის უპირატესობა წინა ორთან შედარებით საკმაოდ თვალში საცემია, რადგან, მნიშვნელოვნად დაბალი (საშუალოდ 0,37) მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის პირობებში უკუგება მაღალია და საშუალოდ შეადგენს 1,69. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი დასტურდება მაღალი პროპორციულობის კოეფიციენტის მნიშვნელობითაც (საშუალოდ 6,79).

ხილის სარეალიზაციო ფასის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგად გამოიყო სამი ჯგუფი. პირველი ჯგუფი 0,30-0,40 ლარი, მეორე ჯგუფი - 0,41-0,60 ლარი და მესამე ჯგუფი - 0,61 ლარი და მეტი. პირველ ჯგუფში გაერთიანებულ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,85, უკუგება - საშუალოდ 0,51. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ყოველი დახარჯული ლარი ვერ უზრუნველყოფს კლავწარმოების პროცესს და მეურნეობა ზარალიანია. ანალოგიურად შეიძლება ითქვას მესამე ჯგუფში გაერთიანებულ მეურნეობათა შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფში გაერთიანებულ მეურნეობებს ხილის სარეალიზაციო ფასი ყველაზე მაღალი აქვთ (0,70), მეურნეობა მაინც წამგებიანია, ე.ი. ფერმერები ვერ ახერხებენ მთლიანი პროდუქციის რეალიზებას.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის მეურნეობებს, ხილის სარეალიზაციო ფასი მერყეობს 0,41-0,65 ლარის ფარგლებში და უნდა ითქვას, რომ 0,60-0,65 ლარი ყველაზე ოპტიმალური სარეალიზაციო ფასია. რაც დასტურდება იმით, რომ ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი შეადგენს საშუალოდ 0,26 ხოლო რისკის უკუგების დონე თითქმის 3 ტოლია. პროპორციულობის კოეფიციენტი საშუალოდ 11,5.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურდა და სარეკომენდაციოა, რომ მეხილეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, ნაკლები რისკისა და მაღალი უკუგების მისაღებად აუცილებელია:

1. სპეციალიზაციის კოეფიციენტი იყოს 0,61-ზე მაღალი;
2. ხილის ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 5,1 ჰა;
3. ხილის მოსავლიანობა 1 ჰა-ზე შეადგენდეს 151 ცენტნერზე მეტს;
4. ხილის სარეალიზაციო ფასი მერყეობდეს 0,60-0,65 ლარის ფარგლებში

III. შეენახვების მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის:

3.1. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები, სპეციალიზაციის ღონის (კოეფიციენტის) მიხედვით

(ცხრილი 1-ე-ვენახი)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი3)	სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	I კლასი			
	0,21 – 0,40			
	0,27			
1. L ₁	0,39	0,45	0,21	0,47
2. L ₂	0,39	0,81	0,24	0,30
3. L ₃	0,30	0,79	0,26	0,33
4. L ₄	0,33	0,60	0,67	1,12
5. L ₅		0,90	0,11	0,12
	II კლასი			
	0,41 – 0,60			
1. L ₆	0,57	0,67	0,50	0,75
	III კლასი			
	0,61 და მეტი			
1. L ₇	0,90	0,57	1,76	3,09
2. L ₈	1,00	0,69	1,44	2,09
3. L ₉	1,00	1,00	2,00	2,00
4. L ₁₀	1,00	0,60	1,67	2,78
5. L ₁₁	1,00	0,50	1,01	2,02
6. L ₁₂	1,00	0,24	3,09	12,88
7. L ₁₃	1,00	0,97	-0,27	-0,20
8. L ₁₄	1,00	0,37	1,73	4,68

3.2. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები
და უკუგების დონეები, მეურნეობის სიდიდის მიხედვით (ცხრილი 2-ე)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი3)	ვენახის ფართობი, კა	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე,	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის,
	<u>I ჯგუფი</u>			
	<u>0,5 – 3,0</u>			
1. L ₃	0,7	0,79	0,26	0,33
2. L ₁	1,0	0,45	1,21	2,69
3. L ₆	1,5	0,67	0,50	0,75
4. L ₂	2,0	0,81	0,24	0,30
5. L ₁₃	2,0	0,97	-0,27	-0,20
6. L ₇	2,0	0,57	0,76	1,33
7. L ₁₀	2,0	0,60	0,67	1,12
	3,0			
	<u>II ჯგუფი</u>			
	<u>3,1 – 10,0</u>			
1. L ₅	10,0	1,00	0,90	0,90
2. L ₈	10,0	0,69	0,44	0,64
3. L ₄	7,0	0,69	0,67	1,12
	<u>III ჯგუფი</u>			
	<u>10,1 და მეტი</u>			
1. L ₉	16	0,65	1,87	2,88
2. L ₁₁	15	0,50	1,01	2,02
3. L ₁₂	18	0,24	3,09	12,88
4. L ₁₄	37	0,37	1,73	4,68

3.3. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები

და უკუგების დონეები, ძირითადი კულტურის მოსაეღიანობის მიხედვით

(ცხრილი 3-ე)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი3)	ვენახის მოსაეღიანობა, ც/ჰა	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	<u>I უკუგები</u>			
	<u>40 – 65</u>			
1. L ₃	40,0	1,00	0,00	0,00
2. L ₅	55,0	0,90	0,11	0,12
3. L ₈	65,0	0,69	0,44	0,64
4. L ₄	65,0	0,60	0,67	1,12
5. L ₂	60,0	0,81	0,24	0,30
	<u>II უკუგები</u>			
	<u>66 – 100</u>			
1. L ₁₀	66,0	0,60	1,67	2,78
2. L ₇	71,0	0,57	1,76	3,09
3. L ₁₄	75,0	0,37	1,73	4,68
4. L ₉	80,0	0,59	2,26	3,83
5. L ₁₁	71,0	0,50	1,01	2,02
6. L ₁₂	85,0	0,24	3,09	12,9
7. L ₆	85,0	0,67	1,50	2,24
	100,0			
	<u>III უკუგები</u>			
	<u>101 და მეტი</u>			
1. L ₆	105	0,96	0,14	0,14
2. L ₁₃	120	0,97	0,27	0,20

3.4. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები, ძირითადი სახის პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით

(ცხრილი 4-

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი3)	ყურძნის სარეალიზაციო ფასი, კგ/ლარი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცია რისკის მიზან-შეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	I უკუფი 0,30 – 0,50			
1. L ₆	0,30	0,67	0,50	0,75
2. L ₃	0,30	0,79	0,26	0,33
3. L ₂	0,35	0,81	0,24	0,30
4. L ₄	0,40	0,60	0,67	1,12
5. L ₁₃	0,40	0,97	-0,27	-0,20
6. L ₇	0,40	0,57	0,76	1,33
7. L ₁	0,40	0,45	1,21	2,69
8. L ₁₁	0,40	0,50	1,01	2,02
9. L ₁₀	0,45	0,60	0,67	1,12
10. L ₅	0,50	0,90	0,11	0,12
	0,40			
	II უკუფი 0,51 და მეტი			
1. L ₁₄	0,80	0,37	1,73	2,47
2. L ₈	0,87	0,69	1,44	2,09
3. L ₉	0,87	1,00	1,00	1,00
4. L ₁₂	1,30	0,24	2,09	8,71

დანართი 3. მვენახეობის მიმართულებათა ფერმერულ მეურნეობათა კოდირება, მათ შესაკუთრეთა გვარების მიხედვით:

1. კობერიძე გელა - L₁
2. გეწაძე თამაზი - L₂
3. მჭედლიშვილი გიორგი - L₃
4. მებაღიშვილი გელა - L₄
5. ოსეფაშვილი გია - L₅
6. კობახიძე გელა - L₆
7. სოხაშვილი ელგუჯა - L₇
8. ლამაზოშვილი ჰამლეტი - L₈
9. ქეცხიშვილი ნოდარი - L₉
10. კაკიშვილი პაატა - L₁₀
11. ლალიძე დათო - L₁₁
12. ცაცაბაშვილი სეზმანი - L₁₂
13. თედიაშვილი ელგუჯა - L₁₃
14. ბაჩიაშვილი იოსები - L₁₄

ანალიზი და რეკომენდაციები:

მვენახეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების

სპეციალიზაციის მიხედვით დაჯგუფებამ გამოავლინა მეურნეობათა სამი ჯგუფი (ცხრილი 1-ვ). პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ის მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,20-0,40 ფარგლებში, მეორე ჯგუფში: 0,41-0,60, ხოლო მესამე ჯგუფში მოთავსდა ის მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის დონე 0,61-ზე მაღალია. დაჯგუფების მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,61-ზე მაღალია. ასეთ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი, სხვა ჯგუფებებთან შედარებით დაბალია და საშუალოდ შეადგენს 0,62, ხოლო რისკის უკუგების დონე მაღალია და საშუალოდ 1,55-ის ტოლია, ანუ ამ ჯგუფში გაერთიანებული ფერმერული მეურნეობები, საშუალოდ ყოველ დახარჯულ 0,61 ლარზე ღებულობენ 1,55 ლარის შემოსავალს. მესამე ჯგუფში შემაგალ

მეურნეობათა ოპტიმალურობაზე მიუთითებს ისიც, რომ პროპორციული დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და რისკის უკუგების დონეს შორის, სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე მაღალია და საშუალოდ შეადგენს 3,67. რაც იმას ადასტურებს, რომ ამ ჯგუფში შემაჯავლი მეურნეობების მიერ გაწეული რისკი ამა თუ იმ დონისძიებაზე – გამართლებულია.

მეტად საინტერესოა ვენახის ფართობის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგები (ცხრილი 2-ე). ამ მაჩვენებლის მიხედვითაც გამოიყო მეურნეობათა სამი ჯგუფი. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ის მეურნეობები, სადაც ვენახის ფართობი მერყეობს 0,5-3,0 ჰა-ს შორის. ამ მეურნეობებში მაღალია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი (საშუალოდ 0,76) და დაბალია რისკის უკუგების დონე (საშუალოდ 0,31), რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობების მიერ გაწეული ყოველგვარი რისკი ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, ანუ მოგებას.

პირველ ჯგუფთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ უარესი მდგომარეობაა მევენახეობის მიმართულების იმ მეურნეობებში, სადაც ვენახის ფართობი 3,1-10,0 ჰექტარია (2 ჯგუფი). რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი ამ მეურნეობებში საშუალოდ შეადგენს 0,78, ხოლო უკუგების დონე საშუალოდ შეადგენს 0,28. შესაძლებელია ეს მონაცემები ერთი შეხედვით არ იყოს საგანგაშო, მაგრამ ტენდენცია აშკარად უარყოფითია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მევენახეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობა, რომელიც ფლობს 10 ჰა-მდე ვენახის ფართობს, არსებულ პირობებში შესაძლებელია ზარალიანი იყოს.

მე-3 ჯგუფში გაერთიანდნენ ის მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 10,1 ჰა და ზევით ვენახის ფართობს, ანუ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით საშუალოდ 23 ჰა-ს. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,44, უკუგების დონე საშუალოდ 1,93 და პროპორციულობის კოეფიციენტი საშუალოდ – 4,39. სხვა ჯგუფებთან შედარებით პროპორციულობის კოეფიციენტის ასეთი მაღალი დონე მიუთითებს იმაზე, რომ მე-3 ჯგუფის ფერმერულ მეურნეობებს აქვთ უნარი გასწიონ მაღალი რისკი და მიადწიონ სასურველ შედეგს ანუ გაზარდონ მოგება.

ყურძნის მოსავლიანობის მიხედვით ფერმერულ მეურნეობათა დაჯგუფებამ კვლავ სამი ჯგუფი გამოავლინა (ცხრილი 3-ე). პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ მეურნეობები, სადაც ყურძნის მოსავლიანობა

ჰექტარზე 40-65 ცენტნერის ფარგლებშია. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი მაღალია და საშუალოდ შეადგენს 0,81, ხოლო რისკის უკუგების დონე შესაბამისად დაბალია საშუალოდ—0,24. რაც მიუთითებს იმაზე, რომ პირველი ჯგუფის მეურნეობებში, საშუალოდ ყოველ დახარჯულ 0,81 ლარზე მხოლოდ 0,24 ლარის შემოსავალს ღებულობენ. აღნიშნული არაკანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მე-2 ჯგუფის მეურნეობებში, სადაც ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე 66-100 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი დაბალია და საშუალოდ შეადგენს 0,36, ხოლო რისკის უკუგების დონე საშუალოდ 1,80-ს. პროპორციულობის კოეფიციენტი საშუალოდ შეადგენს 4,6. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ჯგუფში შემავალი მეურნეობების მიერ გამართლებულია რისკის გაწევა ამა თუ იმ ღონისძიების გასატარებლად. მე-3 ჯგუფის მეურნეობებში, სადაც ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე 101 და მეტი ცენტნერია, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,93, ანუ ისინი ზარალით ამთავრებენ სამეურნეო წელს.

მეურნეობათა დაჯგუფების შედეგად გამოვლინდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: არსებული საწარმოო რესურსების პირობებში (და არა აბსოლუტური გაგებით) გამოიყოფა მოსავლიანობის ოპტიმალური ზღვარი, რომლის ზევით მოსავლიანობის ზრდა ეკონომიკურ შედეგს არ იძლევა და შესაძლებელია ზარალიც გამოიწვიოს. სწორედ ამ ჯგუფში შემავალ მეურნეობებში, სადაც მოსავლიანობა ჰაზე 105-120 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს, რისკის უკუგების დონე 0-ზე დაბალია (ყოველ დახარჯულ ლარზე ზარალი შეადგენს 0,23 ლარს). აქედან გამომდინარე, შეიძლება დაეასკენათ, რომ ამჟამად, მკვანახეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის საშუალო საპექტარო მოსავლიანობის ოპტიმალური ზღვარია 66-100 ცენტნერის ფარგლებში, ხოლო ფართობისა 23-25 ჰექტარი.

ყურძნის სარეალიზაციო ფასის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთა ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფი 0,30-0,50 ლარი. ამ ჯგუფში გაერთიანებულ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,65, უკუგება საშუალოდ—0,55. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ყოველი დახარჯული ლარი ვერ უზრუნველყოფს კვლავწარმოების პროცესს.

მეორე ჯგუფის მეურნეობებში, ყურძნის სარეალიზაციო ფასი მერყეობს 0,51-1,30 ლარის ფარგლებში. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,37 და 0,28 ერთეულით ნაკლებია პირველი ჯგუფის მეურნეობებთან შედარებით. ასევე მაღალია რისკის უკუგების ღირებულება, იგი 3-ჯერ აღემატება პირველი ჯგუფის მეურნეობების შესაბამის მაჩვენებელს და საშუალოდ შეადგენს 1,67, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი კი საშუალოდ 4,5.

ყურძნის სარეალიზაციო ფასის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფებაში გვიჩვენა, რომ ვენახის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიურ პროცესებზე გაწეული ხარჯები იმდენად მაღალია, რომ გარანტირებული მოგების მისაღებად, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებულ კვლავწარმოებას, აუცილებელია 1 ცენტნერი ყურძნის მინიმალური სარეალიზაციო ფასი მერყეობდეს არანაკლებ 65-70 ლარის ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. ყველა ფერმერი ცდილობს, რაც შეიძლება მაღალ ფასად გაყიდოს მის მიერ წარმოებული პროდუქცია და შეინარჩუნოს მყარი პოზიცია ბაზარზე, მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, მათ ამის პრაქტიკული შესაძლებლობა არ გააჩნიათ. იმის გამო, რომ ფერმერთა უმრავლესობას არ გააჩნია ყურძნის გასაღების საშუალება, ან უკეთეს შემთხვევაში გარანტირებული ბაზარი, იგი იძულებულია დაბალ ფასად მიყიდოს ყურძენი სოფელში ბითუმად მოვაჭრეს. რაც შეეხება ღვინის ქარხნებს, ისინი ბუნებრივია ცდილობენ დაბალ ფასად (0,30 ლარი) და შეზღუდული რაოდენობით შეიძინონ ყურძენი. რადგან ღვინის ქარხნებსაც არ გააჩნიათ ღვინის რეალიზაციის გარანტირებული ბაზარი. რაც დასტურდება ჩვენი გამოკვლევებითაც.

შემოთ თქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში მცხოვრებ ფერმერს (L₁₂) საკუთრებაში აქვს 18 ჰა-ზე გაშენებული სრულმოსავლიანი „საფერავი“-ს ჯიშის ვენახი, საკუთარი ღვინის ქარხანა 800 ტონა წარმადობის, ქარხანაში დამონტაჟებულია იტალიური წარმოების ტექნოლოგიური ხაზი, აქვს ღვინის შესანახი რეზერვუარები (24 ცალი), თითო 16 ტონიანი. ქარხანას უკავია 3000მ² ფართობი. აქვს სატვირთო ავტომანქანები და ტრაქტორები შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით. სულ ძირითადი ქონების ღირებულება შეადგენს 487,0 ათას ლარს. საკუთარი ფულად სახსრების ოდენობა შეადგენს 165,0 ათას ლარს. ყურძნის

საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 90-95 ცენტნერია, საშუალო სარეალიზაციო ფასი—1,30 ლარი. ფერმე-რმა 2007 წლიდან თანდა-თანობით დაკარგა ღვინის ბაზარი, რის გამოც ვერ ახდენს ღვინის რეალიზაციას. სახეზე აქვს 384 ტონა ღვინო, რომლის რეალიზაციას ვერ ახდენს და ძვირი უჯდება მისი შენახვა. მეურნეობა ასეთ გარემოში კარგავს მდგრადობას და თანდათანობით გადახდისუნარიანობას ხდება. 2009 წლის 1 იანვრი-სთვის მეურნეობის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი 2,1-დან დაეცა 1,3-მდე. ფერმერი სხვადასხვა მეთოდებით ცდილობს ბაზა-რზე დარჩენას, მაგრამ მის ხელთ არსებული ფინანსური რესურსები დიდხანს ვერ მისცემს ამის შესაძლებლობას. ასეთია ის გარემო პირობები, რომელშიც ფერმერს უხდება საქმიანობა.

მევენახეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობათა თითქმის 57% ყურძენს ჰყიდის 0,30-0,40 ლარის ფარგლებში. რაც იწვევს ფერმერთა საკუთარი სახსრების შემცირებას და მო-ზიდულ სახსრებზე მოთხოვნილების ზრდას. ფერმერი იძულებულია დამოკიდებული იყოს გარე დაფინანსებაზე, აილოს კრედიტი (რაც უმეტესად მიუღწეველია) ან ემუხოს სხვა წყარო. ამ დროს ეცემა მდგრადობის დონე, საწარმო კარგავს გადახდისუნარიანობას და იწყება გაკოტრების პროცესი.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა იმ ფერმერულ მეურნე-ობებში, სადაც სარეალიზაციო ფასი 0,80-1,00 ლარის ფარგლებ-ში მერყეობს. ამ დროს იზრდება საკუთარი სახსრების მოცულო-ბა, მცირდება მოთხოვნა გარე დაფინანსებაზე და იზრდება საწა-რმოს მდგრადობის დონე. ჩვენი გაანგარიშებით ამ ჯგუფის საწარმოებში მდგრადობის დონე საშუალოდ შეადგენს 0,58, რაც მიუთითებს მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესე-ბაზე და გადახდისუნარიანობის დონის ამაღ-ლებაზე.

მევენახეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობათა უმრავ-ლესობას მცირე რაოდენობის საწარმოო ფონდი გააჩნია, რის გამოც დაბალია ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელი და საშუალოდ 1 ჰექტარზე 80-850 ლარის ფარგლებში მერყეობს.

IV. მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერული მეურ- ნეობებისათვის:

(ყველა ამ მეურნეობაში სპეციალიზაციის კოეფიციენტი შეადგენას 1.0)

4.1 რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები

და უკუგების დონეები, მეურნეობის სიდიდის მიხედვით

(ცხრილი 1-ც-ციტრუსი)

მეურნეო- ბათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი4)	ციტრუსის ფართობი, ჰა	რისკის მიზანშეწონ ილობის ეკონომი- კური ზღვარი	რისკის უკუგებ ის დონე	პროპორცია რისკის მიზან- შეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u> <u>0,1 – 2,0</u>			
1. M ₁	0,25	0,73	0,98	1,34
2. M ₂	0,55	0,61	1,20	1,97
3. M ₃	0,30	0,64	1,00	1,56
4. M ₄	0,40	0,64	0,95	1,32
5. M ₅	0,50	0,55	1,00	1,82
6. M ₆	1,0	0,71	1,00	1,41
7. M ₇	0,8	0,72	0,90	1,25
8. M ₈	1,8	0,72	0,90	1,25
	<u>II ჯგუფი</u> <u>2,1 და მეტი</u>			
1. M ₉	20,0	0,46	1,31	2,85
2. M ₁₀	23,0	0,65	1,33	2,05

4.2. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები
და უკუგების დონეები, მოსავლიანობის მიხედვით

(ცხრილი 2-ც)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი4)	ციტრუსის მოსავლიანობა, ც/ჰა	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u> <u>22 – 150</u>			
1. M ₅	22,0	0,75	1,33	1,77
2. M ₆	90,0	0,86	1,31	1,52
3. M ₁	70,0	0,74	1,66	2,24
	<u>II ჯგუფი</u> <u>151 – 250</u>			
1. M ₄	175	0,43	1,30	3,02
2. M ₂	200	0,37	1,70	4,60
3. M ₃	220	0,48	1,10	2,30
4. M ₇	240	0,38	1,60	4,21
5. M ₉	250	0,42	1,30	3,10
6. M ₁₀	240	0,55	1,00	1,82
	<u>III ჯგუფი</u> <u>251 და მეტი</u>			
1. M ₈	396	0,72	0,39	0,54

4.3. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები, სარეალიზაციო ფასის მიხედვით

(ცხრილი 3-ც)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი4)	ციტრუსის სარეალიზაციო ფასი, კგ/ლარი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	I ჯგუფი			
	<u>0,28 –</u>			
	<u>0,30</u>			
1. M ₆	0,28	0,71	0,41	0,58
2. M ₈	0,30	0,72	0,39	0,54
3. M ₁	0,30	0,73	0,38	0,52
4. M ₂	0,30	0,61	0,63	1,03
5. M ₄	0,30	0,64	0,56	0,88
6. M ₅	0,30	0,55	1,00	1,82
	II ჯგუფი			
	<u>0,31 და</u>			
	<u>ზევით</u>			
1. M ₉	0,35	0,48	1,07	2,00
2. M ₃	0,37	0,53	0,85	1,60
3. M ₇	0,40	0,45	1,23	2,72
4. M ₁₀	0,40	0,47	1,13	2,40

დანართი 4. მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობათა კოდირება, მათ შესაკუთრეთა გვარების მიხედვით:

1. ყურშებიძე ასლანი – M₁
2. ჯაში დაეთი – M₂
3. ხინიკაძე მერაბი – M₃
4. ჯაში ლევანი – M₄
5. ჩხაიძე რომანი – M₅
6. შარაძე გურამი – M₆
7. სამანიძე ლერი – M₇
8. ფუტყარაძე რომანი – M₈
9. კუნჭულია ნოშრევანი – M₉
10. შპს „წვერმაღალა“ – M₁₀

ანალიზი და რეკომენდაციები:

მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში, ჩატარებული კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ შესწავლილი მეურნეობები ღრმად სპეციალიზირებულნი არიან, ანუ სპეციალიზაციის კოეფიციენტი თითქმის ყველა მეურნეობაში ერთის ტოლია. ეს ის შემთხვევაა, როცა მცირდება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი და იზრდება რისკის უკუგების დონე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტიპის მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი დაბალია, ხოლო უკუგება-მაღალი და შესაბამისად მაღალია მათ შორის პროპორციულობის კოეფიციენტიც.

მეურნეობათა დაჯგუფებამ ციტრუსის ფართობის მიხედვით, გამოავლინა მეურნეობათა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში გაერთიანდა ის მეურნეობები, სადაც ციტრუსის ფართობი მერყეობს 0,1-2,0 ჰექტარის ფარგლებში (ცხრილი 1-ც). ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,68, უკუგება, საშუალოდ – 1,0, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი ამ ორ მაჩვენებელს შორის საშუალოდ 1,5 ტოლია. შეიძლება ითქვას, რომ პირველ ჯგუფში გაერთიანებული მეურნეობები ვერ გასწვევენ მაღალ რისკს, რადგან ისინი ყოველ დახარჯულ 0,68 ლარზე ღებულობენ მხოლოდ 1,0 ლარს, რაც ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის კელავწარმოების პროცესს.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მეორე ჯგუფის მეურნეობებში, სადაც ციტრუსის ფართობი 2,1 ჰექტარზე მეტია, ჩვენს შემთხვევაში 20,0-23,0 ჰექტარის ფარგლებში მერყეობს. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 0,55, რისკის უკუგება საშუალოდ 1,32 და პროპორციულობის კოეფიციენტი საშუალოდ 2,5. ამ მაჩვენებლების მიხედვით დასტურდება, რომ მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობა ოპტიმალურია იმ შემთხვევაში თუ ციტრუსის ფართობი საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით არის არანაკლებ 20 ჰექტარი.

საინტერესოა დაჯგუფების შედეგები ციტრუსის მოსავლიანობის მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვითაც გამოიყო მეურნეობათა სამი ჯგუფი (ცხრილი 2-ც). იმ მეურნეობებში, სადაც მოსავლიანობა 22-150 ცენტნერის ფარგლებშია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი მერყეობს 0,56-0,65, ხოლო უკუგება კი 1,31-1,66 ფარგლებში. პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგებას შორის შეადგენს 2,05-2,56.

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ის მეურნეობები, რომელთა მოსავლიანობა ჰექტარზე 151-250 ცენტნერამდე მერყეობს. საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი ამ ჯგუფში საშუალოდ შეადგენს 0,43, რისკის უკუგების დონე საშუალოდ 1,31, პროპორციულობის კოეფიციენტი საშუალოდ 3,05.

მონაცემების მიხედვით მეორე ჯგუფის მეურნეობებიდან მოსავლიანობის ოპტიმალურ დონედ შეიძლება ჩათვალოს ის მეურნეობა, რომლის მოსავლიანობა ჰექტარზე შეადგენს 200 ცენტნერს. ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,37, უკუგება, საშუალოდ— 1,7 და პროპორციულობის კოეფიციენტი კი საშუალოდ 4,6.

გამოიკვეთა ერთი კანონზომიერებაც, მოსავლიანობის მატებასთან ერთად (220-240ც.) მცირდება რისკის უკუგების დონე. რაც უფრო მაღალია მოსავლიანობა (251 ც. და მეტი) მით უფრო მცირდება რისკის გაწვევის შანსი. ამას ადასტურებს მესამე ჯგუფში მოქცეული კონკრეტული M_3 მეურნეობის მონაცემები, სადაც ციტრუსის მოსავლიანობა ჰექტარზე შეადგენს 396ც. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი თითქმის ორჯერ აღემატება მეორე ჯგუფში შემავალი მეურნეობების საშუალო მაჩვენებელს, ხოლო უკუგების დონე კი 3,4

ვერ ნაკლებია. ეს მიუთითებს სწორედ იმ კანონზომიერებაზე, რასაც წარმოების ოპტიმალური დონე ჰქვია. კვლევის შედეგად დასტურდება, რომ მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის ოპტიმალურია ციტრუსის მოსავლიანობა ჰექტარზე 200-240 ცენტნერი.

ციტრუსის სარეალიზაციო ფასის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგად გამოიყო მეურნეობათა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შევიდა ის მეურნეობები, რომლებიც 1 კგ. ციტრუსს 0,28-0,30 ლარის ფარგლებში ჰყიდიან. ასეთი სარეალიზაციო ფასი იმდენად მცირეა, რომ მეურნეობები თითქმის ვერ ახერხებენ განვითარებას. ამ ჯგუფის მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით შეადგენს 0,68, ხოლო უკუგების დონე საშუალოდ—0,46, ანუ ამ ჯგუფის მეურნეობებში ყოველ დახარჯულ ლარზე მხოლოდ 0,46 ლარის შემოსავალი მიიღება. ასეთი ტენდენცია აშკარად აიძულებს ფერმერს დამოკიდებული იყოს მოზიდულ სახსრებზე. ამ დროს ეცემა მდგრადობის დონე და მეურნეობა კარგავს სიცოცხლისუნარიანობას. შედარებით მომგებიანი პოზიციები აქვთ იმ ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც 1 კგ. ციტრუსს 0,31 და მეტ ლარად (0,31-0,40ლარი) ჰყიდიან.

ანალიზით დადგინდა, რომ ფერმერები, რომლებიც 1 ც. ციტრუსს 40 ლარად ჰყიდიან, ფინანსური მდგომარეობა უფრო მდგრადი აქვთ, ანუ იზრდება საკუთარი სახსრების მოცულობა და მეურნეობა ნაკლებად არის დამოკიდებული მოზიდულ სახსრებზე.

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური დონეების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა და სარეკომენდაციოა, რომ:

მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის ღრმა სპეციალიზაციის პირობებში (სპეციალიზაციის კოეფიციენტი—1) ოპტიმალურად ითვლება 20-23 ჰექტარი ციტრუსის ფართობი და მოსავლიანობა 220-240 ც. ამ შემთხვევაში სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი იქნება 0,43-0,46 ფარგლებში, რისკის უკუგების დონე 1,31-1,33 შორის, ხოლო დამოკიდებულება (პროპორცია) ამ ორ მაჩვენებელს შორის 2,05-3,05 ფარგლებში, ანუ 43-46% -იანი რისკის პირობებში 1,5-2,3—ჯერ მეტი მოგების მიღება შეიძლება.

V. მეჩაიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის:

(ვევლა ამ მეურნეობაში საციალიზაციის კოეფიციენტი შეადგენას 1.0)

5.1 რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები, მეურნეობის სიდიდის, მოსავლიანობის დონისა და სარეალიზაციო ფასის მიხედვით

(ცხრილი 1-ჩ-ჩაი)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი 5)	სპეციალიზაციის კოეფიციენტი	ჩაის ფართობი, სულ/მ.შ. მოსავლიანი, ჰა	ჩაის მოსავლიანობა, ც/ჰა	ჩაის ნედლეული საარეალიზაციო ფასი კგ/ლარი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
1. T ₁	1,0	68/12	6,0	0,50	0,80	0,25	0,31
2. T ₂	1,0	24	5,8	0,50	0,71	0,43	0,61
3. T ₃	1,0	8	6,6	0,80	0,68	0,13	0,15
4. T ₄	1,0	130/60	6,2	0,50	0,84	0,03	0,03

დანართი 5. მეჩაიეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობათა კოდირება, მათ შესაკუთრეთა გვარების მიხედვით:

1. შპს „კოლხეთი“ - T_1
2. გუჯაბიძე ზინა - T_2
3. საქართველოს თაიგული - T_3
4. თურმანიძე გივი - T_4

ანალიზი და რეკომენდაციები:

ანალიზით დადგინდა, რომ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე 5,8-6,6 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს, რაც ჩვენი აზრით დაბალია და არასრულფასოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით უნდა აიხსნას. აგროტექნიკური ღონისძიების გატარების შედეგად ამ ეტაპზე შესაძლებელია ჰექტარზე მიღებული იქნას 15-20 ცენტნერი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეჩაიეობა, ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ღრმა ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისში იმყოფება. ამ კრიზისის დასაძლევად აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა დარგის ასაღორძინებლად, რადგან ჩაის კულტურას დასაველეთ საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია. იქ არსებულ ნიადაგებზე მხოლოდ ჩაის კულტურას შეუძლია მაქსიმალური მოგების მოცემა. ამჟამად, ეს დარგი სამოყვარულო ღონეზეა, არსებული მონაცემების მიხედვით 1 კგ. ჩაის ფოთლის ღირებულება შეადგენს 0,50 ლარს, რაც ძალზე დაბალია. ასევე დაბალია ჩაის მოელა-მოყვანაზე გაწეული ხარჯები (საშუალოდ 1 ჰა-ზე 542 ლარი). ეს მონაცემები ფაქტიურად არ იძლევა სწორი მეცნიერული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

არსებული მონაცემების მიხედვით, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 0,68-0,84 ფარგლებში მერყეობს, რაც ჩვენი აზრით მაღალია და ფერმერს ვერ მისცემს შესაძლებლობას დასაბუთებულად გასწიოს რისკი. მეჩაიეობაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 0,35-0,45 - ს, რაც უზრუნველყოფს რისკის უკუგების მაღალ ღონეს.

VI. მემარცვლეობის მიმართულების ფერმერული

მეურნეობებისათვის:

11. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები, სპეციალიზაციის დონის (კოეფიციენტის) მიხედვით

(ცხრილი 1-მ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი 1)	სპეციალიზაციის კოეფიციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე,	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	I ჯგუფი			
	<u>0.30 –</u>			
	<u>0.50</u>			
1. C ₁	0,32	0,45	1,19	2,65
2. C ₂	0,41	0,69	0,45	0,65
3. C ₃	0,45	0,62	0,60	0,90
	II ჯგუფი			
	<u>0.51 –</u>			
	<u>0.70</u>			
1. C ₄	0,57	0,64	0,55	0,86
2. C ₅	0,60	0,65	0,53	0,82
3. C ₆	0,62	0,56	0,80	1,43
4. C ₇	0,65	0,98	0,03	0,03

5. C ₈	0,64	0,44	1,29	2,93
6. C ₉	0,69	0,90	0,11	0,12
7.C ₁₀	0,70	0,61	0,64	1,05
8. C ₁₁	0,51	0,63	0,58	0,93
	III			
	ჯანუარი			
	0,71 და			
	მეტი			
1.C ₁₂				
2.C ₁₃	0,73	0,60	0,66	1,10
3.C ₁₄	0,76	0,48	1,06	2,21
4.C ₁₅	0,79	0,71	0,41	0,58
5.C ₁₆	0,79	0,23	3,43	14,9
6.C ₁₇	0,81	0,56	0,78	1,39
7.C ₁₈	0,82	0,48	1,07	2,23
8.C ₁₉	1,00	0,64	0,55	0,86
9.C ₂₀	1,00	0,66	0,51	0,77
10.C ₂₁	1,00	0,45	1,21	2,69
11.C ₂₂	1,00	0,93	0,08	0,09
12.C ₂₃	1,00	0,74	0,35	0,47
13.C ₂₄	1,00	0,98	-0,10	-0,10
14.C ₂₅	1,00	0,68	0,47	0,69
15.C ₂₆	1,00	0,83	0,20	0,24
	1,00	0,95	0,06	0,06
	1,00	0,56	0,80	1,43

1.2. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები, მეურნეობის სიდიდის მიხედვით

(ცხრილი 2-მ)

მეურნეო-ბათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი1	მარცვლეულის ფართობი, კა	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების დონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u> <u>1 - 20</u>			
1. C ₆	1,20	0,56	0,80	1,43
2. C ₁	2,00	0,45	1,19	2,65
3. C ₁₈	3,00	0,64	0,55	0,86
4. C ₂₆	6,00	0,95	0,05	0,05
5. C ₈	7,00	0,44	1,29	2,93
6. C ₁₉	8,00	0,66	0,51	0,77
7. C ₃	12,0	0,62	0,60	0,97
8. C ₄	16,5	0,64	0,55	0,86
9. C ₁₁	18,0	0,63	0,58	0,93
10. C ₇	20,0	0,98	0,03	0,03
11. C ₂₅	15,0	0,83	0,20	0,24
	<u>II ჯგუფი</u> <u>21 - 50</u>			
1. C ₅	21	0,48	1,09	2,81
2. C ₁₅	25	0,36	1,74	4,83
3. C ₂	25	0,49	1,02	2,08
4. C ₁₇	50	0,48	1,07	2,23
5. C ₁₀	35	0,50	1,00	2,00
6. C ₂₂	26	0,40	1,48	3,70
7. C ₁₂	28	0,45	1,20	2,67

<u>III ჯგუფი</u>				
<u>51 - 80</u>				
1. C ₂₀				
2. C ₁₆	58	0,45	1,21	2,69
3. C ₂₁	69	0,56	0,78	1,39
4. C ₂₃	70	0,93	0,08	0,09
5. C ₁₃	55	0,83	0,72	0,86
6. C ₁₄	54	0,48	1,06	2,21
7. C ₂₇	77	0,71	0,41	0,58
	80	0,56	0,80	1,43
<u>IV</u>				
<u>ჯგუფი</u>				
<u>81 და</u>				
<u>მეტე</u>				
1. C ₂₄	90	0,68	0,47	0,69
2. C ₉	150	0,90	0,11	0,12

13. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები ძირითადი კულტურის მოსავლიანობის მიხედვით

(ცხრილი 3-მ)

მეურნეობა-თა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი1)	მარცვლეულის მოსავლიანობა, ც/ჰა	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u> <u>1 – 20</u>			
1. C ₉	30,0	0,90	0,11	0,12
2. C ₄	17,6	0,64	0,55	0,86
3. C ₁₁	18,6	0,63	0,58	0,93
4. C ₂₃	17,0	1,12	-0,10	-0,01
5. C ₇	20,0	0,98	0,03	0,03
	<u>II ჯგუფი</u> <u>21 – 30</u>			
1. C ₂₅	21,0	0,83	0,20	0,24
2. C ₂₁	24,3	0,93	0,08	0,09
3. C ₂₄	25,0	0,68	0,47	0,69
4. C ₂₂	24,0	0,74	0,35	0,47
5. C ₃	22,0	0,62	0,60	0,97
6. C ₂	26,0	0,69	0,45	0,65
7. C ₂₆	28,0	0,95	0,05	0,05
8. C ₁₈	30,0	0,64	0,55	0,86
9. C ₂₀	30,0	0,45	1,21	2,69
10. C ₁₄	30,0	0,71	0,41	0,58

	<u>III კვლევა</u> <u>31 დს</u> <u>მუცო</u>			
1. C ₁₉	31,0	0,66	0,51	0,77
2. C ₁	31,0	0,48	1,09	2,27
3. C ₁₇	31,2	0,48	1,07	2,23
4. C ₁₀	31,2	0,61	0,64	1,05
5. C ₁₂	31,2	0,60	0,66	1,10
6. C ₈	35,0	0,44	1,29	2,93
7. C ₆	37,0	0,56	0,80	1,43
8. C ₂₇	33,0	0,56	0,80	1,43
9. C ₁₃	38,6	0,48	1,06	2,21
10. C ₅	50,0	0,45	1,19	2,65
11. C ₁₅	50,0	0,23	3,43	14,9
12. C ₁₆	42,0	0,56	0,78	1,39

1.4. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და

უკუგების ღონეები ძირითადი სახის პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით

(ცხრილი 4-მ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი)	მარცვლეულის სარეალიზაციო ფასი, კგ/ლარი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	<u>1 ჯგუფი</u> <u>0,30 – 0,50</u>			
1. C ₂₅				
2. C ₁₃	0,30	0,83	0,20	0,24
3. C ₁₉	0,32	0,48	1,06	2,21
4. C ₂₆	0,36	0,66	0,57	0,77
5. C ₂₂	0,38	0,95	0,05	0,05
6. C ₇	0,40	0,74	0,35	0,47
7. C ₁₁	0,40	0,98	0,03	0,03
8. C ₁₆	0,45	0,63	0,58	0,93
9. C ₂₀	0,42	0,56	0,78	1,39
10. C ₆	0,45	0,45	1,21	2,69
11. C ₅	0,45	0,56	0,80	1,43
12. C ₁	0,45	0,48	1,09	2,87
13. C ₉	0,50	0,45	1,19	2,65
14. C ₂₁	0,50	0,90	0,11	0,12
15. C ₂	0,48	0,69	0,45	0,65
16. C ₂₇	0,50	0,56	0,80	1,43
17. C ₂₃	0,50	1,12	-0,10	-0,01
18. C ₂₄	0,50	0,68	0,47	0,69
19. C ₁₂	0,50	0,60	0,66	1,10
20. C ₁₄	0,50	0,71	0,41	0,58

	<u>II კატეგორია</u> <u>0,51 – 0,60</u>			
1. C ₈	0,60	0,44	1,29	2,93
2. C ₄	0,60	0,37	1,72	4,64
3. C ₁₀	0,60	0,61	0,64	1,05
4. C ₁₇	0,56	0,48	1,07	2,23
5. C ₁₅	0,60	0,23	3,43	14,9
	<u>III კატეგორია</u> <u>0,61 და</u> <u>მეტე</u>			
1. C ₁₈	0,70	0,64	0,55	0,86
2. C ₃	0,87	0,62	0,60	0,97

დანართი 1

1. გაბრიჭიძე იური - C₁
2. ნადირაშვილი ბესიკ - C₂
3. ლოლაძე ვაჟა - C₃
4. ოზბეთელაშვილი თემური - C₄
5. გაბრიჭიძე ზურაბი - C₅
6. ხაზარაშვილი მურთაზი - C₆
7. ჩალაბაშვილი ემზარი - C₇
8. ღონღაძე სერგო - C₈
9. რამაზაშვილი გიორგი - C₉
10. კველიშვილი გიორგი - C₁₀
11. გიორგაძე დავითი - C₁₁
12. კიკვაძე შოთა - C₁₂
13. ძნელაძე ტრისტანი - C₁₃
14. ახალაძე შოთა - C₁₄
15. ქერივიშვილი იოსები - C₁₅
16. აღულიშვილი გიორგი - C₁₆
17. კველიშვილი ბიძინა - C₁₇
18. ლამაზიშვილი ანზორი - C₁₈
19. გელაშვილი ელგუჯა - C₁₉
20. სამუკაშვილი ვალიკო - C₂₀
21. ალაღოშვილი მერაბი - C₂₁
22. კობალაძე ვასილი - C₂₂
23. გურული ბორისი - C₂₃
24. დენიოზაშვილი შუქრი - C₂₄
25. ისმაილოვი ბახრი - C₂₅
26. მათიაშვილი ვაჟა - C₂₆
27. შპს „ხურყალეთი“ - C₂₇

ანალიზი და რეკომენდაციები:

მემარცვლენობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების სპეციალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით დაჯგუფების შედეგად გამოიყო მეურნეობათა სამი ჯგუფი (ცხრილი 1-მ). პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ის მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,30-0,50 ფარგლებში. მეორე ჯგუფში: 0,51-0,70 ფარგლებში, ხოლო მესამე ჯგუფში გაერთიანდნენ ის მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,71-ზე მაღალია.

ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ ყველაზე ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,71-ზე მეტია. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით შეადგენს 0,50, უკუგების დონე 1,0, ხოლო პროპორციული დამოკიდებულება ამ ორ მაჩვენებელს შორის, სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე მაღალია და საშუალოდ 2,0-ის ტოლია, რაც ნათლად ადასტურებს ამ ჯგუფში შემავალ მეურნეობათა ოპტიმალურობას.

ფართობების მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფებამ სრულიად განსხვავებული შედეგები მოგვცა (ცხრილი 2-მ). ამ ნიშნის მიხედვით გამოიყო მეურნეობათა ოთხი ჯგუფი. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ის მეურნეობები, სადაც მარცვლეულის ფართობს უკავია 1-20 ჰა. ამ მეურნეობებში მაღალია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი, რაც საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით შეადგენს 0,71, შესაბამისად დაბალია რისკის უკუგების დონე (0,40). ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ მეურნეობების მიერ გაწეული ყოველგვარი რისკი ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, ანუ დაბალია შანსი იმისა, რომ რისკის გაწევის შემთხვევაში გაიზარდოს ფერმერთა მოგება.

მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ ის მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 21-50 ჰექტარ მარცვლეულის ფართობს, ანუ საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით 30 ჰა-ს. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,45, უკუგების დონე 1,22 და პროპორციულობის კოეფიციენტი - 2,7. ეს მონაცემები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა ფართობი 21-50 ჰექტარის ფარგლებში მერყეობს. მეორე ჯგუფში გაერთიანებულ მეურნეობებს

აქეთ უნარი, სხვა ჯგუფებთან შედარებით გასწიონ მაღალი რისკი და მიადწიონ სასურველ შედეგს.

რაც შეეხება მესამე (51-80 კა) და მეოთხე (81 კა და მეტი) ჯგუფში შემავალ მეურნეობებს, მიუხედავად დიდი ფართობისა, ისინი მეორე ჯგუფის მეურნეობებთან შედარებით ნაკლებად ეფექტურნი არიან. კერძოდ, მესამე ჯგუფის მეურნეობები, რომლებიც საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით ფლობენ 66 კა მარცვლეულის ფართობს, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,69-ს, რისკის უკუგების დონე 0,45 და პროპორციულობის კოეფიციენტი 0,65-ს. შედარებით უარესი მდგომარეობაა მეოთხე ჯგუფის მეურნეობებში (საშუალოდ 1 მეურნეობაზე მოდის 120 კა). ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,73-ს, უკუგების დონე 0,37 და პროპორციულობის კოეფიციენტი 0,51.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება, კერძოდ, ფერმერულ მეურნეობებში მარცვლეულის ფართობის გადიდება არ იწვევს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ მეორე ჯგუფში შემავალ მეურნეობებში ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 30 ჰექტარი მარცვლეულის ფართობი მოდის. ეს მაჩვენებელი მესამე ჯგუფის მეურნეობებში 2-ჯერ მეტია, ხოლო მეოთხე ჯგუფის მეურნეობებში 4-ჯერ მეტი, მაშინ როცა რისკის უკუგების დონე მეორე ჯგუფთან შედარებით მესამე ჯგუფში ნაკლებია 2,7-ჯერ, მეოთხე ჯგუფში კი 3,1-ჯერ. რაც შეეხება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს, ეს მაჩვენებელი მეორე ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით მესამე ჯგუფში მაღალია 41%-ით და შეადგენს 0,69, ხოლო მეოთხე ჯგუფში მაღალია 50%-ით და შეადგენს 0,73. ეს მონაცემები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მარცვლეულის ფართობის გადიდება ფერმერს არ აძლევს რისკის გაწვევის საფუძველს, რადგან საქმიანობა იმ გარემო პირობებში, სადაც დარღვეულია მარცვლეულის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები და ძალზე მაღალია წარმოების ხარჯები, რეკომენდირებულია ამ ეტაპზე მარცვლეულის ფართობი შენარჩუნდეს 21-50 ჰექტარის ფარგლებში.

მარცვლეულის მოსავლიანობის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგად (ცხრილი 3-მ) გამოიყო მეურნეობათა სამი ჯგუფი. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე ოპტიმალურია მესამე ჯგუფში შემავალი მეურნეობები, სადაც მოსავლიანობა 1 ჰექტარზე მერყეობს 31-

50 ცენტნერის ფარგლებში. ამ ჯგუფის მეურნეობებში, საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი შეადგენს 0,49, რისკის უკუგების დონე 1,04 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2.12. მონაცემები ადასტურებს, რომ მესამე ჯგუფის მეურნეობებს უნარი აქვთ გასწიონ რისკი ამა თუ იმ ღონისძიების განსახორციელებლად და მიიღონ გარანტირებული მოგება.

მარცვლეულის სარეალიზაციო ფასის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგად კვლავ სამი ჯგუფი გამოიყო (ცხრილი 4-მ), რომელთა შორის ოპტიმალური აღმოჩნდა მეორე ჯგუფი, ანუ ის მეურნეობები, რომლებიც 1 კგ. მარცვალს ყიდვიან 0,51-0,60 ლარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით შეადგენს 0,42, რისკის უკუგების დონე 1,39 და პროპორციულობის კოეფიციენტი 3,31. ეს მონაცემები ადასტურებენ იმას, რომ მეორე ჯგუფში შემაჯალ მეურნეობებს აქვთ რეალური შანსი გასწიონ რისკი და მიიღონ გარანტირებული მოგება.

კვლევის შედეგად შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები (დასკვნები) იმის შესახებ, რომ მემარცვლეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში მიზანშეწონილია:

1. წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტი იყოს 0,71-ზე მეტი;
2. მეურნეობის სიდიდე იყოს 21-50 ჰექტარის ფარგლებში;
3. საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე იყოს 31-50ცენტნერი;
4. 1კგ. მარცვლის სარეალიზაციო ფასი მერყეობდეს 0,51-0,60 ლარის ფარგლებში.

VII მეცხოველეობის (მერძეული) მიმართულების
ფერმერული მეურნეობებისათვის

2.1. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების დონეები, სპეციალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით

(ცხრილი 1-ფ)

მეურნეობა-თა დასა-ხელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი)	სპეციალი-ზაციის კოეფი-ციენტი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომი-კური ზღვარი	რისკის უკუგებ ის დონე	პროპორცია რისკის მიზან-შეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების დონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u> <u>0.30 -</u> <u>0.50</u>			
1. A ₁	0,33	0,48	1,08	2,25
2. A ₂	0,32	0,42	1,37	3,26
3. A ₃	0,40	0,47	1,13	2,40
4. A ₄	0,42	0,90	0,11	0,12
5. A ₅	0,46	0,87	0,15	0,17
6. A ₆	0,48	0,44	1,25	2,84
7. A ₇	0,48	0,49	1,04	2,12

	<u>II</u> <u>ჯგუფი</u> <u>0,51 =</u> <u>0,70</u>			
1. A ₈	0,53	0,83	0,21	0,25
2. A ₉	0,56	0,49	1,05	2,14
3. A ₁₀	0,56	0,50	1,00	2,00
4. A ₁₁	0,57	0,42	1,40	3,33
5. A ₁₂	0,59	0,73	0,36	0,49
6. A ₁₃	0,52	0,57	0,74	1,30
7. A ₁₄	0,53	0,45	1,22	2,71
8. A ₁₅	0,60	0,51	0,96	1,88
9. A ₁₆	0,60	0,44	1,27	2,89
	<u>III</u> <u>ჯგუფი</u> <u>0,71 და</u> <u>მეტი</u>			
1. A ₁₇	0,70	0,42	1,38	3,29
2. A ₁₈	0,77	0,53	0,88	1,66
3. A ₁₉	0,88	0,51	0,98	1,97
4. A ₂₀	0,93	0,36	1,80	5,00
5. A ₂₁	0,81	0,44	1,25	2,84
6. A ₂₂	1,00	0,41	1,41	3,43

2.2. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები, მეურნეობის სიდიდის (მთლიანი სულადობის) მიხედვით, (ცხრილი 2-ფ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი1)	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, სული	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u> <u>10 – 50</u>			
1. A ₃	10	0,47	1,13	2,40
2. A ₅	11	0,87	0,15	0,17
3. A ₄	12	0,90	0,11	0,12
4. A ₁₃	20	0,57	0,74	1,30
5. A ₂₀	24	0,47	1,14	2,43
6. A ₂₂	27	0,90	0,12	0,13
7. A ₁₄	28	0,45	1,22	2,71
8. A ₁	26	0,48	1,08	2,25
9. A ₁₆	43	0,44	1,27	2,89
10. A ₂₁	35	0,87	0,15	0,17
11. A ₈	45	0,83	0,21	0,25
12. A ₁₅	45	0,51	0,96	1,88
13. A ₁₂	40	0,73	0,36	0,49
	<u>II ჯგუფი</u> <u>51 – 100</u>			
1. A ₁₇	60	0,42	1,38	3,29
2. A ₂	63	0,69	0,46	0,67
3. A ₉	58	0,49	1,05	2,15
4. A ₁₁	68	0,42	1,40	3,33
5. A ₁₉	98	0,63	0,58	0,92
6. A ₆	60	0,44	1,25	2,84
7. A ₇	90	0,49	1,03	2,10

	<u>III ჯგუფი</u> <u>101 და</u> <u>მეტე</u>			
1. A ₁₀	146	0,64	0,55	0,86
2. A ₁₈	155	0,94	0,07	0,07

2.3. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები, მეურნეობის სიდიდის (ფურების სულადობის) მიხედვით (ცხრილი 3-ფ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი)	ფურის სულადობა, სული	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u> <u>1 - 30</u>			
1. A ₃				
2. A ₅	5	0,47	1,13	2,40
3. A ₄	6	0,87	0,15	0,17
4. A ₁₃	7	0,90	0,11	0,12
5. A ₂₀	10	0,57	0,74	1,30
6. A ₂₂	10	0,36	1,80	5,00
7. A ₁₄	18	0,41	1,41	3,43
8. A ₁	12	0,45	1,22	2,71
9. A ₁₆	12	0,48	1,08	2,25
10. A ₂₁	30	0,44	1,27	2,89
11. A ₈	18	0,44	1,25	2,84
12. A ₁₅	25	0,83	0,21	0,25
13. A ₁₂	30	0,51	0,96	1,88
14. A ₂	22	0,73	0,36	0,49
	27	0,42	1,37	3,26

<u>II კატეგორია</u>				
<u>1001 - 1500</u>				
1. A ₉				
2. A ₁₇	1020	0,49	1,05	2,15
3. A ₁₂	1350	0,42	1,38	3,27
4. A ₁₈	1250	0,73	0,36	0,49
5. A ₁₁	1300	0,53	0,88	1,66
6. A ₅	1380	0,42	1,40	3,33
7. A ₁₉	1400	0,87	0,15	0,17
8. A ₁₀	1425	0,51	0,98	1,92
9. A ₂₁	1400	0,50	1,00	2,00
10. A ₄	1410	0,44	1,25	2,84
11. A ₂	1500	0,90	0,11	0,12
12. A ₈	1500	0,42	1,37	3,26
		0,83	0,21	0,25
<u>III კატეგორია</u>				
<u>1501 და მეტი</u>				
1. A ₁				
2. A ₆	1510	0,48	1,08	2,25
3. A ₁₄	1750	0,44	1,25	2,84
4. A ₁₅	1780	0,45	1,22	2,71
5. A ₁₆	1800	0,51	0,96	1,88
6. A ₁₃	1850	0,44	1,27	2,89
7. A ₂₀	1850	0,57	0,74	1,30
8. A ₃	1900	0,36	1,80	5,00
	1650	0,47	1,13	2,40

2.5. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ღონეები, რძის სარეალიზაციო ფასის მიხედვით

(ცხრილი 5-ფ)

მეურნეობათა დასახელება კოდირების პრინციპის მიხედვით (იხ.დანართი1)	მარცვლეულის სარეალიზაციო ფასი, კგ/ლარი	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი	რისკის უკუგების ღონე	პროპორცია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგების ღონეს შორის
	<u>I ჯგუფი</u> <u>0.10 – 0.60</u>			
1. A ₈	0,50	0,83	0,21	0,25
2. A ₁	0,60	0,48	1,08	2,25
	<u>II ჯგუფი</u> <u>0.61 – 0.80</u>			
1. A ₂	0,70	0,42	1,37	3,26
2. A ₇	0,80	0,49	1,03	2,10
3. A ₂₁	0,80	0,44	1,25	2,84
4. A ₃	0,80	0,47	1,13	2,40
5. A ₁₇	0,80	0,42	1,38	3,27
6. A ₂₀	0,70	0,36	1,80	5,00
7. A ₁₃	0,80	0,57	0,74	1,30
8. A ₂₂	0,80	0,41	1,41	3,43
9. A ₁₆	0,80	0,51	1,96	3,84
10. A ₆	0,80	0,44	1,25	2,84
11. A ₁₅	0,80	0,51	0,96	1,88
12. A ₁₄	0,80	0,45	1,22	2,71
13. A ₅	0,80	0,87	0,15	0,17
14. A ₄	0,80	0,90	0,11	0,12

	III ჯგუფი 0,81 და მეტე			
1. A ₁₂	0,85	0,73	0,36	0,49
2. A ₁₈	0,85	0,53	0,88	1,66
3. A ₁₁	0,85	0,42	1,40	3,33
4. A ₁₀	0,90	0,50	1,00	2,00
5. A ₁₉	0,89	0,51	0,98	1,92
6. A ₉	1,00	0,49	1,05	2,15

დანართი 1

1. სეფაშვილი იასე - A₁
2. ბურაშვილი პაატა - A₂
3. ბახტურიძე ზურაბი - A₃
4. კუკულავა ლაშა - A₄
5. ყაჭეიშვილი გიორგი - A₅
6. ლომიძე შოთა - A₆
7. გაიპარაშვილი ბესო - A₇
8. ზურაბიშვილი ნოდარი - A₈
9. კოპ. „კამბეჩუნი“ A₉
10. შეშბერაძე შოთა - A₁₀
11. გოდერძიშვილი გია - A₁₁
12. ბეგლაბაშვილი ილო - A₁₂
13. შპს „ცხრა მუხა“ - A₁₃
14. ცინცაძე ალექსანდრე - A₁₄
15. ჩხაიძე ლერი - A₁₅
16. ხოფერია ჯონი - A₁₆
17. გურჯიძე ზაზა - A₁₇
18. კაციშვილი გია - A₁₈
19. დემეტრაშვილი გივი - A₁₉
20. შპს „წიქარა“ - A₂₀
21. მათიშვილი გივი - A₂₁
22. ლობჯანიძე ცაგო - A₂₂

ანალიზი და რეკომენდაციები:

მეცხოველეობის (მერძეული) მიმართულების ფერმერული მეურნეობების დაჯგუფებამ სპეციალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით გამოავლინა მეურნეობათა სამი ჯგუფი (ცხრილი 1-ფ). პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,30-0,50 ფარგლებში მერყეობს, მეორე ჯგუფში – 0,51-0,70, ხოლო მესამე ჯგუფში – 0,71 და მეტი. დადგინდა, რომ ამ ჯგუფებს შორის ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,71 და მეტია (მესამე ჯგუფი), რადგან აღნიშნულ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი (სხვა ჯგუფებთან შედარებით) საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით შეადგენს 0,48, ანუ ყოველი ერთი ლარი შემოსავალი მიიღება 0,48 ლარის დანახარჯების პირობებში. რისკის უკუგების დონეა 1,1 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,3. ეს მონაცემები აშკარად ადასტურებს მესამე ჯგუფის მეურნეობების ოპტიმალურობას და მოგების მიღების რეალურ შესაძლებლობას.

სიდიდის მიხედვით მერძეული მიმართულების ფერმერული მეურნეობები დაჯგუფებული იქნა ორი ნიშნის მიხედვით: 1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიანი სულადობის და 2. ფურების სულადობის მიხედვით.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიანი სულადობის მიხედვით დაჯგუფებამ გამოავლინა მეურნეობათა სამი ჯგუფი (ცხრილი 2-ფ). პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ მეურნეობები, სადაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 10-50 სულის ფარგლებში მერყეობს, მეორე ჯგუფის მეურნეობებში 51-100 სული, ხოლო მესამე ჯგუფში მოთავსდა ის მეურნეობები, რომელთაც 101 და მეტი სული პირუტყვი ჰყავთ. ამ ჯგუფების მონაცემების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობა, სადაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა მერყეობს 51-100 სულის ფარგლებში (მეორე ჯგუფი). ამ ჯგუფის მეურნეობებში, სხვა ჯგუფებთან შედარებით დაბალია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი და საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით შეადგენს 0,50, ხოლო რისკის უკუგების დონე შედარებით მაღალია და 1,01 ტოლია. ამ მეურნეობათა ოპტიმალურობაზე მიუთითებს ისიც, რომ პროპორციული დამო-

კიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და უკუგებას შორის, სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალია და შეადგენს 2,02, რაც მიუთითებს ამ ჯგუფის მეურნეობების მიერ ამა თუ იმ ღონისძიებაზე გაწეული რისკის მართებულობაზე.

გამოვლინდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ჩვენს მიერ შესწავლილი მეცხოველეობის (მერძეული) მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში დარღვეულია ნახირის რეკომენდებული სტრუქტურა. კერძოდ, ოპტიმალურად მიჩნეულ მეორე ჯგუფის მეურნეობებში, ფურების რაოდენობა მეცნიერულად დადგენილი 60%-ის ნაცვლად, შეადგენს საშუალოდ 48%. აღნიშნული ტენდენციით ხასიათდება მეურნეობათა სხვა ჯგუფებიც.

რაც შეეხება ფერმერულ მეურნეობათა დაჯგუფებას ფურების რაოდენობის მიხედვით (ცხრილი 3-ფ), გამოვლინდა მეურნეობათა სამი ჯგუფი. პირველ ჯგუფში ფურების ოდენობა 1-30 სულის ფარგლებში მერყეობს, მეორე ჯგუფში 31-50 სული და მესამე ჯგუფში 51 და მეტი.

დადგინდა, რომ ოპტიმალურია მეორე ჯგუფში შემავალი ფერმერული მეურნეობები, სადაც რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი საშუალოდ შეადგენს 0,45, რისკის უკუგების დონე 1,21 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,71.

ფურების საშუალო წლიური წველადობის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგად, კვლავ გამოიყო სამი ჯგუფი (ცხრილი 4-ფ). პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ მეურნეობები, სადაც ერთ ფურზე საშუალოწლიური წველადობა მერყეობს 1-1000 კგ-მდე. მეორე ჯგუფში – 1001-1500 კგ-მდე და მესამე ჯგუფში 1501 კგ. და მეტი. ანალიზით გაირკვა, რომ გამოვლენილ ჯგუფებს შორის ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, სადაც ფურების საშუალო წლიური წველადობა 1501 კგ. და მეტია (მესამე ჯგუფი) და მერყეობს 1501-1900 კგ-ს ფარგლებში. აღნიშნულ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი, საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით შეადგენს 0,46, რისკის უკუგების დონე 1,19 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,6. ეს მონაცემები მიუთითებს მესამე ჯგუფის მეურნეობებში რისკის გაწევის შესაძლებლობაზე და გარანტირებული მოგების მიღების რეალობაზე.

რძის სარეალიზაციო ფასის მიხედვით მეურნეობათა დაჯგუფების შედეგად გამოვლინდა მეურნეობათა სამი ჯგუფი (ცხრილი 5-ფ). პირველი ჯგუფი 0,10-0,60 ლარი. ამ ჯგუფის მეურნეობებში რისკის

მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი შეადგენს 0,68, რისკის უკუგების დონე 0,47. ეს ის შემთხვევაა, როცა ყოველი დახარჯული ლარი ვერ უზრუნველყოფს კვლავწარმოების პროცესს. მეორე ჯგუფის მეურნეობებში რძის სარეალიზაციო ფასი მერყეობს 0,61-0,80 ლარის ფარგლებში. ამ მეურნეობებში, პირველ ჯგუფთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, ანუ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი შეადგენს 0,45, უკუგების დონე 1,20 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,67. მონაცემების მიხედვით ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ერთ კილოგრამ რძეს ყიდიან 0,81 ლარი და მეტად.

დადგინდა, რომ მერძეული მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში, მაღალია რძის წარმოების ხარჯები, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის მნიშვნელოვანია სამუშაო პროცესის მექანიზაციის დაბალი დონე, მოხმარებული საკვების მაღალი ღირებულება, რძის რეალიზაციის არასტაბილური ბაზარი და შედარებით დაბალი ფასი. მერძეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში, გარანტირებული მოგების მისაღებად სასურველია 1 კგ. რძის სარეალიზაციო ფასი მერყეობდეს 1,0-1,30 ლარის ფარგლებში.

მერძეული მიმართულების ფერმერული მეურნეობების დაჯგუფების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ შემდეგი სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნები:

აღნიშნული ტიპის მეურნეობებში მიზანშეწონილია:

1. წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტი იყოს 0,71 და მეტი;
2. მეურნეობა ოპტიმალურია (სიდიდე) 51-100 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და 31-50 სული ფურის პირობებში;
3. საშუალო წლიური წვევლადობა ერთ ფურზე უნდა იყოს 1501-1900 კგ-ს ფარგლებში;
4. 1 კგ. რძის სარეალიზაციო ფასი სასურველია მერყეობდეს 1,0-1,3 ლარის ფარგლებში;
5. რეკომენდირებულია ნახირის შემდეგი ოპტიმალური სტრუქტურა: ბულამწარმოებელი - 1%; ფურები - 55-60%; უშობლები - 7-8%; მოზარდები (ერთ წელზე უხნესი) - 17-14%; მოზარდები (ერთ წლამდე) - 20-17%.

4.6. სამეურნეო რისკის შიშისა და სინთეზირება- ბული, ოპტიმიზირებადი ეკონომიკური პარამე- ტრები, არსებითი ფაქტორების მოძველების გათ- ვალისწინებით და სარეკონსტრუქციო ხასიათის წინადადებები

სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური დონეების დადგენამ, ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით სრულიად ახლებურად ასახა რისკის გაწვევის დასაბუ-
თებულობა და მიზანშეწონილობა.

დადგინდა, რომ რისკი სოფლის მეურნეობაში ერთ და ორ ფაქტორსა და პირობას როდი უკავშირდება, იგი ეკონომიკურ-ორგა-
ნიზაციულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის მოთხოვნა, გამოვლინება
და ამავე დროს შედეგია, და, თუ უფრო ჩვეულებრივად ამ საკითხს,
რისკი უკავშირდება არა მარტო ეკონომიკურ-ორგანიზაციულ, არამედ
ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა
ასპექტებსა და ფაქტორებს, რომელთა ურთიერთშეწონასწორებული
მოქმედების გათვალისწინება, როგორც წესი აუცილებელია.

ამ მოსაზრების მხედველობაში მიღებით ჩვენ შევეცადეთ
ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა რისკის განმპირობებელი რამდენიმე
ფაქტორ-პოზიცია, კერძოდ: ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ეკონომიკურ-
ტექნოლოგიური, საფინანსო-საკრედიტო და მარკეტინგული ფაქტორ-
პოზიციები, რისთვისაც შემოვიღეთ და გამოვიყენეთ ისეთი ახალი
პარამეტრები, როგორცაა რისკის მიზანშეწონილობისა და უკუგების
სინთეზირებული მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს ოპტიმიზი-
რებულ, შეწონასწორებულ, ინდექსური ტიპის მაჩვენებელს. იგი
გასაშუალებლად ავლენს და ყველა ძირითადი ფაქტორისა და პირობის
ურთიერთკავშირში განზოგადებულად ხსნის ჯერ ერთი, რისკის
მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარს და მეორეც-მისი უკუგების,
ანუ ეფექტიანობის დონეს, რომელიც მყარ საფუძველს გვაძლევს
განზოგადებულად ვიმსჯელოთ რისკის საერთო გამართლებულობასა და
შედეგზე.

სინთეზირებული მაჩვენებელი გათვლილი იქნა შემდეგი ფორმულით:

$$SR = (R_1 + R_2 + R_3 + \dots + R_n) / n$$

$$SL = (L_1 + L_2 + L_3 + \dots + L_n) / n$$

სადაც: SR - არის რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი;

SL - არის რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი;

$R_1; R_2; R_3 \dots R_n$ - არის რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი 1,2,3...n ტიპური მეურნეობებისათვის;

$L_1; L_2; L_3 \dots L_n$ - არის რისკის უკუგების დონე 1,2,3...n ტიპური მეურნეობებისათვის;

n - მეურნეობათა რაოდენობა.

ამრიგად, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი გაიანგარიშება, ცალკეული მიმართულების მეურნეობების რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის ჯამის შეფარდებით მეურნეობათა რაოდენობაზე. ხოლო რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი კი, ცალკეული მიმართულების მეურნეობების რისკის უკუგების დონის ჯამის შეფარდებით მეურნეობათა რაოდენობაზე.

ამ მაჩვენებლების ანალიზით დადგინდა, რომ რაც დაბალია SR და მაღალია SL მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა ერთობლიობით გაწეული რისკი.

აღნიშნული ფორმულების გამოყენებით გაანგარიშებული იქნა რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები და დადგინდა ამ ორ მაჩვენებელს შორის პროპორციული დამოკიდებულების კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლის შეფარდებით რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელთან და გვიჩვენებს რისკის გაწევის გამართლებულობას, ანუ რაც უფრო მაღალია პროპორციულობის კოეფიციენტი, მით უფრო გამართლებულია რისკი და მეტია მოგების მიღების შანსი.

გაანგარიშებები შესრულდა საკვლევად შერჩეული ცალკეული საწარმოო მიმართულების (მებოსტნეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მემარცვლეობის, მეცხოველეობის) ფერმერული მეურნეობების მიხედვით, რომელიც მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში.

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები მებოსტნეობის მიმართულების ფერმერულ
 მეურნეობებში

ცხრილი 1

	კოეფიციენტი
რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი SR	0,56 $((0,32+0,50+0,40+0,68+0,34+0,50+0,41+0,61+0,52+0,72+0,72+0,75+0,81+0,54) / 14)$
რისკის უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებელი SL	0,98 $((0,68+1,00+0,50+1,28+1,92+1,00+0,44+0,63+0,93+1,38+1,40+0,33+1,42+0,83) / 14)$
პროპორციულობის კოეფიციენტი SL / SR	1,75

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები მევენახეობის მიმართულების ფერმერულ
 მეურნეობებში

ცხრილი 2

	კოეფიციენტი
<p>რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი SR</p>	<p>0,65 $((0,45+0,81+0,79+0,60+0,90+0,67+0,57+0,69+1,00+0,60+0,50+0,24+0,97+0,37) / 14)$</p>
<p>რისკის უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებელი SL</p>	<p>1,03 $((0,21+0,24+0,26+0,67+0,11+0,50+1,76+1,44+2,00+1,67+1,01+3,09+(-0,27)+1,73) / 14)$</p>
<p>პროპორციულობის კოეფიციენტი SL / SR</p>	<p>1,58</p>

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების
სინთეზირებული მაჩვენებლები მეზილეობის მიმართულების ფერმერულ
მეურნეობებში

ცხრილი 3

	კოეფიციენტები
რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი SR	0,52 $((0,65+0,39+0,74+0,28+0,27+0,66+0,38+0,44+0,97+0,61+0,24+0,32+0,73+0,66) / 14)$
რისკის უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებელი SL	1,43 $((0,53+1,55+0,35+2,64+2,68+0,51+1,60+1,27+0,04+1,10+3,14+2,14+0,97+1,52) / 14)$
პროპორციულობის კოეფიციენტი SL / SR	2,75

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერულ
 მეურნეობებში

ცხრილი 4

	კოეფიციენტები
<p>რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი SR</p>	<p>0,64 $((0,73+0,61+0,64+0,64+0,55+0,71+0,72+0,72+0,46+0,65) / 10)$</p>
<p>რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი SL</p>	<p>1,04 $((0,98+1,20+1,00+0,95+1,00+1,00+0,90+0,90+1,31+1,33) / 10)$</p>
<p>პროპორციულობის კოეფიციენტი SL / SR</p>	<p>1,63</p>

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონების
 სინთეზირებული მაჩვენებლები მეცხოველეობის მიმართულების ფერმერულ
 მეურნეობებში

ცხრილი 5

	კოეფიციენტი
<p>რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი SR</p>	<p>0,53 ((0,48+0,42+0,47+0,90+0,87+0,44+ +0,49+0,83+0,49+0,50+0,42+0,73+ +0,57+0,45+0,51+0,44+0,42+0,53+ +0,51+0,36+0,44+0,41) / 22)</p>
<p>რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი SL</p>	<p>1,00 ((1,08+1,37+1,13+0,11+0,15+1,25+1,04+ +0,21+1,05+1,00+1,40+0,36+0,74+ +1,22+0,96+1,27+1,38+0,88+0,88+ +1,80+1,25+1,41) / 22)</p>
<p>პროპორციულობის კოეფიციენტი SL / SR</p>	<p>1,89</p>

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონების
 სინთეზირებული მაჩვენებლები შემარცხლების მიმართულების ფერმერულ
 მეურნეობებში

ცხრილი 6

	კოეფიციენტი
<p>რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი SR</p>	<p>0,61 ((0,56+0,45+0,64+0,95+0,44+0,66+ +0,62+0,64+0,63+0,98+0,83+0,48+ +0,36+0,49+0,48+0,50+0,40+0,45+ +0,45+0,56+0,93+0,83+0,48+0,71+ +0,56+0,68+0,90) / 27)</p>
<p>რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი SL</p>	<p>0,95 ((0,80+1,10+0,55+0,05+1,29+0,51+ +0,60+0,55+0,58+0,03+0,20=1,21+ +1,74+1,02+1,07+1,00+1,48+1,20+ +1,21+0,78+0,08+0,72+1,06+0,41+ +0,80+0,47+0,11) / 27)</p>
<p>პროპორციულობის კოეფიციენტი SL / SR</p>	<p>1,56</p>

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის (იხილეთ ცხრილები 1,2,3,4,5,6-ის მონაცემები) საფუძველზე დადგინდა, რომ რაც უფრო დაბალია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარი და მაღალია უკუგების დონე, მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციითა მხედველობაში მიღებით გაწეული რისკი. ასევე დადგინდა პროპორციული დამოკიდებულება რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებულ მაჩვენებლებს შორის, რომელმაც გამოავლინა დამოკიდებულების კანონზომიერება და მათი ურთიერთქმედების ტენდენცია ამ ორ მაჩვენებელს შორის, რაც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია რისკის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით.

სინთეზირებული მაჩვენებლების გაანგარიშებამ კიდევ უფრო ნათელი გახადა და დაადასტურა ჩატარებული კვლევის შედეგების სანდოობა. გამოვლინდა, რომ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები მეზობტნეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (14 მეურნეობა) საშუალოდ შეადგენს შესაბამისად 0,56 და 0,98, ანუ ყოველ დახარჯულ 0,56 ლარზე მიღებულია 0,98 ლარის შემოსავალი. ზოლო პროპორციულობის კოეფიციენტი, ანუ დამოკიდებულება ამ ორ მაჩვენებელს შორის შეადგენს 1,75 (ცხრილი 1), რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში რისკი მეტ-ნაკლებად გამართლებულია.

მევენახეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (14 მეურნეობა) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 0,65, ზოლო უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი-1,03, პროპორციულობის კოეფიციენტი- 1,58 (ცხრილი 2).

მეხილეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (14 მეურნეობა) ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,52, 1,43 და 2,75 (ცხრილი 3).

მეცენტრუსეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (10 მეურნეობა) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 0,64, უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი კი 1,04, პროპორციულობის კოეფიციენტი ამ ორ მაჩვენებელს შორის კი 1,63-ია (ცხრილი 4).

მემარცვლეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (27 მეურნეობა) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთე-

ზირებულ მარცხენებელ საშუალოდ შეადგენს 0,61, რისკის უკუგების დონის მარცხენებელი კი 0,95, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი ამ მარცხენებლებს შორის 1,56 (ცხრილი 6).

მეცხოველეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში (22 მეურნეობა) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მარცხენებელი საშუალოდ შეადგენს 0,53, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მარცხენებელი კი 1,00, პროპორციულობის კოეფიციენტი – 1,89 (ცხრილი 5).

ზემოთ წარმოდგენილი გაანგარიშებების საფუძველზე, დადგინდა სამეურნეო რისკის შეფასების სინთეზირებული, ოპტიმიზირებული ეკონომიკური პარამეტრები არსებითი ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით. დადასტურდა კვლევის შედეგად გამოვლენილი სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების ოპტიმალური დონეების სანდობა და არსებულ პირობებში მათი დამაჯერებლობის ხარისხი.

გამოკვლევების შედეგად, შერჩეული ტიპური, სხვადასხვა საწარმოო მიმართულების ფერმერული მეურნეობების მიხედვით დადგინდა აგრეთვე რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების კონკრეტული სინთეზირებული მარცხენებელი ცალკეულ ფაქტორ-პოზიციათა შესაბამისად, რამაც საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა გამოყენებითი ხასიათის მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ოპტიმალურია ბოსტნეობის მიმართულების ის ფერმერული მეურნეობები, სადაც საქვალისა და კოფიციენტი მერყეობს 0,21-0,40-ის ფარგლებში. აღნიშნულ პირობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მარცხენებელი შეადგენს 0,41, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მარცხენებელი 1,53, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 3,73.

ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, სადაც ბოსტნეულის ფართობი მერყეობს 0,1-დან 2,0 ჰექტრის ფარგლებში. ამ დროს რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მარცხენებელი შეადგენს 0,48, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მარცხენებელი 1,26 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,63.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია მეურნეობები, სადაც ბოსტნეულის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე შეადგენს 100-200

ცენტერს, ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,45, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,22-ს, პროპორციულობის კოეფიციენტი 2,71.

პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1ც. ბოსტნეულს ყიდიან 15-50 ლარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,45, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,33 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,96 (ცხრილი 7).

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრისა და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლების ანალიზი ადასტურებს, რომ მეზოსტნეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში მიზანშეწონილია: წარმოების სპეციალიზაციის სრულყოფა, არსებული ფართობის პირობებში ბოსტნეული კულტურების ოპტიმალური (რაციონალური) შეთანაწყობა, მოსავლიანობის შენარჩუნება საშუალოდ 1 ჰა-ზე 150-200 ცენტნერის და 1 ცენტნერი პროდუქციის საშუალო სარეალიზაციო ფასის 80-100 ლარის ფარგლებში (ცხრილი 7).

მევენახეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობებიდან სპეციალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0,61-0,70 – ის ფარგლებში მერყეობს. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,62, რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,05, ხოლო ამ ორ მაჩვენებელს შორის პროპორციულობის კოეფიციენტი 1,69-ს.

ფართობის სიდიდის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც ვენახის ფართობი საშუალოდ შეადგენს 20-23 ჰა-ს. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,37 და 1,93, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 5,21.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე მერყეობს 60-100 ცენტნერის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი შეადგენს 0,53,

რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი 1,15 და პროპორციულობის კოეფიციენტი 2,17.

ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1 ც. ყურძენს აყიდიან 51-80 ლარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, რისკის მიზან-შეწონილობის ეკონომიკური ზღერის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,58 და 1,31, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი 2,26 (ცხრილი 8).

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, მევენახეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში, მიზანშეწონილია გაღრმავდეს წარმოების სპეციალიზაციის დონე;

ვენახის ფართობი ერთ მეურნეობაზე საშუალოდ უნდა შეადგენდეს 20-25 ჰექტარს;

მოსავლიანობა უნდა იყოს 80-100 ცენტნერის ფარგლებში;

ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი სასურველია მერყეობდეს 70-100 ლარის ფარგლებში.

მეზოლობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში წარმოების სპეციალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,40-0,60-ის ფარგლებში. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღერის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,53 და 1,24, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 2,34.

ფართობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 3,1-5,0 ჰექტარ ხილის ფართობს. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღერის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,47 და 1,56, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 3,32.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც ჰექტარზე საშუალოდ ღებულობენ 150-160 ცენტნერ ხილს. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღერის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,42 და 1,92, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 4,57.

ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1 ც.პროდუქციას საშუალოდ

ყიდიან 41-60 ლარის ფარგლებში ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,26 და 2,91, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი 11,2 (ცხრილი 9).

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მეხილეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში საჭიროა კიდევ უფრო გაღრმავდეს წარმოების სპეციალიზაციის დონე (0,61-0,70-მდე);

ხილის ფართობი გაიზარდოს საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით 10-15 ჰა-მდე;

მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე გაიზარდოს 180-200 ცენტნერამდე;

ერთი ცენტნერი ხილის საშუალო სარეალიზაციო ფასი სასურველია შეადგენდეს 70-90 ლარს.

ხილის წარმოების გადიდების მიზნით სასურველია ხეხილის ნარგავების ჯიშობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება და მეჩხერიანობის დონის მინიმუმამდე შემცირება.

მკვლევების მიმართულების ფერმერული მეურნეობების ანალიზით გაირკვა, რომ სპეციალიზაციის კოეფიციენტი ყველა შესწავლილ მეურნეობებში ერთის ტოლია, რაც მიანიშნებს იმას, რომ მეურნეობები მხოლოდ ერთდარგაიანია. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,43 და 2,32, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 5,38. ეს მონაცემები აშკარად მიუთითებს, რომ სპეციალიზაციის ასეთ პირობებში გაწეული რისკი უზრუნველყოფს მეურნეობათა მომგებიან საქმიანობას ანუ სასურველი შედეგის მომტანი იქნება.

ფართობის მიხედვით ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა ფართობი მერყეობს 1,1-2,0 ჰექტარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,56 და 1,32, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 2,36.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია მეურნეობათა ის ჯგუფი, სადაც მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ 151-250 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს. ამ დროს, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული

მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,44 და 1,33, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 3,02.

ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1 ცენტნერ ციტრუსს საშუალოდ 31-40 ლარის ფარგლებში ყიდიან. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,48 და 1,07, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი 2,23 (ცხრილი 10).

აკლვამ გვიჩვენა, რომ მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში მიზანშეწონილია: შენარჩუნებული იქნას წარმოების სპეციალიზაციის არსებული დონე;

ციტრუსის ფართობი საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით გაიზარდოს 2,5-3,0 ჰექტრამდე;

ხოლო მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე გაიზარდოს 180-220 ცენტნერამდე;

მემარცვლეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ღრმა სუბეკალიზაციის პირობებში (0,71 და მეტი) რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები მაღალია და შესაბამისად შეადგენს 0,52 და 1,22, პროპორციულობის კოეფიციენტი კი 5,38.

ფართობის მიხედვით თუ განვიხილავთ სინთეზირებულ მაჩვენებლებს, დასტურდება, რომ ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომელთა ფართობი 21-50 ჰექტარის ფარგლებში მერყეობს. ამ მეურნეობებში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,45 და 1,23, პროპორციულობის კოეფიციენტი – 2,73.

მოსავლიანობის მიხედვით ოპტიმალურია ის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ჰექტარზე 31 და მეტ ცენტნერ მოსავალს ღებულობენ. მიზანშეწონილობის ამ შემთხვევაში, ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები მაღალია და შესაბამისად შეადგენს 0,51 და 1,11, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი კი 2,18.

რაც შეეხება ერთი ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასს ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც ერთ ცენტნერ მარცვალს

საშუალოდ 51-60 ლარის ფარგლებში ყოფიან. ამ დროს, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები ამ მეურნეობებში შესაბამისად შეადგენს 0,43 და 1,63, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი კი 3,79 (ცხრილი 10).

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლების ანალიზი ადასტურებს, რომ მემარცვლეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში დაბალი რისკისა და მაღალი უკუგების მისაღებად რეკომენდირებულია:

წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება (0,70-0,75);

საშუალოდ ერთ მეურნეობაში მარცვლეული კულტურების ფართობი იყოს 30-50 ჰა;

საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე იყოს 31-40 ცენტნერი;

1 ცენტნერი მარცვლის სარეალიზაციო ფასი მერყეობდეს საშუალოდ 51-60 ლარის ფარგლებში.

მეცხოველეობის (მერძეული) მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში ჩატარებული ანალიზით დასტურდება, რომ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი დაბალია და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი მაღალი იმ ფერმერულ მეურნეობებში, რომელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი მერყეობს 0,71-0,80 – ის ფარგლებში. აქ რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და მისი უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 0,44 და 1,28, პროპორციულობის კოეფიციენტი კი – 2,91.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიანი სულადობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობა, სადაც მათი სულადობა 51-100 სულის ფარგლებში მერყეობს. ამ შემთხვევაში რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შეადგენს 0,51 და 1,02, პროპორციულობის კოეფიციენტი კი – 2,0.

ფურების სულადობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც ფურების სულადობა საშუალოდ 31-50 სულის ფარგლებში მარყეობს. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შეადგენს 0,45 და 1,22, პროპორციულობის კოეფიციენტი კი – 2,71.

ფურების საშუალო წლიური წველადობის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, სადაც ერთ სულ ფურზე წელიწადში 1500-1900 კგ. რძეს ღებულობენ, ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შეადგენს 0,46 და 1,18, ხოლო პროპორციულობის კოეფიციენტი კი - 2,57.

ერთი ცენტნერი რძის სარეალიზაციო ფასის მიხედვით ოპტიმალურია ის მეურნეობები, რომლებიც 1 ცენტნერ რძეს 61-80 ლარის ფარგლებში ყიდიან. ამ შემთხვევაში, რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის და რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებლები შეადგენს 0,51 და 1,13, პროპორციულობის კოეფიციენტი კი -2,22.

დადგინდა, რომ მერძეული მიმართულების ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სასურველია:

შენარჩუნდეს წარმოების სპეციალიზაციის არსებული დონე (0,71-0,80-ის ფარგლებში);

წველადობის ამაღლების მიზნით (2000-2200 კგ. ერთ სულზე) გაუმჯობესდეს ფურების ჯიშობრივი შემადგენლობა;

გაუმჯობესდეს კვების რაციონი და მიუახლოვდეს მეცნიერულად დადგენილ ნორმებს.

ქვემოთ წარმოდგენილია პარამეტრული (ციფრობრივი) მონაცემები, ცხრილების სახით.

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონების
 სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
 მუბოსტნეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 7

რისკის განმპირო- ბებული ფაქტორ- პოზიციები	მეურნეობათა ჯგუფი	პარამე- ტრები	რისკის მიზანშეწო- ნილობის ეკონომიკუ- რი ზღვრის სინთეზირე- ბული მაჩვენებელი (კოეფიციენ- ტი) SR	რისკის უკუგების დონის სინთეზი- რებული მაჩვენე- ბელი (კოეფიცი- ენტი) SL	პროპორც იულო- ბის კოეფი- ციენტი SL / SR
სპეციალი- ზაციის კოეფიციენ- ტი	1*	0,21-0,40	0,41	1,53	3,73
	2	0,41-0,60	0,54	1,07	1,98
	3	0,61-1,00	0,51	1,04	2,04
ფართობი (ჰა)	1*	0,1-2,0	0,48	1,26	2,63
	2	2,1-4,0	0,49	1,05	1,54
	3	4,1 და ზევით	0,52	1,03	1,98
მოსავლია- ნობა ც/ჰა	1	1-100	0,51	1,10	2,16
	2*	101-200	0,45	1,22	2,71
	3	201 და ზევით	0,49	1,18	2,41
1 ცენ- ტნერიპრო- დუქციის სარეალიზა- ციო ფასი (ლარი)	1*				
	2	15-50	0,45	1,33	2,96
	3	51-100	0,56	0,82	1,41
		101 და ზევით	0,54	0,83	1,53

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
 მევენახეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 8

რისკის განმპირობებელი ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა კატეგორია	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SR	რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SL	პროპორციულობის კოეფიციენტი SL / SR
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1	0,20-0,40	0,71	1,50	0,70
	2	0,41-0,60	0,67	0,50	0,75
	3*	0,61 და ზევით	0,62	1,05	1,69
ფართობი (ჰა)	1	0,5-3,0	0,75	0,48	0,64
	2	3,1-10	0,82	0,31	0,38
	3*	10,1 და ზევით	0,37	1,93	5,21
მოსავლიანობა ც/ჰა	1	40-65	0,80	0,29	0,36
	2*	66-100	0,53	1,15	2,17
	3	101 და ზევით	-1,26	-0,20	0,16
1 ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1	30-50			
	2*	51 და ზევით	0,68 0,58	0,52 1,31	0,76 2,26

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
 მეზილეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 9

რისკის განმპირობებ ელი ფაქტორ- პოზიციები	მეურნეობათა კატეგორია	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SR	რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SL	პროპორციის კოეფიციენტი SL / SR
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1*	0,40-0,60	0,53	1,24	2,34
	2	0,61-1,00	0,57	1,26	2,21
ფართობი (ჰა)	1	1,0-3,0	0,62	1,08	1,74
	2*	3,1-5,0	0,47	1,56	3,32
	3	5,1 და ზევით	0,52	1,06	2,04
მოსავლიანობა ც/ჰა	1	40-60	0,69	0,44	0,64
	2	61-150	0,65	0,74	1,14
	3*	151 და ზევით	0,42	1,92	4,57
1 ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციის ფასი(ლარი)	1	30-40	0,54	1,23	2,28
	2*	41-60	0,26	2,91	11,2
	3	61 და ზევით	0,69	0,44	0,64

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
 მეციტრუსეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 10

რისკის განმპირობებელი ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა კატეგორია	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SR	რისკის უკუგების ღონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SL	პროპორციული კოეფიციენტი SL / SF
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1*	0,00-1,00	0,43	2,32	5,39
ფართობი (ჰა)	1	0,1-1,0	0,66	0,58	0,88
	2*	1,1-2,0	0,56	1,32	2,36
მოსავლიანობა ც/ჰა	1	22-150	0,62	1,43	2,31
	2*	151-250	0,44	1,33	3,02
	3	251 და ზევით	0,72	0,39	0,54
1 ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1	28-30	0,66	0,56	0,84
	2*	31 და ზევით	0,48	1,07	2,22

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონების
 სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
 მემარცვლები მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 11

რისკის განმპირობებელი ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა ჯგუფი	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SR	რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SL	პროპორციის კოეფიციენტი SL / SR
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1	0,30-0,50	0,59	0,75	1,27
	2	0,51-0,70	0,68	0,57	0,84
	3*	0,71 და ზევით	0,52	1,22	2,35
ფართობი (ჰა)	1	1-20	0,70	0,50	0,71
	2*	21-50	0,45	1,23	2,73
	3	51-80	0,64	0,72	1,13
	4	81 და ზევით	0,79	0,29	0,37
მოსავლიანობა ც/ჰა	1	1-20	0,85	0,23	0,27
	2	21-30	0,72	0,44	0,61
	3*	31 და ზევით	0,51	1,11	2,18
1 ცენტნერი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1	30-51	0,70	0,54	0,77
	2*	51-60	0,43	1,63	3,79
	3	61 და ზევით	0,63	0,58	0,92

რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების
 სინთეზირებული მაჩვენებლები სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციების მიხედვით
 მეცხოველეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში

ცხრილი 12

რისკის განმპირობებელი ფაქტორ-პოზიციები	მეურნეობათა კატეგორია	პარამეტრები	რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SR	რისკის უკუგების დონის სინთეზირებული მაჩვენებელი (კოეფიციენტი) SL	პროპორციული კოეფიციენტი SL / SR
სპეციალიზაციის კოეფიციენტი	1	0,30-0,50	0,58	0,88	1,52
	2	0,51-0,70	0,55	0,91	1,65
	3*	0,71 და ზევით	0,44	1,28	2,91
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (სული)	1	10-50	0,65	0,66	1,02
	2*	51-100	0,51	1,02	2,00
	3	101 და ზევით	0,79	0,31	0,39
ფურების სულადობა (სული)	1	1-30	0,56	0,93	1,66
	2*	31-50	0,45	1,22	2,71
	3	51 და ზევით	0,51	0,95	1,86

საშუალო წველადობა ერთ ფურზე (კგ)	1	1-1000	0,45	1,22	2,71
	2	1001-1500	0,58	0,85	1,46
	3*	1501 და ზევით	0,46	1,18	2,57
1 ცენტნერი პროდუქცი- ის სარეალიზა- ციო ფასი (ლარი)	1	10-60	0,65	0,64	0,98
	2*	61-80	0,51	1,13	2,22
	3	81 და ზევით	0,53	0,94	1,77

ამრიგად, გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა საქართველოს პირობებში პირველად დაგვედგინა სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობისა და ეკონომიკური უკუგების დონის სინთეზირებული-ოპტიმიზირებული პარამეტრები, სხვადასხვა საწარმოო მიმართულების ფერმერული მეურნეობებისათვის, არსებით ფაქტორ-პოზიციათა შესაბამისად, რაც უნდა მივიჩნიოთ პრაქტიკული (გამოყენებითი) ხასიათის სტრატეგიულ მეცნიერულ რეკომენდაციებად, რომელიც საწარმოო და ეკონომიკურ-ორგანიზაციული პირობების ცვლილებისდაკვალად, ეტაპობრივად უნდა კორექტირდებოდეს და სრულყოფილი ხდებოდეს.

4.7. სამეურნეო რისკის მართვის მეთანიზმი საქართველოს შერეული მეურნეობებისათვის

4.7.1. ამონაწერი პოზიციები და მეთოდოლოგიური ასაქმები

რისკის, როგორც მეწარმეობის შინაგანი შემადგენლის ანა-ლიზს მივყავართ მისი რაობის და ეკონომიკური შინაარსის უფრო ღრმა გაგებადღე.

რისკის შესახებ მეცნიერებაში დაგროვილ გამოკვლევებზე დაყრდნობით შეიძლება შეიქმნას მისი, როგორც ეკონომიკის თანა-მედროვე ფენომენის კონცეფცია. რისკის ანალიზი და მისი მართვის შესაძლებლობების შექმნა ხელს უწყობს პოტენციურად ეფექტიანი სამეწარმეო სტრუქტურების ჩამოყალიბებას და მათ მდგრად ფუნქციონირებას.

სარისკო გადაწყვეტილებების მიღების მეთოდოლოგიური სქემა იყოფა ორ მსხვილ ბლოკად:

რისკის შეფასება და/ან ანალიზი;

- რისკის მართვა.

პირველი ბლოკის ამოცანაა საფრთხეების იდენტიფიკაცია, ზემოქმედებისა და მისი შედეგების შეფასება, რისკის დახასიათება და მისი სხვა რისკებთან შედარება, მისაღებობის ხარისხის განსაზღვრის და მართვის პრიორიტეტების შესაბამისად.

მეორე ბლოკის ამოცანაა რისკის შემცირების და კონტროლის სამოქმედო გეგმების დამუშავება, მათი ეფექტიანობის შეფასება და რისკის შემცირების და კონტროლის გადაწყვეტილებების მისაღებად რეკომენდაციების შემუშავება.

ასეთ თეორიულ მიდგომას აშშ-ის მთელ რიგ სამეცნიერო პუბლიკაციებში უწოდებენ რისკის ანალიზის მეთოდოლოგიას, ან რაც ჩვენი აზრით უფრო მართებულია, რისკის შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგიას.

ამჟამადაც, გრძელდება მრავალი წლის წინ დაწყებული დისკუსიები იმის თაობაზე, თუ რას მოიცავს რისკის ანალიზი, რისკის შეფასება და რისკის მართვა. ეს ბუნებრივია, რადგან რისკის

ანალიზი და რისკის მართვა ახალი მეცნიერული მიმართულებებია, რომელთა ჩამოყალიბების სტადია ჯერ არ დასრულებულა. გამოიყენება სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომა და სქემა, რომლებიც აღწერენ ურთიერთმოქმედებას რისკის შეფასების, ანალიზისა და მართვის პროცედურებს შორის.

რისკის ანალიზი ფართო გაგებით მოიცავს სხვადასხვაგვარ გამოკვლევას განსხვავებული საფრთხეების საიდენტიფიკაციოდ, სხვადასხვა ბუნების რისკის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების განსაზღვრას, მათ შედარებას, დასაშვებობის და მისაღებობის ხარისხის განსაზღვრას, სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის პრობლემებს და ამოცანათა სხვა ჯგუფებს, რომელთა განსხვავებული მეთოდებით გადაჭრა საშულებას იძლევა აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოთ რისკის შემცირების, მისი კონტროლის და საერთოდ რისკის მართვის გადაწყვეტილებების მიღების რეკომენდაციების შემუშავების პროცესი.

რისკის ანალიზი ვიწრო გაგებით გულისხმობს რისკის დახასიათებას და შეფასებას, გასაანალიზებელი, რაოდენობრივად შეფასებული მნიშვნელობების შედარებას რისკის სხვა სახეობებთან, მისაღებობის ხარისხის განსაზღვრის და მართვის პრიორიტეტების შემუშავების მიზნით.

უნდა განიმარტოს რისკის კატეგორიასთან დაკავშირებული ახლებური მიდგომის ტერმინ-პოზიციები.

რისკის კონცეფციები ეს არის შეხედულებათა სხვადასხვაგვარი სისტემა, რისკთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების გაგება. მიუხედავად იმისა, რომ “რისკი” უკვე მრავალი წელია რაც ხმარებაში შემოვიდა და მის ირგვლივ ბევრი გამოკვლევაც შესრულდა, მაინც არ არსებობს მისი უნივერსალური განსაზღვრება. ერთი მხრივ, ეს არ არის გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნებისმიერი დეფინიცია თავისთავად შეზღუდულია და პირობითია. მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელია რაიმე პროცესის ან მოვლენის შესწავლა, კვლევის პროცესის საგნის განსაზღვრის გარეშე. ქვემოთ შეძლებისდამავარად ვეცდებით, რისკის არსებული ძირითადი კონცეფციების სისტემატიზაციას და ამ ცნების ურთიერთკავშირის გაანალიზებას მონათესავე კატეგორიებთან.

ტერმინის “რისკი” წარმოშობა ბუნდოვანია. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს მის არაბულ წარმომავლობას. რისკი ძველი იტალიურიდან

("risicare") ითარგმნება როგორც "გაბედა". ევროპაში იგი უკვე, შუა საუკუნეების წყაროებში გვხვდება, ძირითადად ზღვაოსნობაში და საზღვაო ვაჭრობაში. ახალლათინური "risicum" უკვე XV საუკუნის ბოლოს გვხვდება, მაგრამ ლიტერატურულ წყაროებში უფრო გვიან, წიგნის ბეჭედიან განვითარებასთან ერთად ჩნდება: განმარტებით ლექსიკონებში მაგალითები რისკის სფეროდან განეკუთვნება XVI საუკუნის შუახანებს გერმანიაში და XVII საუკუნის მეორე ნახევარს ინგლისში.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში რისკი ახსნილია როგორც მოსალოდნელი საფრთხე, საშიშროება, ალაღბულზე მოქმედება, ბედის ცდა, სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა.

თანამედროვე ინგლისური ენის ოქსფორდის მოკლე ლექსიკონში რისკი განმარტებულია როგორც საფრთხის, დანაკარგების, ზარალის ან სხვა არახელსაყრელი შედეგების ალბათობა ან შესაძლებლობა.¹⁴

ოქსფორდის უნივერსიტეტის ეკონომიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში რისკი განმარტებულია როგორც სიტუაცია, როცა რაიმე მოქმედების რეზულტატი არაცხადი და არაცალსახაა და მოსალოდნელია აღნიშნული რეზულტატის სხვადასხვა, მათ შორის სახიფათო, დაგვირგვინება. ტერმინი "რისკი" ჩვეულებრივ გამოიყენება განუსაზღვრელობის აღსაწერად, ისეთ სიტუაციაში, როცა რაიმე მოქმედების ფაქტიური რეზულტატი ზუსტად არ არის ცნობილი და ივარაუდება, რომ ის გაირკვევა შემთხვევითი შერჩევით რამდენიმე ვარიანტიდან, რომელთა განაწილებაც ცნობილია.¹⁵ ამ განმარტებაში მოცემულია ყველა ის ძირითადი ელემენტი, რომელიც შედის რისკის თანამედროვე გააზრებაში. ეს არის საფრთხე, განუსაზღვრელობა და/ან შემთხვევითობა. თუ არ არსებობს საფრთხე, არც რისკი არსებობს. რისკის არსებობისთვის აუცილებელია საფრთხე ან, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი შესაძლებელი რეზულტატის ან სიტუაციის განვითარების არასასურველობა. მაგრამ, რეზულტატს ახასიათებას ჩვენი ცოდნის და არსებული ინფორმაციის უკმარობასთან დაკავშირებული განუსა-

¹⁴ The Concise Oxford Dictionary of Current English. – 9th ed. Clarendon Press. Oxford. 1995. p.1189.

¹⁵ Black John. Dictionary of Economics. – Oxford University Press. Oxford. 1998, p.967.

ზღვრელობა. რეზულტატზე გავლენას ახდენს სხვადასხვა შემთხვევითი ფაქტორი.

მოკლედ და თანამედროვე ყოველდღიურ გამოყენებასა და გაგებასთან მიახლოებულად არის განმარტებული რისკი ს.ოუეგოვის რუსული ენის ლექსიკონში: შესაძლებელი საფრთხე, ალაღბელზე მოქმედება იღბლიანი შედეგის მოლოდინში, მოსალოდნელი უსიამოვნებების თავის თავზე აღება.¹⁶

რისკის მეცნიერული გამოყენების სფეროები მრავალმხრივია, ამიტომ, ხშირად, ერთი და იგივე ცნებას სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინებში სხვადასხვა აზრობრივი დატვირთვა აქვს, რასაც მივყავართ რისკის მეცნიერული კონცეფციის მრავალფეროვნებაზე. სათანადო ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს რისკის შემდეგი კონცეფციები და განმარტებები:

განუსაზღვრელობის (გაურკვეველობის) სიტუაცია; გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა; პოტენციური საფრთხე; მოქმედება ალტერნატივის არსებობისას; პირობები ან პირობათა კრებული, რომლებსაც თავი უნდა ავარიდოთ; საწარმოს მართვისას არახელსაყრელი სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა და სხვა.

გეონომიკურ თეორიაში რისკის ცნება გულისხმობს მოვლენის წარმოქმნის პოტენციურ შესაძლებლობებს ობიექტის ფუნქციონირების გარე და შიდა გარემოს განუსაზღვრელობის პირობებში, რომელიც ექვემდებარება რაოდენობრივ და თვისებრივ შეფასებას.

ფართოდ გამოიყენება რისკის კონცეფცია *მათემატიკურ სტატისტიკაში*, *გადაწყვეტილებათა მიღების თეორიაში* და *მათემატიკურ გეონომიკაში*, სადაც რისკი განმარტებულია როგორც არასაიმედოობასთან გაიგივებული თვისებრივი ცნება, ისეთი სიდიდე, რომელიც რაოდენობრივად იზომება.

თანამედროვე *დისციპლინათშორისი* გაგებით, ტერმინი რისკი გააზრებულია როგორც ზარალის ალბათობა და მისი სიდიდე, მაშინ როდესაც თვით რისკის პრობლემა გაგებულია როგორც ამ ზარალის მომტანი გადაწყვეტილებების მიღებისას შეცდომების თავიდან აცილების ხერხი. ამჟამად, თანამედროვე მეცნიერებაში გაბატონებულია ცნება "რისკი"-ის ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც გაიაზრებს რისკს

¹⁶ Ожегов С.И. Словарь русского языка. М.: Гос. Изд-во иностр. и нац. словарей, 1949. с.718.

როგორც არახელსაყრელი მოვლენის დადგომის შესაძლებლობას (აღბათობას) და/ან ასეთი მოვლენის რაოდენობრივ სიდიდეს.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რისკის მეცნიერული კონცეფციების არსებული მრავალფეროვნება არ იძლევა მისი უნიფიცირებული ცნების შემოტანის საშუალებას, რომელიც მისაღები იქნებოდა ნებისმიერი სამეცნიერო საზოგადოებისათვის და კვლევის ნებისმიერი მეცნიერული სფეროსთვის.

რისკის ცნება განუყრელად არის დაკავშირებული განუსაზღვრელობასთან რომელსაც, რიგ შემთხვევებში, დაუსაბუთებლად განიხილავენ რისკის სინონიმად, რაც ნაკლებად მისაღებია ეკონომიკური და მართვის მეცნიერებებისათვის.

განუსაზღვრელობაში იგულისხმება ინფორმაციის არასისრულე ან არასაკმარისი სიცხადე რაიმე საქმიანობასა და შედეგზე. ის ობიექტურად არსებობს ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში.

ჯერ-ერთი,-განუსაზღვრელობა შეიძლება ხასიათდებოდეს სიტუაციის უცოდინარობით, ანუ სრული და ამომწურავი ინფორმაციის უქონლობით (არ არსებობით), ეკონომიკური სუბიექტის ფუნქციონირების მდგომარეობის და იმ ფაქტორების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ მისი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

მეორეც,-განუსაზღვრელობა შეიძლება გამოიხატოს შემთხვევითობის ფაქტორით, ე.ი. ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის გარკვეული რეზულტატების დადგომით, რომელთა პროგნოზირება და განჭვრეტა შეუძლებელი იყო მიღებული გადაწყვეტილებების მიუხედავად და დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მესამეც,- განუსაზღვრელობა შეიძლება გამოიხატოს წინააღმდეგობის ფორმით, ე.ი. დროული ამომწურავი ინფორმაციის უქონლობით იმ სუბიექტების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოცემული ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობას.

ამრიგად, რისკი მჭიდროდ არის დაკავშირებული განუსაზღვრელობასთან, რადგან ორივე ტერმინი ისეთ სიტუაციის აღწერს, როდესაც არ არსებობს განსაზღვრელობა რომელიმე შემთხვევის შედეგთან დაკავშირებით. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ განსხვავება რისკსა და განუსაზღვრელობას შორის დაიყვანება შესასწავლი სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობაზე.

რისკის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფნაითი, რომელმაც 1921 წელს პირველმა განასხვაა “რისკი” და “განუსაზღვრელობა”, ხაზს უსვამდა რისკის პრინციპულ გაზომვადობას და განმარტავდა მას როგორც “გაზომვად განუსაზღვრელობას”. ამასთან, ასეთი განუსაზღვრელობის ხარისხი, ანუ რაიმე არახელსაყრელი მოვლენის დადგომის ალბათობა შეიძლება რაოდენობრივად დადგინდეს საკუთრივ განუსაზღვრელობისგან (ანუ “განუზომვადი განუსაზღვრელობისგან”) განსხვავებით, რომელიც გულისხმობს გაზომვის შეუძლებლობას, კერძოდ, მომავალი მოვლენების მიმართ.¹⁷ ამ თვალსაზრისით, ტერმინი “რისკი” აუცილებელია გამოიყენოთ მაშინ, როცა ცნობილია იმ შემთხვევითი სიდიდის განაწილება, რომლის მეშვეობით ხდება სარისკო სიტუაციის მოდელირება, ე.ი. თუ შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ მოვლენის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრა, მაშინ უნდა ვისაუბროთ რისკზე, წინააღმდეგ შემთხვევაში – განუსაზღვრელობაზე.

რისკის მეშვეობით აღწერილი სხვადასხვა სიტუაციის საერთო თვისებები და ნიშნები ასახულია რისკის ზოგად მეცნიერულ გაგებაში, რომელიც თანამედროვე დისციპლინათმორის დონეზე გამოყენებულ რისკის ანალიზის მეთოდოლოგიის კონცეფციაში გაიაზრება როგორც “სიტუაციის ან მოქმედების დახასიათება, როდესაც შესაძლებელია მრავალი შედეგი, არსებობს განუსაზღვრელობა კონკრეტული შედეგის მიმართ და, სულ ცოტა, ერთ-ერთი შესაძლებლობა მაინც არის არასასურველი.”¹⁸ აქ სინთეზირებულია რისკისთვის ნიშანდობლივი მთავარი მახასიათებლები: საფრთხე, ან უფრო რბილად – არასასურველობა, განუსაზღვრელობა და/ან შემთხვევითობა, ალტერნატიულობა და არა ცალსახობა; ერთი მხრივ, მდგომარეობა (სიტუაცია) ან მოქმედება, მეორე მხრივ, რისკის სფეროს მთავარი საგნობრივი შემადგენლები: სიტუაცია და მოქმედება.

¹⁷ Knight, Frank H. The Meaning of Risk and Uncertainty. In: F.Knight. Risk, Uncertainty, and Profit. Boston: Houghton Mifflin Co, 1921, p.210–235; Хаїт. Фрэнк Хайнеман. Понятие риска и неопределенности // THESIS: теория и история экономических и социальных институтов и систем. 1994. № 5. С. 12-28

¹⁸ Covello V.T., Merkhofer M.W Risk Assessment Methods. Approaches for Assessing Health and Environmental Risks. Plenum Press, New York and London, 1993, p.38.

რისკის ანალიზისა და მართვის საკითხებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში ცნება “რისკი“-ის რამდენიმე სახის განმარტება და გაგება გვხვდება, რომლებიც პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1.რისკი უკავშირდება შესაძლებელ საფრთხეს, ალაღებდზე მოქმედებას ილბლიანი შედეგის მისაღებად;

2.რისკი განიხილება როგორც ზიანის, ზარალის, დანაკარგების შესაძლებლობა;

3.რისკი განიმარტება გადაწყვეტილებათა მიღების თეალსა-ზრისით და პირდაპირ არის დამოკიდებული ამა თუ იმ მდგომარეობის ალბათობაზე.

ამ დაჯგუფებას უნდა მოერგოს შემდეგი სახის განმარტებები:

“რისკი არის ისეთი განუსაზღვრელობა, რომელიც ვაელებას ახლებს ინდივიდების კეთილდღეობაზე და ხშირად დაკავშირებულია არახელსაყრელი მდგომარეობის ან დანაკარგების შესაძლებლობასთან.”¹⁹

“რისკი არის არა უბრალოდ განუსაზღვრელობა, არამედ ისეთი, რომელიც მხედველობაში უნდა მივიღოთ ამა თუ იმ ქმედების განზორციელებისას, რადგან მას შეუძლია ვაელებას მოახდინოს ადამიანების მატერიალურ კეთილდღეობაზე.”²⁰

“კატეგორია “რისკი” შეიძლება განვსაზღვროთ როგორც რესურსების დაკარგვის ან ნაკლები მოგების მიღების პოტენციურად შესაძლებელი ალბათური საფრთხე იმ ვარიანტთან შედარებით, რომელიც გათვლილია რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, სამეწარმეო საქმიანობის მოცემულ სახეობაში. სხვა სიტყვებით - რისკი არის საფრთხე, რომ მეწარმე დაზარალდება დამატებითი დანახარჯების სახით, ან ნაუარაუდევზე ნაკლებ შემოსეულს მიიღებს.”²¹

¹⁹ Managing Risk in Farming: Concepts, Research, and Analysis. By Joy Harwood, Richard Heifner, Keith Coble, Janet Perry, and Agapi Somwaru. Market and Trade Economics Division and Resource Economics Division, Economic Research Service, U.S. Department of Agriculture. Agricultural Economic Report No. 774, 2001, p.2.

²⁰ Боди Зви, Мертон Роберт. Финансы/Уч. пос.: пер. с англ. – М.:

Издательский дом «Вильямс», 2000, с.328.

²¹ Јапуста М.Г., Шаршукова Л.Г. Риски в предпринимательской деятельности - М.: ИНФРА-М, 1998, С. 56.

“რისკი არის საწარმოს გეგმების რეალიზაციის მსლულობას და ბიუჯეტის შესრულებისას არახელსაყრელი სიტუაციების წარმოქმნის შესაძლებლობა.”²²

“რისკი არის არა პროცესი ან საქმიანობა, არამედ მოვლენა, რომელიც აყვანილია რა ეკონომიკური კატეგორიის რანგში, საშუალებას გვაძლევს დაეხასიათოდ საწარმოს საქმიანობაში მიღებული სამეურნეო გადაწყვეტილებების ხარისხი, დასახული მიზნის მიღწევის ხარისხის თვალსაზრისით.” გამოიყოფა სამეურნეო რისკის ასეთი განმარტებაც: “სამეურნეო რისკი არის ცნება, რომელიც გამოიყენება მიზანმიმართული სამეურნეო საქმიანობის ხარისხის, კონკრეტულად- ამოსავალი სიტუაციის, გადაწყვეტილებების მომზადების და მიღების პროცესების, აგრეთვე საწარმოს საქმიანობაში მიღებული სამეურნეო გადაწყვეტილებების რეალიზაციის შედეგების დასახასიათებლად.”²³

“რისკი არის იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანის მოქმედება ან მისი რეზულტატები მიგვიყვანს ნეგატიურ ან პოზიტიურ შედეგებამდე.”²⁴

ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მართვის პირველ ქართულ სახელმძღვანელოში “რისკისოლოგია” ეკონომიკური რისკი განმარტებულია როგორც “აღბათობა განსაზღვრული სამაწარმეო, ფინანსური და არაკომერციული საქმიანობის განხორციელების შედეგად, ზარალია წარმოშობის ან შემოსავლების სრული მოცულობით მიუღებლობის აღბათობა პროგნოზირებულ ვარიანტთან შედარებით.”²⁵

მოტანილი განმარტებების უმრავლესობა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს და, შეიძლება ითქვას, რომ მათ აერთიანებს რამდენიმე საერთო თვისება, კერძოდ: რისკი უშუალოდ არის დაკავშირებული

²² Тэлман Л.Н. Риски в экономике: Учеб. пособие для вузов / Под ред. проф. В.А.Швандара. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2002, с.8.

²³ Качалов Р.М. Управление хозяйственным риском / Р.М. Качалов. - М.: Наука, 2002. - 192 с. (Экономическая наука современной России). С. 24.

²⁴ Вишняков Я.Д. Общая теория рисков: учеб. пособие для студ. высш. учеб. заведений/Я.Д. Вишняков, Н.Н.Радаев. – М.: Издательский центр «Академия», 2007, с. 22.

²⁵ ცაავა გიორგი, აბრამია თონა, ცაავა დავით. რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი/სახელმძღვანელო. – თბილისი: აუხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, 2007, გვ.36.

გადაწყვეტილებათა მიღებასთან; გადაწყვეტილებათა არჩევა ხორციელდება განუსაზღვრელობის პირობებში; თითოეულ ალტერნატიულ გადაწყვეტილებას გააჩნია განსაზღვრული ალბათობა; რისკი უკავშირდება დანაკარგების ან ზარალის შესაძლებლობას.

მიგვაჩნია, რომ რისკის ზემოთ მოტანილ განმარტებებს საჭიროა დაემატოს რამდენიმე არსებითი მოსაზრება. ჯერ-ერთი, რისკი არის არა მარტო დანაკარგების, არამედ მოგების შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით რისკს ორი მხარე გააჩნია: პირდაპირი, რაც გულისხმობს მიღებული გადაწყვეტილებების ხელსაყრელი შედეგების და დამატებითი მოგების მიღების შემთხვევას და შექცეული არახელსაყრელი შედეგებისა და ზარალის შემთხვევას. მეორეც- განუსაზღვრელი სიტუაცია არ არის რისკის წარმოქმნის აუცილებელი პირობა. სარისკო სიტუაცია მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, ამა თუ იმ ინდივიდუუმებისა და ადამიანთა ჯგუფების მიმართ, როცა შესაძლებელი მოძავალი მოვლენები გავლენას მოახდენს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რისკი არის შედეგების განუსაზღვრელობა, რომელთა გადაჭრაც გავლენას მოახდენს მიღებული გადაწყვეტილებების რეზულტატებზე, რასაც შეუძლია გამოიწვიოს როგორც დანაკარგები, ისე მოგება. განუსაზღვრელობა კი შეიძლება განემარტოთ როგორც არასრული (არასაკმარისი) ცოდნა.

რისკის მართვის საკითხები, ანუ რისკ-მენეჯმენტი²⁶ საკმაოდ კარგად არის შესწავლილი საბანკო და სადაზღვევო საქმიანობაში, ხოლო აგრარულ სექტორში რისკის მართვის თეორია ჯერ კიდევ დასამუშავებელია. ამასთან დაკავშირებით დასავლეთის მოწინავე ქვეყნების აგრარიკოს-ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ არა მოგების, არამედ სარისკო სიტუაციების მართვაზე.²⁷

პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერება რისკის პირობებში. ეროვნული ეკონომიკის აგრარულ სექტორში საბაზრო

²⁶ უკანასკნელ ხანებში სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინი “რისკ-მენეჯმენტი”

²⁷ აგრარულ სექტორში რისკის მართვის მნიშვნელომაზე მიუთითებს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში სპეციალური სტრუქტურული ერთეულის – რისკის მართვის სააგენტოს (Risk Management Agency) არსებობა

ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში მწვავეება წინააღმდეგობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესსა და რისკის მართვის სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტიანობას შორის. დადასტურებით უნდა ითქვას, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებები უნდა მუშავდებოდეს არა მარტო ბუნებრივი, არამედ ეკონომიკური რისკის პირობებში. ამ პრობლემის გადასაჭრელად სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს (ფერმერებს) უნდა შეეძლოთ მოსალოდნელი რისკის შეფასება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, უნდა ფლობდნენ მისი მართვის თანამედროვე ზერხებსა და მეთოდებს.

სასოფლო-სამეურნეო, ისევე როგორც ნებისმიერი წარმოების პროცესში რისკის მართვა (რისკ-მენეჯმენტი) წარმოადგენს მოსალოდნელი შედეგის განუსაზღვრელობის დონის გამოვლენის პროცესს, რაც იწვევს სამეწარმეო საქმიანობის შედეგებზე შემთხვევითი ფაქტორების არახელსაყრელი ზემოქმედების მინიმიზაციას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შანსების ზრდას, რისკის შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

რისკ-მენეჯმენტი წარმოადგენს სტრატეგიული მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილს. ყველა სამეწარმეო სტრუქტურისათვის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) რისკის მართვა წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს) “კარგი მენეჯმენტის” განუყოფელ ნაწილს. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმითაა გაპირობებული, რომ სამეწარმეო საქმიანობის წარმატებული გაძღოლა მოითხოვს არა მარტო ცხად წარმოდგენას რისკის ყველა წყაროს შესახებ, არამედ იმასაც, რომ სარისკო სიტუაციების გათვალისწინებას თან ახლდეს მათი ნეგატიური ზემოქმედების შემასუსტებელი ღონისძიებების დამუშავება

სამეცნიერო ლიტერატურაში²⁸ ანსხვავებენ რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიასა და ტაქტიკას. რისკ-მენეჯმენტის სტრატეგია გულისხმობს დასახული მიზნის მისაღწევად სახსრების გამოყენების ზერხებს და მეთოდებს. რისკ-მენეჯმენტის ტაქტიკა წარმოადგენს კონკრეტულ პირობებში დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულ მართვის კონკრეტულ ზერხებს და მეთოდებს. მართვის ტაქტიკის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო მეთოდებისა და ზერხების გამოყენებით მივიღოთ ოპტი-მალური გადაწყვეტილებები.

²⁸ Холмс Эндру. Риск-менеджмент / Пер. с англ. – М.: Эксмо, 2007, с.62.

რისკ-მენეჯმენტის საერთო კომპლექსში²⁹ უნდა გამოიყოს რისკის მართვის შემდეგ ძირითად ეტაპები.

1. მიზნის განსაზღვრა და წანამძღვრების შექმნა. ეს ეტაპი გულისხმობს ზოგადი მიზნებისა და პარამეტრების დადგენას, რომელის ფარგლებშიც უნდა იქნეს შესწავლილი რისკი ან რისკის ჯგუფები და მიღებულ იქნას შესაბამისი გადაწყვეტილებები. ამ ფარგლებში მოიაზრება სტრატეგიული და ორგანიზაციული ასპექტები.

სტრატეგიული ასპექტები- ეს, უწინარეს ყოვლისა არის ურთიერთობების განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და მის გარემოს შორის, საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარების დადგენა.

ორგანიზაციული ასპექტები გულისხმობს მიზნების და ამოცანების დადგენას სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მართვის სხვადასხვა იერარქიული საფეხურებისათვის და მათ შორის პასუხისმგებლობის განაწილებას სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებათა მიღებისათვის. ასეთი განაწილების დედაარსი ის არის, რომ ამა თუ იმ რისკის მართვის გადაწყვეტილება, ამ რისკის ტიპისაგან დამოკიდებულებით, პრაქტიკულად განხორციელდეს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ.

2. რისკის იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს იმ რისკთა ნუსხა, რომელთა მიმართაც შეიძლება მიდრეკილი იყოს სასოფლო-სამეურნეო საწარმო, გამოვლინდეს თუ რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი და რომელი ნაკლებად. გარდა ამისა, რისკის იდენტიფიკაციის მიზანს წარმოადგენს იმ მოვლენების (როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი) გამოძვლავნება, რომლებსაც შეუძლიათ არსებითი გავლენის მოსდენა საწარმოს ფუნქციონირებაზე, მათი დადგომის შემთხვევაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემაა როგორცაა: როდის, რატომ და როგორ დადგება რისკთან დაკავშირებული მოვლენები, და როგორ შეუძლია საწარმოს მათზე რეაგირება.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში რისკის სხვადასხვა სახეობის გამოვლინების მრავალფეროვნების და სპეციფიკის, მათი ფართო ხასიათის გათვალისწინებით, რისკის იდენტიფიკაცია და, მით უმეტეს მასზე ადეკვატური რეაგირება, საკმაოდ რთული ამოცანაა.

²⁹ Arrow, K.J. The Theory of Risk-bearing: Small and Great Risks//Journal of Risk and Uncertainty. 1996, #12 (3), p.107.

3. *რისკის ანალიზი*. რისკის ანალიზი მოიცავს ორი ქვეეტაპს: ა) რისკის დადგომის შესაძლებლობის განსაზღვრა, მისი ალბათობის თვალსაზრისით; ბ) შესაძლო შედეგების შეფასება. სხვა სიტყვებით, არაფორმალური ანალიზის თვალსაზრისით აუცილებელია გამოვავლინოთ, თუ რომელი რისკია “ძალიან ალბათური” და რომელი “ნაკლებად ალბათური”, აგრეთვე შევაფასოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოზე მისი ზემოქმედების შესაძლო შედეგები (“არაარსებითი”, “სერიოზული”, “კატასტროფული” და ა.შ.). ასეთი არაფორმალური ანალიზის ძირითადი ამოცანაა განვაცალკევოთ ის რისკი, რომელიც წარმოადგენს “ნაკლებად ალბათურს” და “არაარსებითს”, “ძალიან ალბათური” და “კატასტროფული” რისკისგან და ამ უკანასკნელს დაუთმობთ განსაკუთრებული ყურადღება.

4. *რისკის შეფასება*. ეს ეტაპი მჭიდროდ არის დაკავშირებული და მოსდევს რისკის ანალიზს. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ რისკს, რომლისთვისაც რისკის მართვის არსებული მეთოდები გამოუსადეგარია და ამიტომ აუცილებელია მისი სპეციფიკური ღონისძიებების შემუშავება. შეფასება ეყრდნობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობის ყოველმხრივ შესწავლას, რისკის შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს. რისკის მისაღებობის შეფასებისას მეტად მნიშვნელოვანია მისი საპირისპირო მაჩვენებლის – რისკის მიუღებლობის ღონის განსაზღვრა. ამ ანალიზისას გამოიყენება მეთოდების ფართო წრე, რომლებიც პირობითად ორ ჯგუფად იყოფა: საექსპერტო და მათემატიკური მეთოდები.

5. *რისკის მართვა*. ეს ეტაპი მოიცავს ისეთი ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც მიმართულია შესაძლო რისკის ალბათობის შემცირებაზე, მის გამორიცხვაზე ან მისი თავიდან აცილების მცდელობაზე, აგრეთვე მისი დადგომის შემთხვევაში რისკის შედეგების სერიოზულობის შემცირებაზე.

რისკის ეფექტური მართვა გულისხმობს შესაძლო სიძნელეების განჭვრეტასა და პროგნოზირებას და არახელსაყრელი შედეგების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვას. ამრიგად, რისკის მართვის ორი მთავარი ასპექტი შემდეგია: ა) მეურნეობრიობის არახელსაყრელი პირობების დადგომის შესაძლებლობების განჭვრეტა და პროგნოზირება და ასეთი პირობების გამოვლენის ალბათობის შემცირების ღონისძიებების შემუშავება; ბ) არახელსაყრელი შედეგების დადგომის

შემთხვევაში მათი უარყოფითი გავლენის შემცირების ღონისძიებების შემუშავება.

ცალკე უნდა გამოიყოს საკითხი მისაღები რისკის კონცეფციის შესახებ. რისკის რაოდენობრივი გაზომვა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მისი მიდამო ანუ ზონა, ამასთან, ლიტერატურაში ტერმინების “რისკის მიდამო” და “რისკის ზონა” ეკონომიკური მნიშვნელობა იდენტურია და განსაზღვრავს ბაზრის საერთო დანაკარგების ისეთ არეალს, რომლის ფარგლებში ეს დანაკარგები არ აჭარბებს დადგენილი ღონის ზღვრულ მნიშვნელობას.³⁰

რისკის ანალიზი, ალბათური შეფასებების ჩათვლით, არ იძლევა პასუხს კითხვაზე “რამდენად სახიფათოა ან უსაფრთხოა?” საბოლოო სიტყვა ეკუთვნის რისკ-მენეჯერებს – განსაჯონ რამდენად უსაფრთხოა და დაადგინონ მისაღები ღონე მრავალი კრიტერიუმის მიხედვით ხელსაყრელობისა და რისკის სხვადასხვა ასპექტებზე დაყრდნობით.

უკანასკნელ დროს, აღნიშნულმა მიდგომამ ფართო გავრცელება ჰპოვა საზღვარგარეთ, რისკის მართვის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მიდგომის შესაბამისად რისკის მნიშვნელობის მთელი სპექტრი ე.წ. “შუქნიშნის” პრინციპის შესაბამისად დაყოფილია სამ მიდამოდ: დაუშვებელი (გადაჭარბებული) რისკის “წითელი” მიდამო; მისაღები რისკის “ყვითელი” მიდამო; უგულველყოფადი რისკის “შვანე” მიდამო.

თუ რისკის შეფასებისას დადგინდა, რომ მისი სიდიდე იმყოფება “დაუშვებელი” რისკის ზონაში, მაშინ საწარმოს მეპატრონეებმა უნდა მიიღონ სერიოზული ზომები რისკის მისაღებ ღონემდე შესამცირებლად. თუ რისკის შეფასებისას დადგინდა, რომ მისი სიდიდე იმყოფება მისაღები და მიუღებელი რისკის ზონების გამყოფი “ორ წრფეს” შორის, მაშინ საწარმოს მეპატრონეებმა რისკის შესამცირებლად უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც გონიერულად ითვლება პრაქტიკული თვალსაზრისით: აქ, იგულისხმება ის, რომ ამ ზომების გატარება არ მოითხოვს გაუმართლებლად დიდ დანახარჯებს ან ძალისხმევას. ეს

³⁰ Бьков А.А., Акимов В.А. Нормативно-экономические модели управления риском // Проблемы анализа риска. Т.1, №2, 2004, с. 129-131; Купицына Н.Н. Экономическая динамика и риски. – М.: Редакция журнала “Экономика сельскохозяйственных и перерабатывающих предприятий”, 2002, с. 16.

არის ე.წ. ARA/ALARP-ის (As Low As Reasonably Applicable/Practicable) პრინციპი. რისკის მართვისადმი ასეთი მიდგომა გულისხმობს მის მაქსიმალურად შემცირებას, რაც მიიღწევა რეალურად არსებული (შეზღუდული) რესურსების ხარჯზე.

ამრიგად, საზღვარგარეთის პრაქტიკაში გამოყენებული ნორმატიული მიდგომის საფუძველს წარმოადგენს “დაუსვებელი” (ან “გადაჭარბებული”) რისკის ცნების შემოღება. “დაუსვებელი” (ან “გადაჭარბებული”) რისკის მიდამოს შემოღება იმთავითვე ეფუძნებოდა ინდივიდუურობისათვის (გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის) რისკის მაქსიმალურად დასაშვები დონის (მდლ) ცნებას. რისკის მდლ უნდა იყოს საკმარისად დაბალი, რათა არ გამოიწვიოს ინდივიდუუმის რაიმე შეშფოთება.

მოცემული საკითხის შესახებ მეცნიერთა შეხედულებების³¹ ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია რისკის შემდეგი მიდამოების გამოყოფა.

ურისკო მიდამო – მას შეესაბამება ნულოვანი დანაკარგების დონეზე გათვლილი მოგების მიღება.

მინიმალური რისკის მიდამო – მას ახასიათებს დანაკარგების ისეთი დონე, რომელიც არ აღემატება წმინდა მოგების ზომას. ამ მიდამოში შესაძლებელია სხვადასხვა საქმიანი ოპერაციების განხორციელება, ასევე აქ შესაძლებელია მცირეოდენი დანაკარგების შემთხვევები, მაგრამ მიიღება წმინდა მოგების ძირითადი ნაწილი. ყველაზე უარესი რაც შეიძლება მოხდეს, მთელი წმინდა მოგების დაკარგვა და აქციების შესაბამისი დივიდენდების გაცემის შეუძლებლობა, თუმცა დაიფარება საწარმოს ყველა ხარჯი და გადაიხდება ყველა გადასახადი.

მომატებული რისკის მიდამო (დასაშვები რისკის ზონა) – აქ სამეწარმეო საქმიანობა ინარჩუნებს თავის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას, ანუ შესაძლო დანაკარგები გათვლილ მოგებაზე ნაკლებია. ამ მიდამოში შესაძლებელია საწამო (ასევე კომერციული და ფინანსური) საქმიანობა, მათ შორის მიღებული კრედიტების ხარჯზე.

³¹ Холмс Эндрю. Риск-менеджмент / Пер. с англ. – М.: Эксмо, 2007, с.135; Тэймап Л.Н. Риски в экономике: Учеб. пособие для вузов / Под ред. проф. В.А.Швайлара. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2002, с.32; Хозяйственный риск и методы его измерения: Пер. с венг. / Бачкаи Т., Мессна Д., Мико Д. и др. – М.: Экономика, 1979, с.79.

საწარმო რისკავს, რომ თავისი საქმიანობის შედეგად უარეს შემთხვევაში მხოლოდ ყველა დანახარჯს დაფარავს, უკეთესში – გათვლილზე გაცილებით ნაკლებ მოგებას მიიღებს.

კრიტიკული რისკის მიდამო ხასიათდება ისეთი დანაკარგების შესაძლებლობით, რომელთა მოცულობა აღემატება მოსალოდნელი მოგების მოცულობას. ასეთი რისკი არასასურველია.

დაუსულებელი (კატასტროფიული) რისკის მიდამო მას ახასიათებს დანაკარგების ისეთი ღონე, რომელიც აღემატება კრიტიკულს და შეუძლია გაუტოლდეს საწარმოს მთლიანი ქონების სიდიდეს. ამ რისკმა შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს სრული გაკოტრება, მისი დახურვა და ქონების გაყიდვა.

ამრიგად, რისკის შეფასებისა და მართვის ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიური სქემა, მიუხედავად იმისა, რომ სისტემური ხასიათისაა, ჯერ კიდევ მოითხოვს საგანგებო სამეცნიერო სამუშაოების გაგრძელებას, მისი შემდგომი სრულყოფისა და ახალი, პროგრესული მიდგომების მომარჯვებული გამოყენების მიზნით. ამ საკითხის გადაწყვეტას სოფლის მეურნეობა საკმაოდ სპეციფიკურ გარემოს უქმნის, რომელიც ზედმიწევნით გათვალისწინებას მოითხოვს.

● აგრარული სექტორში ჯაჭვის “წარმოება, გადაამუშავება, დისტრიბუცია, მოხმარება” მონაწილეთა მთავარი მიზანია იმ რისკის შემცირება ან გადანაწილება, რომელიც იწვევს დასაშვებ ღონეზე მაღალ დანაკარგებს. მოცემული ჯაჭვი ასევე ეყრდნობა ეკონომიკური სარგებლობის მოლოდინს და შესაძლო რისკის ზემოქმედების ადეკვატურ შეფასებას. აგრარული სექტორის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ცალკეულ პარტნიორთა საქმიანობის შედეგები პირდაპირ გავლენას ახდენს მთელი სისტემის ეფექტიანობაზე. მაგალითად, გადამამუშავებელი საწარმოს საინვესტიციო პროექტის ამოგება პირდაპირ არის დამოკიდებული ნედლეულის არსებობაზე პროექტის მთელი ვადის განმავლობაში. არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა, ან სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების მიერ წარმოების სტრუქტურის შეცვლამ, შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს გადამამუშავებლის საქმიანობის შედეგებზე.

აგრარულ სექტორში რისკის ბუნებისა და ზემოქმედების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მისი რამდენიმე ძირითადი სახეობა:

საწარმოო რისკო-ნედლეულის წარმოება და გადამუშაება,
დისტრიბუცია;

მარკეტინგული (ფასითი) რისკი – ფასები, დისტრიბუცია, მომხმარებლების მოთხოვნილებები და სურვილები;

ფინანსური რისკი – წარმოების რენტაბელობა, ფინანსური რესურსების ღირებულება, დავალგაცია, ინფლაცია;

იურიდიული და ინფრასტრუქტურული რისკი – იურიდიული, სამუშაო ძალა, გარემო, საზოგადოებრივი პოლიტიკა.

მოყვანილი ჩამონათვალი არ არის სრული, მაგრამ ის გვიჩვენებს, თუ რამდენად რთულია რისკის განსაზღვრისა და თითოეული აგრობიზნეს საწარმოს მართვის სტრატეგიის დამუშავების პროცესი.

საწარმოო რისკი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საქმიანობაზე. ახალი და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება კი არ გამორიცხავს რისკს, არამედ ცვლის მათ ბუნებას. ირიგაცია, ახალი ჯიშები, მცენარეთა დაცვის საშუალებები კლიმატური პირობების, ავადმყოფობების და მავნებლების ზემოქმედების შემცირების საშუალებას იძლევა, სამაგიეროდ, მოთხოვს მეტ სპეციალურ ცოდნას, დამატებით ფინანსურ რესურსებს და საწარმოს საგულდაგულო მართვას.

გადამუშავებელ საწარმოთა ხელმძღვანელობა ხანდახან ცდილობს საწარმოო რისკის მინიმიზაციას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებთან თანამშრომლობით. ასეთი თანამშრომლობის ძირითად სახეობებს წარმოადგენს ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურების შექმნა და საწარმოო კონტრაქტების დადება. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს სახეობები ხელს უწყობს ყველა თანამშრომელი მხარის სტაბილურ მუშაობას. ინტეგრაციისა და საწარმოო კონტრაქტების ნეგატიურ მხარეს წარმოადგენს ბაზარზე არსებული სიტუაციის მიუხედავად საკუთარი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა.

უმთავრესად არახელსაყრელი კლიმატური პირობებით გამოწვეულ მოუსავლიან წლებში, მწარმოებელს აქვს საშუალება მაღალ ფასებში გაყიდოს თავისი პროდუქცია. ის საწარმო, რომელსაც აქვს წარმოების მაღალი კულტურა და აზღვევს მოსავალს, მაღალ შემოსავალს იღებს, რადგან მომხმარებელი თანახმაა მეტი გადაიხადოს პროდუქციაში. ასეთ შემთხვევაში გადაამუშავებლებს და დისტრიბუტორებს რისკი გადააქვთ

მომხმარებლებზე. ასეთი რისკის მართვის ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს სხვა ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტი.

პროდუქციის ჭარბი მიწოდებისას, შუამავლები და გადამამუშავებლები ამცირებენ შესასყიდ ფასებს, რადგან უკეთ იცნობენ სამომხმარებლო ბაზრებს და არ სურთ თავის თავზე მარკეტინგული რისკის აღება. ასეთ სიტუაციაში შესაძლო გამოსავალს წარმოადგენს პროდუქციის შენახვა, რაც მისი მალფუჭადი სახეების შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამასთან, მწარმოებლებს ჩვეულებრივ არ გააჩნიათ საკუთარი შესაბამისი მოცულობის საცავები, ან არ შეუძლიათ შენახვის სათანადო რეჟიმის უზრუნველყოფა. ამრიგად, პროდუქციის ჭარბწარმოების პირობებში მარკეტინგული რისკები გადადის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამავლები, გადამამუშავებლები და დისტრიბუტორები, რომლებიც წარმოადგენენ აგრარული სექტორის ჯაჭვის შუალედურ რგოლს, ყოველთვის თავის თავზე იღებენ ფინანსური რისკის ნაწილს. ფინანსური რისკის – დეველუაციის, ინფლაციის, კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდის დადგომის შემთხვევაში, აგრობიზნეს ჯაჭვის შუალედურ რგოლს რისკის ნაწილის სხვა რგოლებზე გადაცემის მეტად შეზღუდული საშუალებები აქვს. სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი პროდუქციის ბაზარი ჩვეულებრივ არაელასტიურია³² და ფასების მკვეთრი მატება ან შემცირება არ იწვევს შესაბამის სამომხმარებლო რეაქციას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები გამოდიან მთელი აგრობიზნეს სექტორის მაკომპენსირებელ და გარანტორ რგოლად. მათ სურთ პროდუქციის მაქსიმუმის წარმოება შემოსავლების მაქსიმუმის მისაღებად. ეს ზრდის პროდუქციის მიწოდებას ბაზარზე და იწვევს ფასების შემცირებას. ასეთი სიტუაცია ნელდღეული პროდუქციის არსებობის გარანტიას იძლევა და გადამამუშავებელ და საეაჭრო კომპანიებს ნელდღეულზე ფასების რისკის მართვის საშუალებას აძლევს. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მიერ

³² მოთხოვნის ელასტიურობა არის მოთხოვნის ცვალებადობა სხვადასხვა ფაქტორების გავლენით. თუ კი ფასების ცვლილება არ იწვევს მოთხოვნილი პროდუქციის რაოდენობის შესაბამის ცვლილებას (პროცენტულ გამოსახულებაში) ითვლება, რომ მოთხოვნა არაელასტიურია

პროდუქციის მიწოდების მაღალი დონე იცავს მომხმარებლებს კვების პროდუქტების არსებობის რისკისგან.

მსოფლიოში ფერმერთა უმრავლესობა განსაზღვრავს მარკეტინგულ (ფასით) რისკებს როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს და არსებითს, რაზეც დამოკიდებულია მათი მეურნეობების გადარჩენა (სიცოცხლისუნარიანობა). ბაზრების მახასიათებლები და მათი ორგანიზაციის ხარისხი გავლენას ახდენს რისკის გადანაწილების დონეზე და შესაძლებლობაზე. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის მარკეტინგული რისკის კრიტიკულობას:

➤ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები თავის პროდუქციას აწვდიან შედარებით არაელასტიურ ბაზრებს;

➤ ფასითი ინდიკატორები (მაგ., მიწოდების კონტრაქტები) ან არ არსებობს, ან ფასებს განსაზღვრავს ბაზრები, რომლებზეც დომინირებს რამდენიმე დიდი ფირმა ან ორგანიზაცია (მაგ., აშშ-ის ფიუჩერსების ბაზრი, მარცვლეულით საერთაშორისო ვაჭრობა);

➤ ინტეგრაციამ აგრარულ სექტორში გაზარდა პარტნი-ორთა უმრავლესობის გავლენა ბაზარზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისა და საბოლოო მომხმარებლების გარდა. მწარმოებელი იძულებულია მიიღოს გადაამამუშავებელის მიერ შეთავაზებული ფასები, ან ეძებოს პროდუქციის გასაღების ალტერნატიული არხები. მომხმარებლებს მხოლოდ შეუძლიათ შეუთანხმონ საჭონლის ფასები თავიანთ სურვილებს და შესაძლებლობას გადაიხადონ ამა თუ იმ კვების პროდუქტის ფასი. ბაზარზე გავლენის გამო, ინტეგრირებულ სისტემებს დიდი საშუალებები აქვთ გადაიტანონ მათთვის მიუღებელი რისკი აგრობიზნეს ჯაჭვის განაპირა რგოლებში- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებსა და საბოლოო მომხმარებლებზე.

პროდუქციის ფასის რისკის მართვა ხორციელდება ფიუჩერსების და კონტრაქტების ბაზრებზე და სპოტ³³ ბაზრებზე. ასეთ ბაზრებზე ჩვეულებრივ დომინირებს რამდენიმე მყიდველი, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად განსაზღვრონ ხელშეკრულებითი ურთიერთობების პირობები – მიწოდების ფასი, რაოდენობა, პირობები და ხარისხობრივი სპეციფიკაციები. შესაბამისად, ფასების ფორმირება დიდ და ტევად

³³ სპოტი გარიგების ნაღდი, დაუყოვნებელი (ხელშეკრულების დადებიდან ორი საუშუაო დღის განმავლობაში) ანგარიშსწორება

ბაზრებზეც კი ხდება ან პროფესიონალი სუბიექტების მცირე რაოდენობის, ან სპეკულანტების (ტრეიდერები, გადამამუშავებლები, ბირჟები) მასის მიერ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მზარდი დანახარავები იწვევს მომხმარებლებისათვის საცალო ფასების ზრდას. ამავე დროს, აღნიშნული დანახარავებისა და ნედლეულის შესასყიდი ფასების შემცირება გაცილებით ნელა აისახება პროდუქტების საცალო ფასებზე ან საერთოდ არ იწვევს ფასების ცვლილებას.

აგრარულ სექტორში რისკის მართვისას მის სუბიექტებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტები. გამოყენების მიზნებისა და პირობებისგან დამოკიდებულებით შეიძლება გამოვყოთ ინსტრუმენტების სამი ძირითადი ჯგუფი:

- მმართველობითი გადაწყვეტილებები;
- კერძო სექტორის მომსახურება/ინსტრუმენტები;
- სახელმწიფოებრივი პროგრამები.

ეს ინსტრუმენტები შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთმანეთთან კომბინაციაში. მაგალითად, საწარმოო რისკის მართვაში დასახმარებლად, გადამამუშავებელ საწარმოებს შეუძლია შექმნან აგრონომიული სამსახურები და კონსულტაციები გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს. ასეთი მიდგომა გამოიყენება კანადის ბანკების მიერ ბოლო ოცი წლის განმავლობაში, როცა კლიენტებთან ბანკის კრედიტ-მენეჯერის სახით მუშაობენ აგრონომები და ვეტერინარები.³⁴ აგრონომ-კრედიტ-მენეჯერს შეუძლია სათანადოდ გააკონტროლოს კლიენტის საწარმოო პროცესი, კონსულტაციები გაუწიოს მას და, რისკის დადგომის შემთხვევაში, დროულად გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები არახელსაყრელი მოვლენების შედეგების მინიმიზაციისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მართვისას რისკის შესამცირებლად აუცილებელია სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რომლის საფუძველს წარმოადგენს:

³⁴ An Overview of Canada's Business Risk Management Programming. D. Foster, Canadian Department of Agriculture. [http://enesa.nmapa.es/International Conference on "Farm Insurance as a Risk Management Tool"](http://enesa.nmapa.es/International_Conference_on_Farm_Insurance_as_a_Risk_Management_Tool) Madrid, Spain. November 15-17, 2006

➤ დანახარჯებისა და შემოსავლების ანალიზი, რისკის შეფასება;

➤ საწარმო-მარკეტინგული სტრატეგიები (სპეციალიზაცია, დივერსიფიკაცია, ინტეგრაცია, მარაგების მართვა, საწარმოო და მარკეტინგული კონტრაქტების დადება, ინფრასტრუქტურის განვითარება, პროდუქციის ხარისხის/უსაფრთხოების მართვა, კანონმდებლობის ნორმების დაცვა და სხვა);

➤ აგრარული სექტორის სტრუქტურებში მონაწილეობა, ინტეგრაციის ხარისხის (ინვესტიციები, შერწყმები, გაერთიანებები და ა.შ.) მართვა.

კერძო სექტორს შეუძლია სხვადასხვა სახის მომსახურება შეთავაზოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, მაგრამ ამჟამად საქართველოში აგრარულ სექტორში რისკის მართვის ინსტრუმენტების კერძო სექტორი პრაქტიკულად განუვითარებელია, შესაბამისად, აგრარული სექტორის ჯაჭვის ყველა მონაწილე დამოუკიდებლად მართავს საკუთარ რისკს და არ/ვერ იყენებს ერთობლივ შესაძლებლობებს.

აგრარულ სექტორში პროდუქტების ფასების, მწარმოებლების შემოსავლების სტაბილიზაციისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი ჩარევითი (ინტერვენციული) ღონისძიებები სხვადასხვა სახით შეიძლება გატარდეს. მათი მოკლევადიანი და რეაქტიული³⁵ ბუნების გამო, ამ ღონისძიებებს შეზღუდული გავლენა აქვს სექტორში სტრუქტურული გრძელვადიანი ცვლილებების ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს ინფრასტრუქტურული ინვესტიციები (ტრანსპორტი, პროდუქციის შენახვის სიმძლავრეები, კრედიტები საექსპორტო ბაზრების განვითარებისათვის) კვლევით, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებებთან ერთად წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებას აგრარული სექტორის მდგრადი განვითარებისათვის. ამიტომ, სასურველია, სექტორში განვითარებისა და რისკის მართვის სახელმწიფოებრივი პროგრამები შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

➤ მოსავლის დაზღვევისა და მწარმოებლების დაკრედიტების პროგრამების სუბსიდირება;

³⁵ რეაქტიულობაში აქ ჩვენ ვგულისხმობთ კონკურენტული გარემოს განვითარებისა და ბაზრის ყველა სუბიექტისათვის თანაბარი პირობების შექმნისათვის სახელმწიფოებრივი პროგრამების შემზღუდველ ხასიათს

➤ გადაშლევები ფონდები, კატასტროფული მოვლენების შედეგად მიღებული ზარალის დაფარვის ფონდები;

➤ პროდუქტის სათანადო ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფი საინსპექციო მომსახურება;

➤ მოთხოვნის სტიმულირების პროგრამები (შესყიდვები სარეზერვო ფონდებში, საქესპორტო კრედიტები, ბაზრების განვითარება);

➤ სატრანსპორტო და სადისტრიბუციო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები;

➤ კვლევითი საქმიანობა, საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს რეგულატორულ პოლიტიკას და კანონმდებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრარული სექტორისათვის. რეგულატორული ღონისძიებებისა და საკანონმდებლო აქტების გაურკვეველობა, უკმაობა (პალიატიურობა) მხოლოდ აუარესებს სექტორის მდგომარეობას და ამრავლებს რისკს.

რისკის მიღება ეკონომიკური სარგებლობით უნდა იყოს გამყარებული იმ სუბიექტისთვის, ვინც თავის თავზე იღებს რისკს.³⁶ ამასთან, პოტენციური სარგებლობა უნდა შეესაბამოდეს რისკის ეკონომიკურ ღირებულებას. თუ კი აგრარული სექტორის შუალედური პარტნიორები მოახდენენ იმაზე მეტი რაოდენობისა და მოცულობის რისკის იდენტიფიცირებას, ვიდრე მათ თავის თავზე შეუძლიათ აღება, ისინი ეცდებიან ამ რისკის გადატანას აგრარული სექტორის ჯაჭვის განაპირა სუბიექტებზე- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებსა და საბოლოო მომხმარებლებზე. ხშირად ეს იწვევს სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების პროდუქციის შესასყიდი ფასების შემცირებას და საბოლოო მომხმარებლებისათვის კვების პროდუქტებზე ფასების ზრდას.

სახელმწიფოებრივი რეგულირება (ჩარევა/ინტერვენციები) და პროგრამები საშუალებას იძლევა ნაწილობრივ შემცირდეს რისკის გავლენა აგრარულ სექტორზე. ამისათვის შესაძლებელია ისეთი

³⁶ რისკის მიღება არის სტრატეგია, რომელიც მდგომარეობს სუბიექტის მიერ შესაძლო რისკების, მათი დადგომის ალბათობის და პოტენციური ზარალის/მოგების არშილების განსაზღვრაში, აგრეთვე რისკების ზემოქმედების შეცირების ღონისძიებების დაგეგმვასა და არახელსაყრელი მოვლენების შედეგების აცილებისათვის საჭირო სახსრების გათვლაში

პროგრამებისა და საკანონმდებლო დოკუმენტების გამოყენება, რომელიც მიმართული იქნება რისკის ფაქტორების მართვაზე. მაგრამ ასეთი ღონისძიებები ჩვეულებრივ არ იძლევა რისკის არაადეკვატური განაწილების ძირითადი მიზეზების დაძლევის საშუალებას.

რისკის მართვისა და განაწილების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის ადეკვატური ღონის უზრუნველყოფა ჯაჭვის “წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია, მოხმარება” ყველა რგოლში. ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს და კვლევითი საქმიანობის, საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის მოცემული სექტორის განვითარებისათვის.

დღეს საქართველო დგას აგრარულ სექტორში რისკის მართვის სისტემის, როგორც სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორის, ჩამოყალიბების ზღურბლზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გატარებული ცვლილებები იყოს თანმიმდევრული და განხორციელდეს სტაბილური კანონმდებლობისა და ჯაჭვის “წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია, მოხმარება” ყველა რგოლში ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

4.7.2. რისკის მართვის მეთანიზმი ფარმაცეუტიკული მუხრანობებისათვის

სამეწარმეო რისკის მართვა უნდა ხდებოდეს ეტაპობრივად, რომელთა შორის მთავარია: რისკის ანალიზი, რისკის კონტროლი, რისკის დაფინანსება.

რისკების ხარისხობრივი (თვისებრივი) ანალიზი წარმოადგენს ყველა შესაძლო სახის რისკის გამოვლენას, მისი მთავარი ამოცანაა განისაზღვროს რისკის ფაქტორები, სამუშაოთა ის ეტაპები, რომელთა შესრულებისას იგი წარმოიშობა. ხარისხობრივი (თვისებრივი) შეფასება დაკავშირებულია ეკონომიკურ ინტერესებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გაეღენასთან, დროით ფაქტორებთან, ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დონეებზე ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებასთან.

რისკის რაოდენობრივი ანალიზი – არის რისკის კონკრეტული სახეების რიცხობრივი განსაზღვრა როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში. ნებისმიერი რისკის რაოდენობრივი შეფასების საფუძველს წარმოადგენს დამოკიდებულება დანაკარგთა განსაზღვრულ ზომებსა და მათი წარმოშობის ალბათობას შორის. ეს დამოკიდებულება გამოისახება დანაკარგთა კონკრეტული დონის ალბათობათა მრუდის სახით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რისკის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღებასთან დაკავშირებული მეწარმის სტრატეგიის რამოდენიმე ვარიანტი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მეწარმის პიროვნებასთან. მეწარმის პიროვნებასთან დაკავშირებული რისკი იმით განისაზღვრება, რომ მეწარმეებს გააჩნიათ განსხვავებული ცოდნა მეწარმეობის სფეროში, სამეწარმეო საქმიანობის გაძლოლის განსხვავებული ჩვევები და გამოცდილება, ცალკეული გარიგებების რისკიანობის მიმართ განსხვავებული მოთხოვნები და მიდგომები.

პირველი ვარიანტი – რისკის აცილება. ფაქტიურად იგი გვთავაზობს სამეწარმეო საქმიანობის სტაგნაციას, რადგან ამ შემთხვევაში მეწარმე ვერ მიიღებს დამატებით შემოსავალს, რაც მის მიზანს წარმოადგენს. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად რისკისთვის დამახასიათებელი დანაკარგების მნიშვნელოვანი პოტენციალისა, იგი წარმოადგენს შესაძლო მოგების წყაროსაც. ამიტომ მეწარმის მთავარი ამოცანაა არა საერთოდ რისკისთვის თავის არიდება,

არამედ რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, სახელდობრ, თუ რა ფარგლებში უნდა იმოქმედოს მან გარისკვის დროს.

მეორე ვარიანტი – რისკის მიღება. ეს სტატეგია გულისხმობს, რომ მეწარმე შეგნებულად მიდის რისკზე და მანამდე საქმიანობს, სანამ ზარალი დამდგარი რისკების შედეგად არ მიიყვანს მას აუნაზღაურებელ დანაკარგებებამდე.

ნულოვანი რისკის (“0”-რისკის) პრინციპი

“0”-რისკის პრინციპის შესაბამისად იგულისხმება ნებისმიერი რისკის მიუღებლობა, რაც არ უნდა მცირე იყოს ის და რა ხელსაყრელიც არ უნდა იყოს ის საზოგადოებისათვის.

რისკის მისაღებლობა

რისკის ანალიზი, ალბათური შეფასებების ჩათვლით, არ იძლევა პასუხს კითხვაზე “რამდენად სახიფათოა ან უსაფრთხოა?” საბოლოო სიტყვა ეკუთვნის პოლიტიკოსებს და რისკ-მენეჯერებს – განსაჯონ რამდენად უსაფრთხოა და დაადგინონ მისაღები დონე მრავალი კრიტერიუმის მიხედვით ხელსაყრელობის და რისკის სხვადასხვა ასპექტებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო დონეზე მისაღები რისკის კონცეფციაზე დაფუძნებული რისკის ანალიზის და მართვის მეთოდოლოგია პირველად ნიდერლანდებში იქნა მიღებული. აღნიშნულმა მიდგომამ უკანასკნელ დროს საზღვარგარეთ ფართო გავრცელება ჰპოვა რისკის მართვის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მიდგომის შესაბამისად რისკის (ინდივიდუალურის და სოციალურის) მნიშვნელობის მთელი სპექტრი ე.წ. “შუქიშნის” პრინციპის შესაბამისად დაყოფილია სამ არედ:

- დაუშვებელი (გადაჭარბებული) რისკის არე – “**წითელი**” არეალი;
- მისაღები რისკის არე – “**ყვითელი**” არეალი;
- უგულველყოფადი რისკის არე – “**მწვანე**” არეალი.

თუ რისკის შეფასებისას დადგინდა, რომ მისი სიდიდე იმყოფება “დაუშვებელი” რისკის ზონაში, მაშინ საწარმოს მენეჯერებმა უნდა მიიღონ სერიოზული ზომები რისკის მისაღებ დონემდე შესამცირებლად.

თუ რისკის შეფასებისას დადგინდა, რომ მისი სიდიდე იმყოფება მისაღები და მიუღებელი რისკის ზონების გამყოფი “ორი წრფის”

შორის, მამინ საწარმოს მეპატრონეებმა რისკის შესამცირებლად უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რაც გონივრულად ითვლება პრაქტიკული თვალსაზრისით: აქ იგულისხმება, რომ ამ ზომების გატარება არ მოითხოვს გაუმართლებლად დიდ დანახარჯებს ან ძალისხმევას. ეს არის ე.წ. ALARA/ALARP-ის პრინციპი.³⁷

ამრიგად, საზღვარგარეთის პრაქტიკაში გამოყენებული ნორმატიული მიდგომის საფუძველს წარმოადგენს “დაუშვებელი” (ან “გადაჭარბებული”) რისკის ცნების შემოღება. “დაუშვებელი” (ან “გადაჭარბებული”) რისკის მიდამოს შემოღება იმთავითვე ეფუძნებოდა ინდივიდუუმისათვის რისკის მაქსიმალურად დასაშვები დონის (მდლ) ცნებას. რისკის მდლ უნდა იყოს საკმარისად დაბალი, რათა არ გამოიწვიოს ინდივიდუუმის რაიმე შემოფოთება.

რისკის შედეგების და ალბათობის რაოდენობრივი შეფასება³⁸

№	რისკის სახეობა	შედეგი და ალბათობა
1	მინიმალური რისკის მიდამო	ხასიათდება გათვლილი მოგების შესაძლო დანაკარგებით 0-25%-ის ფარგლებში
2	მომატებული (დასაშვები) რისკის მიდამო	ხასიათდება გათვლილი მოგების შესაძლო დანაკარგებით 25-50%-ის ფარგლებში
3	კრიტიკული რისკის მიდამო	ხასიათდება გათვლილი მოგების შესაძლო დანაკარგებით 50-75%-ის ფარგლებში
4	დაუშვებელი (კატასტროფული) რისკის მიდამო	შესაძლო დანაკარგები მიახლოებულია საკუთარი სახსრების სიდიდესთან. რისკის კოეფიციენტი შეადგენს 75-100%-ს

³⁷ ALARA/ALARP (As Low As Reasonably Applicable/Practicable) – რისკის მართვისადმი მიდგომა, რომელიც გულისხმობს მის მაქსიმალურად შემცირებას, რაც მიიღწევა რეალურად არსებული (შეზღუდული) რესურსების სარჯზე.

³⁸ Гэпман Л.Н. Риски в экономике: Учеб. пособие для вузов / Под ред. проф. В.А.Швандара. – М.: ЮНИТИ-ДАТА, 2002, с.32

დასაშვები რისკის დონის შემდეგი ემპირიული სკალა³⁹:

რისკის სიდიდე ბალებში	გრადაციის დასახელება
0,0 - 0,1	მინიმალური რისკი
0,1 - 0,3	მცირე რისკი
0,3 - 0,4	საშუალო რისკი
0,4 - 0,6	მაღალი რისკი
0,6 - 0,8	მაქსიმალური რისკი
0,8 - 1,0	აზარტული რისკი

საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პირობებში ეკონომიკური სიტუაციის განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, აღნიშნული სკალის საფუძველზე ზემოთ მოტანილი მახასიათებლების გათვალისწინებით შეიძლება გამოვეყნოთ რისკის შემდეგი მიდამოები (ზონები):

რისკის სიდიდე ბალებში	რისკის მიდამოები
0,0 - 0,1	ურისკო მიდამო
0,1 - 0,3	მინიმალური რისკის მიდამო
0,3 - 0,4	დასაშვები რისკის მიდამო
0,4 - 0,6	კრიტიკული რისკის მიდამო
0,6-ზე მეტი	კატასტროფული რისკის მიდამო

საუბარი საწარმოს განსაზღვრულ მიდამოში მოხვედრაზე მაშინ, როცა დანაკარგებს უკვე აქვს ადგილი, რამდენადმე აზრს მოკლებულია (თუმცა გასაანალიზებლად და მომავალში გასათვალისწინებლად მათი განხილვა უაღრესად აქტუალურია). აუცილებელია ჯერ კიდევ სარისკო სიტუაციის დადგომამდე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განისაზღვროს, რომელ მიდამოში შეიძლება მოხვდეს საწარმო მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შემთხვევაში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მეურნე სუბიექტი შეძლებს შეაფასოს მათი მიზანშეწონილობა და მასზე ზემოქმედი არახელსაყრელი გადახრების შემცირების კონკრეტული მეთოდები.

³⁹ Хозяйственный риск и методы его измерения: Пер. с англ. / Бачкай Т., Месена Д., Мико Д. и др. - М.: Экономика, 1979, с. 79

რისკის შედეგებისა და ალბათობის რაოდენობრივი შეფასება⁴⁰

№	შედეგები	ალბათობა
1	შეზღუდული ან უმნიშვნელო გავლენა ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაზე – რამდენიმე ათასი დოლარის ფარგლებში	რისკის მატერიალიზაციის ალბათობა 25%-ზე ნაკლებია
2	გავლენის დაბალი ხარისხი ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაზე – რამდენიმე ათეული ათასი დოლარის ფარგლებში	რისკის მატერიალიზაციის ალბათობა 25-50%-ის ფარგლებშია
3	გავლენის მაღალი ხარისხი ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაზე – ბევრი ათეული ათასი დოლარის და, შესაძლოა, ასი ათას დოლარზე მეტის ფარგლებში	რისკის მატერიალიზაციის ალბათობა 50-75%-ის ფარგლებშია
4	გავლენის ძალიან მაღალი ხარისხი ორგანიზაციის ძირითად საქმიანობაზე – ასეულობით ათასი და, შესაძლოა, მილიონობით დოლარის ფარგლებში	რისკის მატერიალიზაციის ალბათობა 75%-ზე მეტია

მესამე ვარიანტი – რისკის მართვა, ე.ი. მისი გამოვლენა და შეფასება, აგრეთვე დანაკარგების მინიმიზაციის ან დამატებითი შემოსავლის მიღების ზომების დამუშავება და დანერგვა. სამეურნეო რისკის ოპტიმალური მართვა, ჩვენი აზრით, უნდა მოიცავდეს სტრატეგიულ და ტაქტიკურ მართვას. სტრატეგიული გადაწყვეტილებები გამოიხატება მართვადი სისტემის გაურკვევლობასთან და სტოქასტურობასთან მაქსიმალურად ადაპტირებული საბაზო პარამეტრების შერჩევაში, ხოლო ტაქტიკური მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების საშუალებას გვაძლევს.

სტრატეგიული ამოცანების გადაჭრისას მიზანშეწონილია საოპტიმიზაციო მეთოდების გამოყენება. წარმოების რეალური პირობების

⁴⁰ Холмс Эндрю. Риск-менеджмент / Пер. с англ. – М.: Эксмо, 2007, с. 134.

ადეკვატური ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები უნდა ითვალისწინებდენ აგრარულ სფეროში კვლავწარმოებითი პროცესის სტოქასტიკურ ბუნებას, კლიმატური, ეკონომიკური და სოციალური პირობების ცვალებადობას.

რისკის დაფინანსების ეტაპზე უნდა დამუშავდეს ღონისძიებათა სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვანწილად დაიფაროს ისეთი რისკებისგან მიღებული ფინანსური დანაკარგები, რომლებიც თავისი შედეგებით დაუშვებელია მეწარმისათვის, ან ის მათ ვერ აკონტროლებს. რისკის დაფინანსების მთავარი მიზანი მდგომარეობს მისი ღირებულების დროში ისეთ განაწილებაში, რომ შემცირდეს ის ფინანსური წნეხი, რომლის ქვეშაც მოყვება სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელი სერიოზული დანაკარგების შემთხვევაში. რისკის დაფინანსების შეაძლო ვარიანტებად უნდა განვიხილოთ სარეზერვო ფონდების შექმნა, რისკის გადაცემის სხვადასხვა ზერხების გამოყენება და ა.შ.

თანამედროვე პირობებში მდგრადი კონკურენტუნარიანობის მისაღწევად საოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება რისკისა და გაურკვეველობის პირობებში. სამეურნეო რისკის მართვის მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა და მათი პრაქტიკაში განხორციელება დაეხმარება სოფლის სამეწარმეო სტრუქტურებს არა მარტო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ რისკის ყველა წყაროს შესახებ, არამედ დაამუშაონ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სარისკო სიტუაციების უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას.

● რისკის მართვა სოფლის მეურნეობაში შესაბამისი მექანიზმის დამუშავებას მოითხოვს, რაც საკამოდ სპეციფიკური გადასაწყვეტია.

ეს მექანიზმი არ უნდა იყოს რთული და თითოეულ ფერმერულ მეურნეობას მისი ადვილად გამოყენება უნდა შეეძლოს.

საერთოდ, სქემატურად, რისკის მართვის მექანიზმი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

რისკის მართვის ტექნიკის ადგილის განსაზღვრა ფერბერული მუერნობის სტრატეგიაში

რისკ-მენეჯმენტის ეტაფის ფორმირება

რისკის პირველადი ანალიზის ჩატარება
(ეფულაზე არსებითი რისკების განსაზღვრა, ინტეგრალური რისკწარმოქმნელი ფაქტორების შეფასება)

რისკის მინიმიზაციის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება
(რისკის სუბიექტურა შეფასების გაოეალისწინება)

რისკის დეტალური ანალიზის ჩატარება
(შესაძლო დანაკარგების ალბათობის განსაზღვრა, რისკის დონეზე რისკწარმოქმნელი ფაქტორების გაცლენის ანალიზი)

რისკის შემცირების ღონისძიებათა შემუშავება
(ღონისძიებათა ეფექტიანობის შეფასება და მათი განხორციელების ფაქტორი შესაძლებლობები)

არაეფექტური (შეუსრულებადი) ღონისძიებები

გადაწყვეტილებათა მიღება საპროგნოზო პერიოდისათვის
(ღონისძიებათა კომპლექსური გაელების განსაზღვრა ფერბერული მუერნობის საფინანსო მდგომარეობაზე და შესაბამისი ცვლილებების შეტანა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში)

განსხორციელებელი ღონისძიებების კონტროლი და კორექტირება

შესწავლილი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომებისა და ჩენს მიერ, საქართველოს მასშტაბით ჩატარებული საგანგებო, კომპლექსური და მსხვილმასშტაბური გამოკვლევების საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა რისკის მართვის მექანიზმი, რომელიც არკვევს მისი გაწვევის დასაბუთებულობას, მიზანშეწონილობასა და გამართლებულობას, წარმოდგენილი იყოს შემდეგი ინტეგრირებული, გამოყენებითი (პრაქტიკული) ხასიათის სისტემით:

- ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების ტენდენციებისა და მოდიფიცირებული ეკონომიკური პარამეტრების დადგენა; რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრების დადგენა, სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა მიხედვით; რისკის უკუგების ღონეების დადგენა, სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა მიხედვით; რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვრებსა და უკუგების ღონეებს შორის არსებული პროპორციების დადგენა; რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების სინთეზირებული მაჩვენებლების განსაზღვრა.

მოკლე მეთოდოლოგიურ წინაღმდეგობას თუ მოვიშველიებთ (რაც დაწერილებით ნაშრომის შესაბამის განყოფილებაშია ასახული), უნდა ითქვას, სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვარის დადგენით ირკვევა, რომ რისკის პირობებში ყოველი 1 ლ. შემოსავალი მიიღება X ლარის დანახარჯის პირობებში, ანუ ყოველ მიღებულ (მისაღებ) 1 ლარ შემოსავალზე გასაწევი ხარჯების მაქსიმალური ზღვარია X ლარი.

რაც ნაკლებია ეს პარამეტრი, მით მეტი გამართლება აქვს რისკს (სარისკო ღონისძიების გატარებას).

ამის გარდა, რისკის უკუგების ღონის დადგენით აიხსნება ყოველ დახარჯულ ლარზე თუ რამდენი ლარი შემოსავალი მიიღება.

თუ ამ მაჩვენებელს გავამრავლებთ 100-ზე, მივიღებთ მოგებას, პროცენტობით.

უნდა განიმარტოს, რომ აღნიშნული სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია სარისკო გჯგუფების შედეგობრივ ნიშნებს შორის პროპორციების დადგენა, შესაბამისი კოეფიციენტების მეშვეობით, აგრეთვე ამ

თითოეული ჯგუფის ყველა ნიშნის სინთეზური (ოპტიმიზირებული) პარამეტრის შემოღება და დადგენა, რომელიც განზოგადებულად ასახავს საერთო რისკის (მისი ელემენტების ერთობლიობის) ერთიან, საბოლოო შედეგს.

პროპორციები რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკურ ზღვარსა და რისკის უკუგების დონეს შორის გვიჩვენებს ამ ორ მაჩვენებელს შორის დამოკიდებულების კანონზომიერებას და ასახავს მათი ურთიერთქმედების ტენდენციას, დგინდება მათ შორის დამოკიდებულების ოპტიმალური ფარგლები, რაც საქმოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია რისკის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით. ეს მიდგომა პირველად გამოიყენება საქართველოში და იგი მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე საჭირო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

იგი გვიჩვენებს რისკის უკუგებასა და მის მიზანშეწონილობას შორის არსებულ ფარდობით პროპორციას და ასახავს, რომ, რაც მაღალია პროპორციულობის კოეფიციენტი, მით მეტადაა გამართლებული რისკი ამა თუ იმ პოზიციის მიხედვით. ამ პარამეტრით დგინდება აგრეთვე ამ პროპორციების მერყეობის ფარგლები.

ეკონომიკური ზღვრისა და უკუგების დონეების ჩამოთვლილი პარამეტრები მართალია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგრამ მაინც არ გვიხატავს რისკის კომპლექსურ და სრულად, სხვადასხვა მიდგომათა ურთიერთშეწონასწორებულად შეფასების შეეჯერებულ სურათს.

ამისათვის საჭირო ხდება შემოტანილი იქნას ახალი მახასიათებელი რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების დონეების სინთეზური მაჩვენებლის სახით. რაც დაბალია რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრის სინთეზური მაჩვენებელი და რაც მაღალია რისკის უკუგების დონის სინთეზური მაჩვენებელი მით უფრო გამართლებულია სხვადასხვა ფაქტორ-პოზიციათა ერთობლიობით გაწეული რისკი.

რისკის მართვის მექანიზმის აღნიშნული ინტეგრირებული სისტემის ყველა ელემენტის კომპლექური განსაზღვრის (დადგენის) საფუძველზე ფერმერულ მეურნეობებს საშუალებს ეძლევათ მეცნიერულად დასაბუთებულად გასწიონ და მართონ რისკი, შესაბამისი ფაქტორ-პოზიციების გათვალისწინებითა და მათი შესაძლო რეგულირებით.

რისკის მართვის სისტემა მოიცავს, შერჩეული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით ახლებურად დანახულ რისკის ფაქტორ-პოზიციებს (რისკ-ფაქტორებს) ანუ ურთიერთდაკავშირებულ, ურთიერთშეწონასწორებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ მაჩვენებელთა რამდენიმე მსხვილ ჯგუფს, რომელიც იყოფა რისკის გაწვევის სელების (სარისკო ღონისძიებების) კატეგორიებად და იანგარიშება ცალკეული ფერმერული მეურნეობისათვის.

ფერმერულმა მეურნეობებმა რისკის დასაბუთებული მართვის მიზნით უნდა გამოიყონ შედეგი ძირითადი ფაქტორ-პოზიციები:

კონომიკურ-ორგანიზაციული ფაქტორ-პოზიცია

მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მაზსიათებლებს:

- წარმოების სპეციალიზაციის დონეს;
- წარმოების (მეურნეობის) სიდიდეს;
- ფონდურუნეველყოფის დონეს.

ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ფაქტორ-პოზიცია

(ტექნოლოგიური უსაფრთხოების პირობით) მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მაზსიათებლებს:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას;
საფინანსო-საკრედიტო ფაქტორ-პოზიცია, მოიცავს შემდეგ შესაფასებელ მაზსიათებლებს:

- მეურნეობის მდგრადობის დონეს;
- მეურნეობის გადახდისუნარიანობის დონეს;
- მეურნეობებში გაწეული დანახარჯების დონეს.

მარკეტინგული ფაქტორ-პოზიცია, მოიცავს შემდეგ შესაფასებელ

მაზსიათებლებს:

- საქონლის ფასის დონეს.

ჩენს მიერ, საქართველოს პირობებში პირველად შემუშავებულ, სოფლის მეურნეობაში სამეურნეო რისკის შეფასებისა და მართვის სრულიად ახალ მექანიზმს (სისტემას), რომელიც ეყრდნობა სპეციფიკურ ფაქტორ-პოზიციებს (რისკ-ფაქტორებს) წესრიგში მოჰყავს რისკის დასახვის, მისი კრიტერიუმების შერჩევის, შეფასების და ამის საფუძველზე მართვის მთელი პროცესი.

შერჩეული მაჩვენებლების მომარჯვებით დგინდება რისკის გაწვევით მიზანშეწონილია თუ არა ამა თუ იმ ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ტექნოლოგიური ან სხვა ხასიათის ღონისძიების გატარება, მიმართულების რეალიზაცია, ანდა სამუშაოთა შესრულება, რათა ამის შედეგად ნაკლებ დანაკარგებს ქონდეს ადგილი და მიღწეული იქნას მაღალი უკუგებაც (ეკონომიკური ეფექტი). საბოლოო ჯამში ამით დასტურდება, რომ გაწეულ რისკს, ამა თუ იმ კონკრეტული ნაბიჯის მიხედვით, გამართლება ჰქონდა და გარკვეული მოგებაც მოიტანა.

უნდა მივუთითოთ, რომ ფერმერულ მეურნეობებში აღნიშნული ფაქტორ-პოზიციები შეიძლება შეირჩეს და გამოიყოს მეტ-ნაკლები სისრულით. ფერმერულ მეურნეობათა საწარმოო სპეციფიკის, რესურსული პოტენციალის სტრუქტურისა და შემადგენლობის, ტექნოლოგიური გარემოს, საფინანსო-საანგარიშო, და წარმოების შედეგობრივი მონაცემების არსებული ტევადობისა და ხარისხის შესაბამისად და გათვალისწინებით.

ეს, იმას ნიშნავს, რომ ზოგ ფერმერულ მეურნეობას, ფაქტობრივი ვითარებისა და სათანადო მონაცემების არსებობისდა-კვალად, საშუალება ექნება სრულად გამოყოს აღნიშნული ფაქტორ-პოზიციები, ზოგი მეურნეობა კი რამდენიმე, ძირითადი ფაქტორ-პოზიციის ასახეასა და მასზე დაყრდნობას შესძლებს.

აღნიშნული გარემოება გაპირობებულია იმით, რომ დღევანდელ პირობებში ფერმერულ მეურნეობათა უმეტესობა არასრულყოფილად არის დაკომპლექტებული ძირითადი საწარმოო ფონდებით, არ, ანდა ვერ ღებულობს ვერც გრძელ და ვერც მოკლევადიან საბანკო კრედიტს, ამიტომაც არ გააჩნია ვალდებულებები მოზი-დულ სახრებზე. ამის გამო მეურნეობათა ამ ნაწილში შეუძლებელი ხდება გაანგარიშებული იქნეს ფონდურზრუნველყოფა და ფონდტევადობა, მდგრადობის და გადახდისუნარიანობის დონეები.

როგორც გამოკვლევებმა დაადასტურა, რეალურად ფერმერულ მეურნეობებში, მათი განვითარების დღევანდელი ტენდენციებისა და ტექნოლოგიური და რესურსული პოტენციალის გამოყენების ფაქტობრივი პირობებისა და ღონის მიხედვით, სამეურნეო რისკის შეფასებისა და მართვის მიზნით სრულიად დასაშვებია (და ამასთან რეალურად მისაღწევი) მხოლოდ შემდეგი ფაქტორ-პოზიციების გამოყოფა:

წარმოების საეკონომიკური დონე (მასში აკუმულირებულია მეურნეობის ფუნქციონირების ტენდენციები, საწარმოო მიმართულების დასაბუთებულობა და გამართლებულობა, მარკეტინგული მოთხოვნების შესაბამისად, ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ეფექტური გამოყენების ხარისხი, დარგთა რაციონალური შეთანაწყობა და ორიენტაცია მომავალზე);

მეურნეობის სიდიდე (მაში აკუმულირებულია ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობები, საწარმოო-რესურსული პოტენციალის გამოყენების დასაშვები ზღვრები და შესაძლებლობები, წარმოების მასშტაბურობის დასაშვები დონეები);

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა (მასში აკუმულირებულია მთელი ტექნოლოგიური და საწარმოო-რესურსული პოტენციალით უზრუნველყოფა, მათი გამოყენების ხარისხი და ეფექტი);

ძირითადი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (მასში აკუმულირებულია წარმოების ეფექტიანობის შედეგი, მომგებიანობა, მარკეტინგული მოთხოვნების დაცვის ფარგლები და გამართლებულობა, წარმოების კონკურენტუნარიანობა, საბაზრო სემპტების გაჯერების დონე, განვითარების სტრატეგიის მდგრადობის ნიშნები).

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით, რისკის მართვის ზემოთ ასახული მექანიზმის (სისტემის) ცალკეული ელემენტების მიხედვით დადგინდა რისკის გამართლებულობის, მიზანშეწონილობისა და მართვის სარეკომენდაციო, პარამეტრული სიდიდეები საქართველოში ფუნქციონირებადი ფერმერული მეურნეობების ძირითადი ტიპებისათვის, ზონალურ-დოფერენცირებული ნიშნის გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს ორიგინალურს და სტრატეგიულად მისაღებ პოზიციებს.

დაწვრილებითი, დოფერენცირებულ-ინტეგრირებული მონაცემები (შედეგები) ამის შესახებ წარმოდგენილია ზემოთ, ნაშრომის სპეციალურ თავებში.

ამ პარამეტრულ-სარეკომენდაციო და შეიძლება ითქვას საცნობარო-ნორმატიულ, სანიმუშო მონაცემებზე დაყრდნობით თითოეულ ფერმერულ მეურნეობას დამოუკიდებლად შეუძლია შეასრულოს საგანგებო და სპეციფიკური გაანგარიშებები და შექმნას სამეურნეო რისკის მართვის, მეურნეობის პირობების შესაბამისი, რეალურად მისაღები მექანიზმი—დასაბუთებული ეკონომიკური სიდიდეების მიხედვით, ადგილობრივი

ტექნო-ლოგიურ-რესურსული და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებითა და მარკეტინგული და სტრატეგიული მოთხოვნების მხედველობაში მიღებით.

გამოკვეთილად უნდა ითქვას, რომ რისკის მართვის სისტემის (მექანიზმის) ცალკეული პარამეტრული ელემენტების (მახასიათებლების) ამჟამად დადგენილი დონეები არ შეიძლება მივიჩნიოთ უცვლელად და ხელუხლებლად. იგი მოითხოვს ეტაპობრივ კორექტირებასა და სრულყოფას, რასაც განაპირობებს მეურნეობათა საწარმოო-რესურსული, ტექნოლოგიური და ფინანსური პოტენციალის დინამიური ცვლილებები, ტექნოლოგიურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, მარკეტინგული მოტივაციები, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოების შესაძლებლობები, სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნები.

4.8. ფერმერულ მეურნეობებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები

მოსახლეობის მიერ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ამა თუ იმ საკითხზე, წარმოადგენს საზოგადოებრივ აზრს.

საზოგადოებრივ აზრს ახასიათებს შემფასებლური ბუნება, რომელიც გამოხატავს სუბიექტების ინტერესს იმ პრობლემისადმი, რაზეც თავიანთ აზრს გამოთქვამენ რესპოდენტები.

საზოგადოებრივი აზრის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია შეიძლება მოპოვებული იქნას სტატისტიკური დაკვირვებით, დოკუმენტების შესწავლით, ანკეტური და ინტერაქტიული გამოკითხვით, ინტერვიუს საშუალებით და სხვა.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდებიდან, ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ ინტერვიუს მეთოდს.

ამ მიზნით ჩატარებულმა კვლევამ მოიცვა შემდეგი ეტაპები:

ინტერვიუს ორგანიზაციული გეგმის შედგენა, პროგრამის დამუშავება, ინტერვიუს (გამოკითხვის) ჩატარება, მასალების დამუშავება და მონაცემთა ანალიზი.

ფერმერულ მეურნეობებში სამეურნეო რისკის მართვის მექანიზმის ზოგიერთი საკითხის შესწავლის მიზნით სოციოლოგიური გამოკითხვისათვის შეირჩა 115 რესპოდენტი (ფერმერი), რომლებიც სამეურნეო საქმიანობას ეწევიან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ინტერვიუმ (გამოკითხვამ) მოიცვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა:

- ფერმერულ მეურნეობათა როლი ეკონომიკის განმტკიცებაში;
- მეცნიერების როლი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში;
- სოფლის მეურნეობაში აგროტექნოლოგიური მომსახურების, საგადასახადო სისტემის, მარკეტინგული გარემოს, მატერი-ალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის სრულყოფის საკითხები.

ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვით გამოვლინდა შემდეგი:

- გამოკითხულ რესპოდენტთა 64,7%-მა ჩათვალა, რომ ფერმერული მეურნეობა მისაღები ფორმაა, 26,7% ნაწილობრივ

- დაეთანხმა ამ მოსაზრებას, ხოლო 8,6%-ს არ მიაჩნია მისაღებ ფორმად;
- რესპოდენტთა 57,1% თვლის, რომ უნდა მოხდეს ფერმერულ მეურნეობათა გამსხვილება, 21,0% წინააღმდეგია ამ მოსაზრების, ხოლო 21,9%-მა თავი შეიკავა პასუხზე;
 - ფერმერთა უმრავლესობა – 68,6% თვლის, რომ საჭიროა შეიქმნას კოოპერატივები და ინტეგრირებული საწარმოები, ხოლო 6,7% წინააღმდეგია ამ საწარმოების შექმნის, 24,7% კი ვერ აცნობიერებს ამ საწარმოთა მნიშვნელობას;
 - გამოკითხულთა 33,3% მიიჩნევს, რომ სწორად აქვს შედგენილი სამეწარმეო საქმიანობის ბიზნეს-გეგმა, 7,6%-მა აღნიშნა, რომ სწორად არ აქვთ შედგენილი ბიზნეს-გეგმა, ხოლო 59,1% გაურკვეველია ბიზნეს-გეგმის სისწორეში. რესპოდენტთა 66,7%-ს მიაჩნია, რომ აუცილებელია ბიზნეს-გეგმა შეუდგინონ სპეციალისტებმა (მეცნიერებმა);
 - ფერმერთა 40% თვლის, რომ სამეწარმეო საქმიანობაში ეწევა რისკს, 37% თვლის, რომ არ ეწევა რისკს, 22,9%-ს არსებულ გარემო პირობებში ვერ გადაუწყვეტია რისკის გაწევა;
 - ფერმერთა 62,9%-ს მიაჩნია, რომ სწორად აქვს შერჩეული მეურნეობის სპეციალიზაცია (საწარმოო მიმართულება), ხოლო 34,3% ითხოვს ამ მიზნით რეკომენდაციებს, 2,8% თვლის, რომ სწორად არ აქვს შერჩეული საწარმოო მიმართულება;
 - გამოკითხულთა მხოლოდ 48,6%-ს მიაჩნია, რომ საჭიროა ფერმერული მეურნეობების გამსხვილება, 23,8% წინააღმდეგია მეურნეობათა გამსხვილების, ხოლო 27,6%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემაზე;
 - ფერმერთა უმრავლესობას, ბარიერების გამო, უჭირს სამეწარმეო საქმიანობისათვის კრედიტის აღება (79,0%), წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (83,8%), მატერიალური ტექნიკური რესურსებით (სასუქები, შხამ-ქიმიკატები, საწვავ-საცხები მასალები, ტექნიკური საშუალებები) მომარაგება (90,5%);
 - გამოკითხულთა 92,4% სურვილს გამოთქვამს, კჭონდეს „საკუთარი ბაზარი“ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის, 96,2% თვლის, რომ საჭიროა შეიქმნას პროდუქციის რეალიზაციის საშუამავლო გაერთიანებები;

- გამოკითხულთა 97% აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩასატარებლად იყენებს დაქირავებულ ტექნიკას, რის გამოც ძვირი უჯდებათ პროდუქციის წარმოება, მ.შ. 79% მომხრეა, რომ შეიქმნას აგროტექსერვისული გაერთიანებები;
- რესპოდენტთა 40%-ს სურს, სახელშეკრულებო ურთიერთობები ჰქონდეთ სამეცნიერო დაწესებულებებთან, რათა მეცნიერებმა კვალიფიციურად შეუდგინონ ბიზნეს-გეგმა, განსაზღვრონ ფერმერული მეურნეობების საწარმოო მიმართულება და მიიღონ კონსულტაციები მათთვის საინტერესო საკითხებზე;
- გამოკითხულთა 23,8%-ს სამწუხაროდ არ სურს მეცნიერებთან ურთიერთობა, 36,2% ვერ ჩაწვდა მეცნიერებთან ურთიერთობების მიზანს, გამოკითხულთა 53,3% ითხოვს საგადასახადო სისტემის სრულყოფას, 59,0% თანახმაა მეცნიერების რჩევით შეცვალოს საწარმოო მიმართულება (სპეციალიზაცია), 74,3% აზრით საჭიროა მარკეტინგული, ხოლო 51,4%-ის აზრით მენეჯმენტის საკითხებში მეცნიერული რეკომენდაციები. ამასთან გამოკითხულთა 72,4% თვლის, რომ სჭირდება ეკონომიკურ-ტექნოლოგიური საცნობარო-ნორმატიული მასალები;
- გამოკითხულთა 77,2% უზრუნველყოფილია შრომითი რესურსებით, 22,8% თვლის, რომ პრობლემები აქვთ შრომითი რესურსების გამოყენებაში.

ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ყველა კითხვას დადებითი პასუხი გასცა რესპოდენტთა 60%-მა, უარყოფითი – 18,6%-მა, ხოლო თავი შეიკავა და ნაწილობრივ დაეთანხმა ან პასუხის გაცემა გაუჭირდა 21,4%-ს.

სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით საჭიროა, სამეურნეო რისკის გასაწვეად რისკის მართვის სამეურნეო მექანიზმის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფერმერთა ის ნაწილი (28,1%), რომლებიც მოუშადადებელია და ვერ ფლობს შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის.

შინაარსი

I თავი-პროექტის აქტუალობა, სიახლე, მიზანი და ამოცანები	4
1.1 აქტუალობა, სიახლე, მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა	4
1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები	8
II თავი-კვლევის მეთოდთა: ძირითადი პოზიციები და შესაბამისობა პროექტის მიზანსა და ამოცანებთან)	9
III თავი-კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი მნიშვნელობა მეცნიერების, ეკონომიკის და სოციალური სფეროსათვის	12
IV თავი-კვლევის ძირითადი შედეგები	16
4.1. ფერმერულ მეურნეობებში რისკის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა და ძირითადი კრიტერიუმები; რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური დონეების განსაზღვრის მეთოდთა	16
4.2. საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა განვითარების ფაქტიური დონის, ძირითადი ტენდენციებისა და კანონზომიერებების დადგენა, რისკ-ფაქტორების მოქმედების შეფასებისა და რისკის მართვის მექანიზმის შესამუშავებლად ზონალურ-ტიპიური (მაპროფილებელი) ფერმერული მეურნეობების გამოყოფის მიზნით	27
4.3 რისკ-ფაქტორების მოქმედების შეფასებისა და რისკის მართვის მექანიზმის შესამუშავებლად ზონალურ-ტიპიური (მაპროფილებელი) ფერმერული მეურნეობების გამოყოფა	36
4.4. მრავალფაქტორული ანალიზისათვის შედეგობრივი ნიშნისა და არსებითი ფაქტორების გამოვლენა და მათი რისკზე მოქმედების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი	47
4.4.1. შესავალი ნაწილი-რისკის კლასიფიკაცია, ანალიზის პრინციპები და მეთოდური მიდგომები, საწარმოო ფუნქციების გამოყენების პირობებში	47

4.4.2. შედეგობრივი ნიშნისა და არსებითი ფაქტორების გამოვლენა და მათი რისკზე მოქმედების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი -----	68
4.5. სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები და უკუგების ოპტიმალურ-დიფერენცირებული ღონეები, ზონალურ-ტიპური ფერმერული მეურნეობებისათვის, შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავებით -----	76
მოკლე შესავალი -----	76
დასაბუთებითი ხასიათის განმარტებები -----	80
4.5.1. რისკის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ღონეების სარეკომენდაციო ოპტიმალური პარამეტრები ფერმერულ მეურნეობებში -----	88
4.6. სამეურნეო რისკის შეფასების სინთეზირებული, ოპტიმიზირებული ეკონომიკური პარამეტრები, არსებითი ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები -----	143
4.7. სამეურნეო რისკის მართვის მექანიზმი საქართველოს ფერმერული მეურნეობებისათვის -----	166
4.7.1 ამოსავალი პოზიციები და მეთოდოლოგიური ასპექტები	166
4.7.2 რისკის მართვის მექანიზმი ფერმერული მეურნეობებისათვის -----	188
4.8. ფერმერულ მეურნეობებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები -----	201
შინაარსი -----	204

ოზარ ქაშელაშვილი

რისკის მართვა ფარმერულ მეურნეობებში

Risk Menegement in Farming Ekonomy

(Agrarian Economic Institute

ტექნიკური რედაქტორი: ა.ლაფაჩი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნ.დამენია, გ.გივიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი: ეკონომიკის

მეცნიერებათა კანდიდატი მ.ლევაგა

პირობითი ნაბეჭდი თაბახი: 12.8

სააღრიცხვო ნაბეჭდი თაბახი: 11.5